სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადო. ჟურნალი

IX ნოემბერი IX



ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს აგენტებს და ხელის მომწერლებს, შათხე დარჩენილი ფული აუცილებლად მოგვაწოდონ სულ მოკლე ხანში.

სტამბის შეცდომა. ამ ნომერში ორი გვერდია ერთი მეორის ადგილზე დაბეჭდილი 659 და 664.

შინაარსი: 1) თავ. რ. ერისთავის შემოქმედება (დასასრული)—**იპ. ვართაგავა.** 2) ესურული წარწერები ქართული ტომების შესახებ—**ა. სვანიძე.** 3) საზოგადოებრივი აზრები მე-XIX საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში—**ს. დ. დიანი.** 4) სუსტ-ნერვებიანი ბავშვები და მათი აღზრდა—**ი. ფერაძე.** 5) ჩარლზ ჩაუპტმანი „მიხეილ კრამერი“ ოთხ მოქმედებიანი დრამა, მოქმედება მესამე (თარგმანი)—**ივ. გომელაური.** 6) ჩიტთა ფათერაკი—**ვ. ე. ფშაველა.** 7) გვტივა... გვტივა...—**დ. თურდოსპირელი.** 8) დედუნების წყალი—**გულ-გატეხილი.** 9) შინაური მიმოხილვა—ეროსტორგოვის პროგრამა **ი. ნ—ძირელი.** 10) მწვავე საკითხი—**ფარი.** 11) ახალი ამბები 12) რუსის საეკლესიო მოაგრობის წარმომადგენლები საქართველოში—**ნ. დურნოვო.** 13) რუსეთი—საბავშვო წიგნების გამოფენა კიევში—**დ. თ—ლი.** 14) მოწერილი ამბები—ტოტა რამ აწარის სკოლებზე—**ქიმილ ეფენდი.** 15) ‘ეკროლოგი—სახალხო მასწავლებელი † ვასილ სახინოს ძე ბერათაშვილი—**ლადო ბზვანელი.**

დამატება: ცნობები ქ. ბ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა: ანგარიში კავკავის განყოფილებისა და სკოლისა. მოხსენება ბათუმის სკოლის რევიზიის შესახებ. განცხადებანი.

რედაქციამ დაუგზავნა თავის აგენტებს ახლად გამოსული წიგნი განსვენებულის **იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად.** ამ წიგნის შეძენა შეიძლება: **კავკავში**—ტრ. შუბლანაძესთან, **ბაქოში**—მეთ. კაკაბაძესთან, ქართულ სკოლაში, **თელავში**—ნინო გონიაშვილთან, **გორში** ნ. ლომოურთან, **ყვირილაში**—ს. ორჯონიკიძესთან. **სამტრედიაში** წ. კ. საზ. კიოსკში. **ხონში**—ლ. ჩიმაკაძესთან. **ახ. სენაკში**—სპ. ენუქიძესთან. **აბაშაში**—ვ. ქობულიასთან, **ბათომში**—წიგნის მაღაზია „განთიადი“. **ფოთში**—მღ. ლ. წულაძესთან. **ლანჩხუთში**—მ. იმნაძესთან. **ახალციხეში** კ. გვარამაძესთან. **ოზურგეთში**—დ. თალაქვაძესთან. **სოხუმში**—ნიკ. ჯანაშიასთან. **ჩოხატაურში**—ს. თავათრქილაძესთან. **სურამში**—ნატ. გიგაურთან. **ზუგდიდში**—ალექსანდრე ვასაძესთან. **ქუთაისში** ის. კვიცარიძესთან, **ჭიათურაში** ი. გომელაურთან.

რედაქცია აცხადებს, რომ „განათლების“ იანვრის ნომერს ვერავის გაუგზავნის, რადგანაც ეს ნომერი აკრძალეს და წაიღეს მთლად და დაბრუნების იმედიც არ არის.

სამეცნიერო-პედაგოგიური ⁄ სალიტერ. ჟურნალი

განათლება

(წელიწადი მეექვსე)

IX ნოემბერი 1913 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 4 მან.
ნახევარი წლით . 3 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 3 მან.

ცალკე ნომრის ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში" და „ნაკადულის" რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. **Л. Г. Боцвадзе.**

თავ. რ. ერისთავის შემოქმედება

(თხზულებანი თ. რ. ერისთავისა. თბილისი 1893 წ.)

კრიტიკული ეტიუდი

(დასასრული)

1880 წლიდგან რ. ერისთავის შემოქმედება გააზრიანდა. პოეტმა შეიტყო და შეიგნო მგოსნის მოვალეობა, მისი გული, როგორც სხვა ქართველ მგოსანთა გული, განიმსჭვალა მაღალ იდეალებით და მისწრაფებით: ამ დროს მგოსანი ღრმად გრძნობს მოქალაქობრივ მოტივთა სიმწვავეს: დედა-ენას ესარჩლება, ქვეყნის „მუხანათს" წყევლა-კრულვით იხსენიებს, მრავალ ტანჯულ „ქართლის ბედსაც" ნაღვლიანად დასცქერის. მხოლოდ ახლაც ეშინევა, რომ სასტიკი ბრძოლა ბოროტებასთან და უძირო უკმაყოფილება მას არ ეხერხება, არ ძალუძს. თვის გრძნობას რ. ერისთავი ჩუმს და წყნარს ჭმუნვა-ოხვრაში გამოხატავს, ვინაიდგან მისი შემოქმედების ძირითად თვისებებს შეადგენს გრძნობათა ჰარმონია და სულიერ განწყობილებათა ზომიერება. ყოველთვის და ყველგან, თითქმის იქაც კი, სადაც ბოროტების მეტი არა სჩანს რა, პოეტი სიკეთეს ეძებს, აზრიანობას და სიმშვენიერეს ჰპოულობს. სწორეთ ამით აიხსნება ის საგულისხმო მოვლენა მის შემოქმედებაში, რომ, რაც გინდ ბოროტება—ძალმომრეობას და ტანჯვა-ვაებას გვიხატავდეს, მაინც მკითხველის ნერვები გადაჭარბებით ავადმყოფურად არ სუსტდებიან, მისი სული უზომოდ არ იტანჯება, როგორც ხშირად ამნაირ მოვლენას ზომი-

ერებას მოკლებულ მწერლების ნაწარმოებნი გამოიწვევენ ხოლმე. ესეც ნიჭის ერთგვარი სიმპატიური თვისებაა!

საინტერესოა ვიცოდეთ, რა ისეთი ცვლილება მოხდა პოეტის სულიერს განცდაში ან იმ საზოგადო ცხოვრებაში, რომელიც მას გარს ერტყა, რომ რადიკალურად შეიცვალა და ახალს გზას დაადგა უკვე მოხუცებული პოეტის შემოქმედება.

ყველამ ვიცით, თუ რანაირი მოწამლული და დახშული იყო ის ატმოსფერა, რომელშიაც წილად ხვდა ეცხოვრა დიდბუნებოვან, ღრმად მგრძნობიარე და დაკვირვებულ ნ. ბარათაშვილს და რა სულიერს ტრაგიზმს განიცდიდა, რა ,,სულიერს ობლობას'' გრძნობდა ის გაფუქსავატებულ და იდეალ დაკარგულ ქართულს საზოგადოებაში. მისი მოთქმა, მისი თავგანწირული სულის კვეთება, მისი ,,გიჟური'' მისწრაფება იდეალისკენ და გაუვალის გზის გაკაფვის სურვილი თითქმის არავის ესმოდა.

როგორი უნდა ყოფილიყო მაშინდელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, თუ ისეთი ,,ზეგარდმო მადლით ცხებულნი'' მამულის შვილნი, როგორნიც იყვნენ ვახ. და გრ. ორბელიანები, წუთიერის გატაცების შემდეგ, კვლავ გაერთვენ ცხოვრების ამაოებაში, ოქროს უღელი დაიდგეს კისერზე, ფიქრები ,,დაიტყვევეს'' და დამუნჯდნენ!.. ერთის სიტყვით, სრული ბნელეთი იყო გამეფებული ჩვენში მესამოცე წლებამდის. ამ დროს კი ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრების სათავეში მოექცნენ ისეთნი მხნე და ნიჭიერნი მწერალნი და მოღვაწენი, როგორც ილია ჭავჭავაძე, აკაკი, გიორგი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი და ზოგიერთი სხვა. ამ პირებმა გამოუცხადეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა საქართველოში გამეფებულს უაზრობას, უიდეალობას, გონებით ჩამორჩენას და დაბრმავებას. პროზით და პოეზიით, სიტყვით და საქმით, მხილებით და წაქეზებით, მუდარებით და დაყუთებით მათ დალეწეს და შეანგრიეს მაგარი კედელი ქართველთა შეუგნებლობისა და ნათელი სხივი შეაშუქეს გამეფებულ უკუნეთში. ამ მოვლენამ ააშფოთა, აამოძრავა, ბრაზით აღავსო და საბრძოლველად დარაზმა ძილის მოტრფიალენი და მომაკვდინებელ მეუდროების მოსარჩლენი. სამწუხაროდ, საომარი იარაღით აღიჭურვნენ ისეთნი პირნიც, როგორც ვახ. და გრ. ორბელიანები, და ვითომც ,,გაუზრდელ'', ,,ურწმუნო'' და ,,ენა წამხდარ'' ,,შვილებს'' შეეჯახნენ და სასტიკი ბრძოლა გაუმართეს... როგორც მოსალოდნელი იყო, ბრძოლის ველზე გამარჯვება ,,შვილებს'' დარჩათ... ბოლოს ,,მამებიც'' შეურიგდნენ დამარცხებას და ,,შვილების'' საქმეს და სიტყვებს ობიექტიურად შეხედეს. როდესაც დასცხრა ხმალ-ხანჯლების ტრიალი და თოფ-ზარბაზნების ჭექა-გრიალი, ,,მამებმა'' თითონ დაიწყეს ,,შვილების'' ხმაზე და ჰანგზე სიმღერა. და თუ მათი ნაწარმოებნი დღესაც ,,ატკბობენ ამერ-იმერთა'', თუ მათი ლექსები დღესაც ამხნევებს და იმედს ულვიძებს საქართველოს შვილებს, ეს იმისი შედეგია, რომ დამარცხებულ ,,მამებმა'' გამარჯვებულ ,,შვილების'' ზედგავლენით მოხუცებულობაში მაინც მოიკრიბეს ძალღონე და ღირსეულად, მამულისშვილურად ააჟღერეს თავის ჩანგის უკანასკნელი აკორდი.

რ. ერისთავს ჩვენ ვერ ვხედავთ არც ,,შვილების'' და არც ,,მამების'' მებრძოლ რაზმელთა შორის. როგორც მოვიხსენიეთ, ის საზოგადოდ მებრძოლად

ეროვნული

ან მებაიარაღტრედ არ არის დაბადებული: გზის გაკაფვა, მიმართულების შექმნა ან უკვე არჩეულ პოზიციის დაცვა მას არ შეუძლია. მის ნიჭს მხოლოდ გაკაფულ და გაწმენდილ გზით შეუძლია ლაღად სიარული. მისი ხმა სიმღერის უმთავრეს ხმობას, მოძახილს ვერ შესძლებს; ის მხოლოდ შეთანხმებულ და ჰარმონიულ აკორდებით დაამშვენებს, გაალამაზებს სხვისაგან დაწყებულს სიმღერას.

ზემო აღნიშნულ ბრძოლის შემდეგ, შესამჩნევად, თითქმის ძირიანად, შეიცვალა საგანი და ხასიათი რ. ერისთავის სიმღერისა. გამტყდარი, გაჭაღარავებული, ერთს დროს „მსუბუქ" პოეზიის წარმომადგენელი მგოსანი ახლა გვერდში ამოუდგა ჯან-ღონით და სიმხნევით აღსავსე საქართველოს ახალგაზდა „ერისთავებს" და თავის მადლიანის მღერით გააღრმავა და გაამშვენიერა კილო მათგან დაწყებულის სიმღერისა.

აი ამ გარემოებამ ორად გაყო რ. ერისთავის პოეტური შემოქმედება. ასეთი გვიანი, მაგრამ აზრიანი და ნაყოფიერი, ცვლილება რომ არ მომხდარიყო პოეტის სულიერს განცდაში და მსოფლ-მხედველობაში, მაშინ ის უკვე დიდის ხნის მკვდარი იქნებოდა ქართულს ლიტერატურაში და შეგნებულ ქართველთა ხსოვნაში, თუმცა ზოგიერთს მის ნიჭიერად დაწერილს საშიყო ლექსებს დიდხანს კიდევ დაამღერებდნენ ფანდურზე ორთაჭალის ან ვერის ბაღებში ჩვენებური მედუდუკეები.

რ. ერისთავი ახლა დიდის ყურადღებით, თითქმის დაჟინებით მსჯელობს და ფიქრობს ცხოვრების სხვა და სხვა საკითხზე და ღრმად გრძნობს მათს სიმწვავეს. სხვათა შორის, მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჩვენს გლეხებს, ამ ქართველ ერის საძირკველს, და შეუდარებელის სიმშვენიერით და სილამაზით დაიწყო მისი ცხოვრების და ჭირ-ვარამის აწერა.

ამ ფაქტშიაც, ე. ი. იმაშიაც, რომ რ. ერისთავმა ახლა განსაკუთრებული ყურადღება გლეხობას მიაქცია, ახალგაზდა მწერალთა და მოღვაწეთა, ეგრედ წოდებულ, „ტეტიათა მოტრფიალეთა" უტყუარს გავლენას ვატყობთ. აქაც მგოსანი სხვისაგან გაკაფულს გზას დაადგა, მაგრამ, მისდა სასახელოდ, თვის დიდის ნიჭის წყალობით ამ საგნის დახატვაში პირველი ადგილი დაიჭირა.

საჭიროა ვიცოდეთ, როგორ და რა სახით გაჩნდა და დაიბადა ქართულს ლიტერატურაში ეს, ეგრედ წოდებული, „ტეტიათა მოტრფიალება". ეჭვს გარეშეა, რომ ეს მიმართულება ჩვენში ჩაისახა საზოგადოდ რუსულ ლიტერატურის და კერძოდ მასში ერთს დროს გაძლიერებულ, ეგრედ წოდებულ, „ნაროდნიჩესტვოს" ზედ-გავლენით. რამდენიც უნდა უარი ვყოთ, რაც გინდ არა სასიამოვნო იყოს ეს ჩვენის თავმოყვარეობისათვის, მაგრამ მაინც უტყუარია ის ფაქტი, რომ ყველა ჩვენი მწერლები და მთლად ჩვენი მწერლობა მე XIX საუკუნეში დიდს გავლენას განიცდიან რუსულის მოწინავე და პროგრესიულის ლიტერატურისას. მიზეზი, ჩვენის ფიქრით, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს; ამისათვის ამაზე ბაასს არ გავაგრძელებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ვინც კი ამ აშკარა გავლენას არ ხედავს, ან არ უნდა დაინახოს და არავითარს კავშირს არ ხედავს ქართულს და რუსულს ლიტერატურათა შორის, ის, ჩვენის ღრმა რწმენით, ცდება და ემზგავსება სირაქლემას, რომელიც, მტერმა არ დამინახოსო, მხო-

ლოდ თავს ჩაფლავს ქვიშაში და ტანი კი ზევითა რჩება...

არც ერთ ევროპის ერთა ლიტერატურაში დაბალ ხალხის, გლეხობის ცხოვრების, მისი ღირსების და ნაკლულევანების აღწერას და დასურათებას ისეთი ფართე და თავისებური ადგილი არ სჭერია, როგორც რუსთა ლიტერატურაში. ეს იყო პირდაპირი შედეგი იმ დემოკრატიზაციისა, რომელიც თავს იჩენს მე XIX საუკუნეში რუსეთში. საზღვარ გარედ არ არსებობს განსაკუთრებული და დამოუკიდებელი დარგი ხალხური ბილეტრისტიკისა. თუ იქ იწერებოდა მოთხრობები და რომანები ხალხის ცხოვრებიდგან, ამას შემთხვევით ხასიათი ჰქონდა და ავტორები მხოლოდ ფსიხოლოგიურს და მხატვრობრივს მიზანს ემსახურებოდნენ. ასეთის ხასიათისაა რომანები: ჟ. ზანდისა და ელლიოტისა. მართალია, იქაც შეხვდებით ერთს-ორს მწერალს (მაგ. აუერბახი და ერკმან შოტობრიანი), რომლებიც სპეციალურად ხალხის ცხოვრებიდგან იღებდნენ სიუჟეტს, მაგრამ მათ აინტერესებდა არა ობიექტიური ცხოვრების კვლევაძიება, არამედ პოლიტიკური საკითხი.

სხვას ვხედავთ ჩვენ რუსეთში. არა ერთი და ორი, არამედ ათი, ოცი და მეტიც მწერლები მთელს თავის ძალ-ღონეს ანდომებენ და სწირავენ ხალხის ცხოვრების დასურათებას, მისი მსოფლ-მხედველობის გაგებას, მისი ეკონომიური და სარწმუნოებრივი მდგომარეობის გამოკვლევას. ბევრნი მათგანი მიდიან „ხალხში“, მთელის წლობით დაიარებიან სოფლიდგან სოფელში, ჰკრეფენ ზღაპრებს, სიმღერებს, სწავლობენ ხალხის ზნე-ჩვეულებებს, წესებს, შინაურ ყოფა-ცხოვრებას, ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობას და საზოგადოდ ცდილობენ ჩაიხედონ ხალხის გულში და ამოიკითხონ მისი მისწრაფებანი და სურვილნი. ასეთ თავდადებულ მოქმედების დროს ისინი ხშირად განიცდიან დევნას, გაჭირვებას და ზოგჯერ სიცოცხლესაც ესალმებიან... ასეთის მისწრაფების მეოხებით, რომელმაც, შეიძლება თამამად ითქვას, მთელი ინტელიგენცია გაიტაცა, რუსულს ბელეტრისტიკას ხალხის ცხოვრებიდგან საკუთარი და ვრცელი ისტორია აქვს.

პირველი ნაბიჯი „ხალხისაკენ“ გადადგმული მეორმოციან წლების მწერლებს ეკუთვნის, — იმ მწერლებს, რომლებიც თავად-აზნაურობის წრიდგან გამოვიდნენ და რომლებსაც რუსულ ლიტერატურაში „Кающіеся дворяне“ს უწოდებენ. ესენი არიან: ტურგენევი, ტოლსტოი, გონჩაროვი. ესენი დიდის თანაგრძნობით და სიყვარულით ხატვენ ჭკვიანს, მომთმენს, ღრმად გრძნობიარე რუსის გლეხკაცობას.

წინააღმდეგ ასეთ იდიალურ-სანტიმენტალურ შეხედულობისა ხალხზე და ამის ცხოვრებაზე, მეორმოცდა ათიან და სამოციან წლებში რუსულს ლიტერატურაში დაიბადა უარყოფითი შეხედულობა გლეხზე. ეს მიმართულება ცნობილია „Смѣхотворно-отрицательный“-ს სახელით. ამ მიმართულების მწერალნი (გორბუნოვი, ნიკ. უსპენსკი, ვ. სლეპცოვი) გლეხობას ხეპრედ, ბიწიერად, უჭკუოდ, თითქმის ჩერჩეტად ხატვენ.

ამ ორ ერთმანეთის მოწინააღმდეგე მიმართულებასთან ერთად ჩვენ ვამჩნევთ მესამე მიმართულებასაც — ბიუროკრატიულ ადმინისტრატიულს. ამ დროს თვით მთავრობა დაინტერესებული იყო ნამდვილად შეეტყო და შეესწავლა ხალხი და მისი მდგომარეობა, რადგანაც მასში ამჩნევდა თავისთვის არა სასურველს მოძრაობას. ამ მიზნით მთავრობამ გონჩაროვი გაგზავ-

ნა სამგზავროდ ,,ფრეგატ პალატაზე'', პისემსკი—ასტრახანში; ამ საგნის გამოკ-ლევა მან მიანდო აგრეთვე ორს ცნობილს ბელეტრისტს და ეთნოგრაფს—სერ. მაქსიმოვიჩს და დანილევსკს... ამ სამ მკაფიოდ გამორკვეულ მიმართულებათა გარეშე, ხალხის ცხოვრებას ირკვევდნენ: მელნიკოვი (პეჩერსკი), რეშეტნიკოვი, ლევიტოვი, ლესკოვი, შევჩენკო, ნიკიტინი, გლ. უსპენსკი, ზოლოტარიოვი და სხვ.

აი ასეთი ფართე და დიდი მიმდინარეობა ჰქონდა რუსეთში ,,ნაროდნიჩესტვოს''.—ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი მწერალნიც, რუსულს სკოლებში გამოზრდილნი და რუსულ ლიტერატურის გავლენის ქვეშ მყოფნი, უთუოდ განიცდიდნენ, კერძოდ, ამ მიმართულების გავლენასაც. ჯერ ისევ მესამოცე წლებში გლეხობას და მისს მდგომარეობას, საზოგადოდ სოფელს და სოფლის გაჭირვებას დიდი ყურადღება მიაქცეს ჩვენმა ჭეშმარიტ რალისტებმა—დ. ჭონქაძემ და ილია ჭავჭავაძემ. ნურავინ იტყვის, რომ ეს მოვლენა რუსულ ლიტერატურის გავლენის გარეშე მომხდარიყოს!

სამოცდა ათიან და ოთხმოციან წლებში გლეხ-კაცობა და სოფელი გახდა უმთავრეს საგნად ჩვენის სიტყვა-კაზმულ მწერლობისა და ჟურნალისტიკის ყურადღებისა. ილია ჭავჭავაძე, აკაკი, გ. წერეთელი და მათი უმცროსნი თანამეკალმენი—ნ. ლომაური, ს. მგალობლიშვილი თავიანთ მხატრულს ნაწარმოებებში, და ,,დროება''—,,იმედის'' პუბლიცისტები პროზით თავს დასტრიალებდნენ ჩვენს გლეხობას, თანაგრძნობით და სიყვარულით გვიხატავდნენ მისს მდგომარეობას, ჭირ-ვარამს, ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას. ისინი გლეხობიდგან მოელიან ჩვენის ცხოვრების აღორძინებას და განახლებას; ხალხურს ნაწარმოებში—ლექსებში, ზღაპრებში, თქმულებებში—ხედვენ ჩვენის ერის საღს გონებას და სოფლმხედველობას; ხალხურმა ენამ, მათის რწმენით, უნდა გააცოცხლოს, დაატკბოს და გაამშვენიეროს შერყვნილი ქართულ ლიტერატურული ენა და სხვა და სხვა... ამ ნაირად გაჩაღდა ჩვენშიაც, ეგრედ წოდებული ,,ტეტიის მოტრფიალობა''...

აი სწორედ ამ დროს ეკუთნის რ. ერისთავის გამორკვევა და სასახელო გზაზე დადგომა. მან, უკვე მოხუცებულმა, შეიტკბო და შეითვისა, თუმცა სხვებისგან დაწყებული, მაგრამ ბუნებით მისთვის სიმპატიური და ნათესაური, ხალხური მიმართულება და აქედგან დაწყებული შეუწყვეტლად თავის ჩანგის სიმები ააჟღერა ხალხზე, გლეხობაზე, მისი ჭირ-ვარამზე და ლხინზე... ეტყობა, რომ აღნიშნულს მიმართულებას ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია უკვე მოხუცებულ მგოსანზე და, საბედნიეროდ, სწორსა და მართალს გზაზე დაუყენებია მისი წინედ გზას ამცდარი და უსარგებლოდ დახურდავებული და დახარჯული მხატვრული ნიჭი.

რ. ერისთავის ის ლექსები, რომელიც სოფელს და გლეხს ეხება, სამართლიანად ღირსია განსაკუთრებულის ყურადღებისა. ამ დარგში მას ვერ შეედრებიან ვერც ნ. ბარათაშვილი, ვერც ილია; რამოდენიმედ მხოლოდ უახლოვდებიან აკაკი და ვაჟა.

წარმტაცის სილამაზით აქვს რ. ერისთავს დახატული სურათები სოფლის ცხოვრებიდგან: გლეხის ჭირ-ვარამი, იმედსურვილი, მუშაობა, გარჯა, სიამოვნება.

პური მოსულა, ,,ღელავს, ბზინავს ოქროს ფერად''; ეტყობა, რომ ,,უფლის თვალი'' ყანაში ტრიალებს; მუშას უხა-

რიან; არაფერი ჩრდილავს ამ სიხარულს; ულვი და კმაყოფილია მისი გული და ამისათვის იტყვის:

„ეგვლას ეგვის: ჯარს, ჯამაათს, ეგურთხება
მგვდარს სოფლავი,
ჯალაბობაც გამოძღება, — არ მოგვდების ჩემი
თავი“.
(,,ბურის მოსავალი“, გვ. 162)

ქვრივ-ოხერი **თინიაც** ბედის მადლობელია, რადგანაც ,,ჩამონათხოვარ“ საოცესლედ დათესილ მისს ყანაში ,,უცფად ზღვა გასკდა, შიგ დასტრიალდა ღვთის თვალი“. (,,თინიას მამითადი, გვ 175)

საბრუაც, მიუხედავათ იმისა, რომ მას ,,ჩალური“, ,,კედლებ გამოწნული“ სახლი უდგია, ერთი ,,ფურ-ზაქის“ და ,,ბურაკის“ მეტი არაფერი ჰყავს, მუდამ მხოლოდ მჭად-ლობიოს შეექცევა, ღვინოზე კი ,,მხოლოდ იწყებს მღერას“, მაინც არ არის ღვთის მომდურავი, არ არის გულჩათხრობილი“... (,,საბრუას სახლ-კარობა“, გვ 223)

თედუაც, თუმცა ,,ებრძვის შავს მიწას დღითი დღე და ჯაფისაგან მოქანცულია“, თუმცა ,,ცალად ჰყავს ლომა“ — და მისი ,,ვენახი, ყანა, ხეხილი ,,მეხმა“ დათურგნა, გაატიალა“, — მაინც ,,კერპია, გაუტეხელის გულისა“, ცის რისხვას, ბატონის წყრომას ქედ-მოხრით ემორჩილება“. (,,თედუა“, გვ. 267). რ. ერისთავის ერთი გატიალებული გლეხი თუმცა ასე მოსთქვამს:

„ბედმა მრისხანემ მოამისხო სარჩო და ჭირნახულია,
დამტაცა ცოდი და შვილი, არ შემარჩინა წულია,
შემოამისია მოუვარეთ გულმტკივნეული ჯარია,
მოამადგნენ სანუგეშებლად, დამძახეს გლოვის ზარია“,

მაგრამ ისიც იმედს არ წარიკვეთს, რადგანაც ,,თავი შერჩა ტიალი და მტკიცე მკლავი“ (,,შესაწირავი“, გვ. 279.) საზოგადოდ, შრომა, უმადური სიცოცხლე გულს არ უტეხს გლეხს; ის შერიგებია საბოლოოდ ბედს და უფალსაც ეთაყვანება, რომ გლეხად გააჩინა.

„რას შემოამტქერი, ძმაბიდო, ოფლში ვარ გაწურულია? ეკითხება ბედის მორჩილი გლეხი მაყურებულს.
ნუ გიკვირვს, მესა ჯაფაში არ გამტეხია გულია...
რაც ვიუავ, ისევ ისა ვარ, მიდგას მე კარგი ყანები,
გლეხად დამბადა მე დმერთმან, — იმასაც ვეთაყვანები!
რად გიკვირს, ძმაო, შენ ჩემი დაკოორძებული ხელები?
ცულს და ბარს მოვაქნევინე, ვგრიხე და ვგრიხე წნელები...
ეინვაში, მიწის ბრძოლაში, ზოგჯერ არ დამიბანია,
გინდა შანთს ავადებინებ, არც კი ამეწვას კანია!
რად გიკვირს, ძმაო, შენ ჩემი დაწულულებული ფეხები?..
ეკლებში დავალ ეოველ დღე და ტეეში დავეხეტები...
რად გიკვირს ეს ბალნიანი, გადადედილი მკერდია?
გუთნით და ხამგლით ვიბრძოდი, შავს მიწას შევებერდია!
ქარმა და ეინვამ, მზე-წვიმამ არ ამიქცია გვერდია,
არ შეეშოვე მეც იმათ, გულადად გაუჩერდია!
რად გიკვირს, ძმაო, შენ ჩემი აქეცებული კისერი?
ქედი ამოამწვა მზე-ეინვამ, დაპალაპებს როგორც გიშერი.
(„რას შემოამტქერი, ძმაბიდო“, გვ. 225).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთის წვა-დაგვით და საშინელის შრომით მოყვანილი სარჩო და აღებული ორიოდე „გროშიც“ თვით მშრომელს კი არ რჩება, რადგანაც „სხვას მიაქვს ფული“, სხვა სარგებლობს მისის შრომით. უსამართლობით დაჩაგრული გლეხი მხოლოდ ჩუმად, ყრუდ ემდურის ბედს და მწვავე გულის წყრომას არ ამჟღავნებს.

„ნეტა რას ფიქრობ, რას გიწუხს სული?
ეკითხება მგოსანი გლეხს,
რამ გაგიტეხა ჯანი და გული?
სოფლის მუშა ხარ, შენ გახდავს ხარი,
შენ იმას, მან შენ მოგაბას მხარი...
უნდა გაინძრა და დაიჩარჩო,
მოხნა, მოთესო, მოიმკო სარჩო;
ტყე და მინდორი, უხვი და ფრცელი.
ეგელა შენია,—მოუსვი ცელი!..
—„იმას ვფიქრობდი, გულ-დაჩაგრული,
მე ვხნავ და ვთესავ, სხვას მიაქვს ფული“...
(„კითხვა ბასუხი“, გვ. 261)

ამ ლექსში მწუხრება და უკმაყოფილება შეჩვევის და შერიგების კილოთია გამოთქმული.

გლეხი დემეტრე კი პირდაპირ ხედავს თავის მტერსა—მიზეზს მისის ეკონომიურის დაბეჩავებისა—ჩარჩ-ბაცაცას, რომელიც „შემოპარვია ნათლიად“ და რომელსაც მისი სახლ-კარი გაუხდია „სალოშქროდ, სანადიროდ“.

„ვაჭარო, ნუ ხარ ბორტი,
დადექი მაგ შენს ქერქშია,
გეყო, რაც დგინო გიზიდე
ჩემგნით ამ ათი წელშია
. . . .
მიიდე თავნი და ვახში,—
განა კი დასაძრახია?
მაგრამ ვალი რომ მოგეცი
ჩაგიხსრიალე ხელშია,
მეორედ რადაზედ მართმევ,
რადაზედ მიწერ ფელშია?!
ქემოგეპარე ნათლიად,
რადაზედ დაგმე მირონი?
ჩემი სახლ-კარი გაგიხდა
სალაშქრო, სანადირონი?!
თუმანში ათი თუმანი,
აკი შეოქვლიფე, წეეულო!
მეორედ რადას მადავებ,
ჭირივით შამოჩგეულო?
(„დემეტრეს ჩიტი“ გვ. 236.)

განა მარტო ჩარჩ-ბაცაცა „შემოპარვია“ გლეხს და მისი სარჩო-საბადებელს „შესთქვლეფს“; „მამასახლისიც“, „გზირიც“ ჩაგრავთ მას და „სულით-ხორცამდე სცლიან“. ასეთ უბედურობის გადამკიდე, ბურუ უმწე-ულონოდ გოდებს:

„ეგელა მე ჩამოშეკიდა: მამასახლისი, გზირია.
რაგორ არა ვსთქვა, ბეჩავმა, მეც ჩემი გასაჭირია?
ფული მემართა ვაჭრისა, „რიგისთვის“ ადებული.
თავნში ბურ-დგინოს დამჭერდა, ვახში მივეცი ფული.
აკი გაუწერა დმერთია და მიშიდთახა წეეულმა.
ვალი მომთხოვა მეორედ, დგინოზედ შემოჩგეულმა.
სულ ახლად წამოშიარა, სულით ხორცამდის გამცალა.
ნათლია მამასახლისმა ერთს თუნგს არაყში გამცვალა!
არ შეძარჩინეს ზედაშე, გოჭი, ქათამი, წიწილა,
არც საბუდარში კვერცხები,—გამოშიდია სინსილა!
გეო ვაჭარი ჩემს სახლში ნავარდობს, რაგორც ქორია.
გზირიც, არეისკენ გამთვრალი, გორაობს რაგორც დორია!
რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე, რიო მოვიცილო ჭირია!..
ეგელა მე ჩამოშეკიდა,—სოფლის მოხელე, გზირია!..
(„ბერეს ჩიტი“, გვ. 195)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჩანს, რომ საბრალო ბერუამ არ იცის, რა ნიადაგზეა აღმოცენებული „სოფლის მოხელის და გზირის“ თავგასულობა და რა გზით შეიძლება მათგან თავის გადარჩენა...

გლეხს რომ სოფლის წურბელები არ უჭირვებდნენ საქმეს, ისინი რომ შეარჩენდნენ ნაშრომ-ნაამაგარს, ქორივით რომ არ დანავარდობდნენ მის კარ-მიდამოში, მაშინ ის თავის ბედით კმაყოფილი იქნებოდა და უზომო შრომა-გარჯაშიაც სიამოვნების წყაროს მონახავდა, ვინაიდგან მას, გარდა სარჩო-საბადებლის და არსებობის კითხვებისა, სხვა არაფერი არ აფიქრებს და არ ადარდებს. აი რანაირი ოპტიმისტია რ. ერისთავის გლეხი.

„ცხელა და ცხელა, ზ:ზანებაა,
ქოხის წინა ზის უმაწვილი დედა,
ზაწია ბიჭი, რჩვილი ფუნთრუშა
ხელს უცაცუნებს ძუძუებზედა...

—

„აქა მამიდო, მამიდო, აქა“!
დედა იძახის შვილის მაგივრად;
მაგრამ „მამიდო“ ჯერ არსადა სჩანს,
ის სამუშაოდ წასულა მინდვრად.

—

„აქა მამიდო“!—სთქვა კიდევ დედამ:
თან მოიტანე ბევრი კაკები...
გულში კი ფიქრობს:—სად, რას მუშაობ,
ზაზანებაში რას იკაკვები!..

—

მზემ გადისარა, დაჭბერა სიომ,
აგერ გამოჩნდა მუშა მაშვრალი,
ხვითქი გადადის გულ-გადედილსა
და ახალუხიც არ მოსდევს მშრალი.

—

თავზე წაუგრავს ნარმის ნახევი,
მოდის, დიდინებს დაბალს ხმაზედა,
ეზდის ამაად, მწრელი ნამგალი
გადაუდვია მოდლილ მკლავზედა.

—

წინ მოეგება უმაწვილი ცოლი
და მიაწოდა გიგლა მამასა,
ამანაც შვილი ოფლიანს გულში,
მაგრად ჩაიკრა და კოცნის მასა!

—

გიგლამ უტაცა მამას ულვაში
ლოყაზედ თითი მოუცაცუნა;
მამას იამა შვილის ცელქობა,
ულვაშის წიწკნა არ დაუწუნა...

—

დაჯდა მაშვრალი დერეფანშია,
გვერდით მოიდო მწრელი ნამგალი,
ამაყობს ცოლით, ამაყობს შვილით,
ამაყობს, რომ აქვს ბევრი ნამკალი.

—

ცოლმა მიართო მწადი და წყალი,
გიგლა ჩაიკრა „კაკანაშია“,
გვერდით მოუჯდა ქმარსა და შვილსა,
მათის ყურებით განცხრომაშია“.

(„სურათი“, გვ. 176).

როგორც მალამო ჭრილობას, როგორც ნელი მაცოცხლებელი სიო სიცხით შეწუხებულს გულს, როგორც ტკბილი ჰანგი სმენას, ისე ტკბილად და დასაამებლად ხვდება ჩვენს სულს და გონებას ეს ფორმის სიმშვენიერით და გრძნობათა გამოხატვის სიფაქიზით მომხიბვლელი ლექსი! მხოლოდ თეოკრიტს—იდილიის მამამთავარს,—მხოლოდ პუშკინს—ამ სიტყვის და რითმის ჯადოქარს,—მხოლოდ მათ შეეძლოთ „დაბალ ცხოვრების“ ასეთი გაჰაეროვნება, გაკეთილშობილება!

ბევრს „ბედში მყოფს“, ბევრს „ოქროს მთების“ პატრონს, ბევრს ხმელეთთა და ზღვათა მფლობელს შეეხარბება ასეთი სულის ჰარმონია და სიტკბო ცხოვრებისა! ოღონდ საკითხი იმაშია, არის თუ არა, ან და თუ არის, რამდენად ხანგრძლივია ასეთი საოცნებო ბედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერება, მომეტებულად წელში „მოკაკულ“ შრომის შვილთა ცხოვრებაში. საწუხაროდ, ვინ არ იცის, რომ გლეხის ცხოვრებაში ასეთი საარაკო ბედნიერება იშვიათი მოვლენაა, —დარდი, მწუხარება, ავადმყოფობა, სიკვდილი და საზოგადოდ უსიამოვნობა კი ძლიერ ხშირია.—აი, მაგალითად, თანდიდა, რომელიც რამოდენიმე დღის წინედ შეიძლება კიდევაც „ამაყობდა ცოლით, ამაყობდა შვილით და ამაყობდა იმით, რომ ჰქონდა ბევრი ნამკალი“, დღეს

„დაფიქრებულა თანდიდა, დაუკრეფია გულ-ხელი,
ჩასტქერის დედა-მიწასა, ჩუმად ბუტ-ბუტებს გულ-ხელი:
— მომიკვდა ხარი გიშერა, მოკვდა, —გამიწყრა დმერთია!
სადა უშოვო მეუდლე, ცალად და დამრჩა ერთია!..
რადათი მოვხნო ნაწრეტი, რით ავიტიდო შიმშილი,
რიდათ გაუძღვე ქვეყანას, რიდათ ვარჩინო ცოლშვილი?
შენი ჭირიმე გიშერავ! ჭირიმე შენის ქედისა...
მოტიდდი, მოკვდ, ბეჩავი, —მწუეარი ჩემის ბედისა!
რა უეო შენს ცალს ირმასა, ვერ მოვიკარე თივითა,
დარბის თვალ-დაფეთებული, ეგირის ხარ-ირემივითა...
მომიკვდა ხარი გიშერა, მოკვდა—გამიწყრა დმერთია!..
სადა უშოვო მეუდლე, — ცალად და დამრჩა ერთია!“
(„ნათელას დარდი“, გვ. 179).

ხომ ხედავთ, რა მოჩვენება ყოფილა წუთიერი ბედნიერება ჩვენის გლეხისა! საკმარისი იყო მას მოკლომოდა გიშერა, ოთხ-ხუთ თუმნად ღირებული, რომ მთელი ტრაღედია დატრიალებულიყო მის სულში და ცხარე ცრემლებით ეტირნა: ხარი მისი მრჩენელია, უიმისოდ გლეხი იმ „მჭადსა და წყალსაც“ ვერ იშოვის, რომლით გამოძღომა „განცხრომათ“ მიაჩნია დაბეჩავებულს და „წელში მოკაკულს“.

განა მარტო ხარის დაკარგვა უმწარებს გლეხს სიცოცხლეს? ხშირად მოხდება ხოლმე, რომ სეტყვა „მირეგვ-მორეგვავს ხეხილსა, გააწყალებს ანაზდეულს და წაახდენს ისეთს ყანას, რომელიც თავ-თავის ქვეშ იზნიქებოდა და სიმძიმისაგან წვებოდა“, და მით „კარს მიუყენებს შიმშილსა“ („ტეტიას მოთქმა“, გვ. 193). განა მარტო ერთი ტეტია სწუხს ასე? აბა ყური დაუგდეთ მეორის გოდებასაც:

...„მომიცდა ნამუშავარი, დმერთმა არ მომცა ბურია,
სეტყვამ მორეგვა ვენახი, ცარიელი სდგას ბურია,
მინდორი მკალმა მოძოვა, ბდავის ცხვარი და ფურია,
წყაროც გაგვიშრო გოლვამ, მშიან და კიდეც მწყურია!
დახედე, ბედმა უწყალომ რა მწარე შხამი მიდესა,
ბალდები შემოტირიან, ეს უფრო სულს-გულს მიდევსა.
მშიბლები, მათი მცქერალნი, სულ ვაკრაჭუნებთ კბილებსა,
დახე სიმხეცეს: საზრდოსთვის ჩვენ ვაგირავებთ შვილებსა!“
(„შიმშილი“, გვ. 194)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩარჩ-ბაცაცასი, მამასახლისის, გზირის, სეტყვის და გვალვის გარდა, გლეხის დაბეჩავებაში დიდი წილი უდევს აგრეთვე ავადმყოფობას და სიკვდილს. ნახევარჯერ მშიერ-მწყურვალი, ფეხშიშველ-ტანშიშველი, მყუდრო სახლ-კარს მოკლებული გლეხი ხშირად ხდება მსხვერპლი ამ ადამიანის დაუძინებელ მტრებისა: ისინი ან ლოგინად აგდებენ უბედურს (,,სნეული ოჯახი'', გვ. 205) ანდა მთლად ასალმებენ მას წუთი სოფელს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რას დაემზგავსება მისი სახლ-კარი და საცხოვრებელი.

„მინდვრად აღარ სჩანს მოგკალი,
ლეწვაა გახშირებული,
ნეტა ვისია ეს ყანა
ნათელი, ჩახურებული,
თავ-თავ დახრილი, ჩამწვარი?
ზედ დაჭხვევია ფრინველი:
გვრიტი, ქედანი, მტრედები,
მწუერი, კურდღელი, ჭინჭველი;
მარცვალი ერია მიწაზედ,
გასჭირებია ყანასა.
ნეტა ვისია, რომ ახდენს
ჭირნახულს ამასთანასა?
— რა ჭქნას ბატრონმა ბედ-კრულმა,
ლოგინად დაცემულია,
ხელ-მარტო არის ბეჩავი,
უწუხს ობოლი სულია!“

(„მოუმკალი ყანა“, გვ. 180).

აი კიდევ უმოწყალო სიკვდილს ოჯახი გაუნადგურებია; ერთად-ერთი მისი დედაბოძი „სესია კარგი მეურმე, მომკალი“, „გადაყრუებულ ბებერ'' დედის დამრჩენი და ,,ჯერის'' გადამხთი, მას მოუტაცნია. დარჩენილა უმწე ბებერი და ის მხოლოდ მოსთქვამს გულ-ამოკვნესით, ჩაშავებულა, კავები გაუწეწია და გამვლელ-გამოვლელს ემუდარება: ,,თუ გებრალები, ღვთიანო, მოდი ჩამქოლე, მომკალიო''. (,,დედაბრის მოთქმა'', გვ. 181)

აუტანელი ჭირ-ვარამი, დაჩაგვრა-დამცირება და მშიერი ცხოვრება ჩუმს და ყრუ უკმაყოფილებას იწვევს გლეხის გულში და მხოლოდ იშვიათად და ისიც ინსტინკტიურად ჩაახედებს მას იმ ეკონომიურ და სოციალურ მოუწყობლობაში, რომელიც უმთავრესი მიზეზია მისი გაჭირვებისა. დიახ, ჩაახედებს, ცოტათი დააფიქრებს, და მერე კი, თუ ბედმა ცოტათი მაინც გაუღიმა, ისევ ოპტიმიზმს ეძლევა და იმ რწმენას მტკიცედ ადგია, რომ ის ,,ბეჩავი გლეხად შობილია'' და ამისათვის თავის ხვედრს უნდა შეურიგდეს.

„ე როგორ არი, ვერ მივხდი, როგორი კანაჩენია?..
მიწა სხვისია, ვქირაობ, შრომა კა—მარტო ჩემია...
როცა მდალატობს მზე-წვიმა და მომიცდება ყანები,
უფლის ნებაა, რა ვუყო, მე იმას ვეთაყვანები!..
მაგრამ რომ დალა მიწისა არ ასცილდება მთესველსა?
სად რა ვიშოვო, საბრალომ, ვინ მომაშაგებს ბედ-შავსა?
ე შავი მიწა მაინცა რომ სასუიდლად არა მქონდა,
შავ სამარემდინ—რა ვიცი—მე რაღა დამადონებდა?“

(„ბერუას ჩივილი“, გვ. 189)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ გგონიათ, რომ მარტო ბერუა ჩაეფიქრებინოს ასეთს სოციალურს და ეკონომიურს უსამართლობას და მოუწყობლობას,—სესიაც ფიქრებს წაულია და ძალზე დაულონებია ცხოვრებაში გამეფებულს წეწვა-გლეჯას და შრომის ექსპლოატაციას. მწარე ფიქრებით მოცული, აი რას დუდუნებს სესია:

„მიწა ვარ ნიადაგ მენა, ბეჩავი, გლეხად შობილი.
მიწაა ჩემი დედ-მამა, ჩემი და, ჩემი ძმობილი...
ვხნავ, ვთესავ, ვებრძვი მიწასა, ე შრომა მაინც ფუჭია,—
ვერ გადვირჩინე წლის სარჩო, ვერ გამოვიძღე კუჭია...
მიწის პატრონიც მე მწიწკნის, ჭინჭვლიც ჩემი მტერია,
მოხელე, მდვდელი და ერი—ყველა მე შემომტერია...
ნეტავი გამაგებინა: როდისდა მომასვენებენ?
ვერ შავესწრები, მგონია, მინამ არ წამასვენებენ!“
(,,სესიას ფიქრი'', გვ. 189).

ჩვენ აქ ბლომად ამოვსწერეთ ლექსები, მაგრამ ეს დიდად საჭირო იყო ჩვენის მიზნისთვის, რომელიც, როგორც ქვემორე ამისა დაინახავს პატივცემული მკითხველი, იმაში მდგომარეობს, რომ რ. ერისთავზე ქართულს ლიტერატურაში და საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულობა—ვითომც იგი ჩვენი გლეხობის საუკეთესო გულის მესაიდუმლე იყოს—ჩვენის პატარა განსჯით და მოსაზრებით ნახევრად მაინც შევკვეცოთ. დე, ჩვენი ეს სურვილი ზოგიერთებმა კადნიერებად ჩამოგვართონ,—ჩვენ მაინც, ჩვენის უანგარო რწმენით, ჩვენსას ვიტყვით... დაკვირვებულმა მკითხველმა კი თვით გასაჯოს და მსჯავრი დასდოს.

—

როგორც მკითხველიც შეამჩნევდა, რ. ერისთავი ჩვენი ერის ერთ უდიდეს ნაწილის—გლეხობის თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო ფიზიოლოგიურს, ეკონომიურს და კოსმოლოგიურს გრძნობა—აზროვნებას გამოგვიხატავს თვის უკანასკნელ დროის ლექსებში. რ. ერისთავის გლეხი და მისი გრძნობა, აზროვნება, იდეალი, ნატვრა და იმედი გადამეტებით მიწიერია, მიწის სული უდის, თითქმის მცენარეულია. მგოსნის გლეხი მიწას ჩასჩერებია, მას ჩაჰკვრია გრძნობა-გონებით, მაღლა არ იხედება, წარსულს არ იგონებს, მომავალს მხოლოდ ფიზიოლოგიურის თვალსაზრისით უყურებს; მას თითქმის დავიწყნია, რომ ,,არა მარტო პურით ცხონდების კაცი''. სუყველაფერი ის, რაც ხვნა-თესვის მექანიკურ პროცესს, მოსავალ-მოუსავლობას და სმაჭამას გასცილებია, მას აზროვნებას არ უმოძრავებს.

ვიმეორებთ, რ. ერისთავი ქართველ გლეხის გულის მესაიდუმლედ ითვლება. მაგრამ ეს შეხედულობა მხოლოდ ნახევრადაა მართალი. პოეტმა ამ წოდების გრძნობა-გონების მხოლოდ ერთი მხარე დაგვიხატა და გაგვაცნო. საქმე ის არის, რომ რ. ერისთავს ქართველი გლეხი გამოყავს გადამეტებულად ბედთან შერიგებული, დაწყნარებული და დამშვიდებული, უპროტესტო, ოპტიმისტი. საერთოდ ასეთი ქართველი გლეხობა, ჩვენ გვგონია, რომ მხოლოდ პოეტის ოცნების და ფან-

ტაზიის ნაყოფია და სინამდვილეს არ შეეფერება. პოეტის ქართველი გლეხის სახე რუსის ოპტიმისტ „ნაროდნიკების“ გლეხის სუფთად გადაწერილი ასლია და არა რეალური, ნამდვილი და ორგინალური ქართველი გლეხის ტიპი. რ. ერისთავის გლეხს ძლიერ ცოტა ეტყობა საზოგადოდ ქართველ გლეხობის, ჩვენი დაბალ წოდების, ძირითადი თვისებები: ბედთან შეურიგებლობა. თუმცა ხანმოკლე (სხვა ერებთან შედარებით), მაგრამ ძლიერი აფფექტიური ვნებათა ღელვა, დაუცხრომელი და მწვავე უკმაყოფილება, პროტესტი, თუ გნებავსთ, ახირებაც... ამისთვის, ჩვენის აზრით, ყალბ იდეალიზაციათ უნდა ჩაითვალოს რ. ერისთავის ქართველი გლეხის სამაგალითო თავდაბლობა, სიმშვიდე, აუშფოთველობა და ბედის მორჩილება.

თავდაბლობის და ბედთან შერიგების ფილოსოფიას ჩვენში თავიდგანვე ადგილი არა ჰქონია, რადგანაც ქართველი ერის თანდაყოლილ თვისებანი და საქართველოს ეტნოგრაფიული და ისტორიული მდგომარეობა ხელს არ უწყობდა მათ გაჩენას და დამკვიდრებას. უაზროდ, შეუგნებლად, მოუფიქრებლად, მით უმეტეს, ლაჩრულად, პირუტყულად ის არც ერთს ძალას, შინაურს და გარეულს, სასულიეროს და საეროს, არ ემორჩილებოდა და არ გაყვებოდა. მაგალითი უთვალავია. ვინ იცის, ეს შეიძლება ჩვენი ეროვნული ნაკლიც იყოს; ვინ იცის, შეიძლება ამ თვისების (მიყოლის, მორჩილების) უქონლობამ შეაფერხა და შეაჩერა ჩვენი ისტორიული ცხოვრებაც, მაგრამ ; არ გვქონია, რაც არა გვაქვს და რაც არ შეადგენს ჩვენს ეროვნულს თვისებას, იმისი ხელოვნურად მითვისება და მიჩემება ყოველს შემთხვევაში სიყალბეა!

ჟუკოვსკი თავისი ბედთან შერიგების ფილოსოფიით და სარწმუნოებრივ მისტიციზმით რუსის ერის ნამდვილი შვილია. მისი ზნეობრივ პოლიტიკურ მრწამსის იდეალოგია.

კოლცოვი, თავის მომეტებულ შემთხვევაში ბედთან შერიგებულ გლეხით და მისი ცხოვრების ნათელ მხარეების დახატვით, რუსის საზოგადოების და იმპ. ნიკოლოზ 1-ს დროის შვილია.

ტურგენევი, მარკო-ვოვჩოკი, ზალოტარიევი და ზოგიერთი სხვა, როცა რუსის გლეხს აგვიწერენ, როგორც უზომოდ მომთმენს, უპროტესტოს და ბედთან შერიგებულს, რეალურს ნიადაგზე დგანან და სინამდვილეს არ ღალატობენ.

რ ერისთავი კი თავისი ნასესხი შეხედულობით სინამდვილეს დაშორებია. ამისათვის მისგან გამოქადნაკებულ ქართველ გლეხის სახე შეიძლება სასურველიც და იდიალურიც იყოს, მაგრამ ნამდვილი და ცოცხალი კი არ არის... ნუ თუ ჩვენს მგოსანს დაავიწყდა ჩვენი ისტორიული წარსული და არ მოაგონდა 1802 წ. მთიულეთში, 1809 კახეთში და მესამოცე წლები სამეგრელოში?! ყველამ ვიცით, თუ რა როლს თამაშობდა ჩვენი გლეხობა მოხსენებულ ხანებში და რა ნაირი თვისებები გამოიჩინა! ეს უნდა ცოდნოდა ჩვენს მგოსანს, ფაქტებს და ცხოვრებას უნდა ჩაჰკვირვებოდა (შემთხვევაც ჰქონდა, რადგანაც საქართველოს ყველა კუთხეში უმსახურნია) და ისე სინამდვილით უნდა დაესურათებინა გლეხი და მისი სულის კვეთება. მხოლოდ მაშინ ის გახდებოდა მისი სულის მესაიდუმლე. დღეს კი ამ საპატიო სახელს, მთლად მაინც, ვერ ატარებს.

ეროვნული

ვინც საზოგადოდ ქართველი გლეხის (ჩვენ ხაზს უსვამთ ამ სიტყვებს) აზრს და მჯელობას დაჰკვირვებია, უსათუოდ შეამჩნევდა, რომ მომეტებული მათგანი თავისის ფხიზელის გონებით და ღრმა დაკვირვებით ჩასწდომია საზოგადოებრივ და სოციალურ კითხვებს, ამ სფეროში მოუწყობლობის ძირითადს მიზეზებს და ხშირად მსმენელს აკვირვებს თავისი მოსაზრების, აზროვნების, და ჩახედულობის სიმართლით და სისწორით.

რ. ერისთავის გლეხს კი იშვიათად წამოცდება მძლავრი უკმაყოფილება. მომეტებულს შემთხვევაში მისი სევდა-ჩივილი ჩუმია, მისი გოდებას სიმწვავე აკლია, მისი უკმაყოფილება პასიურია და მთლად მის სულიერს განწყობილებას უძლურების და დაბეჩავების ბეჭედი აზის. სიბეჩავე-უძლურებაა, მაშ რა არის, როდესაც რ. ერისთავის გლეხი მაშინაც ვერ იჩენს ჯეროვან გულის წყრომას და შებრძოლების სურვილს, როდესაც „მამასახლისმა“ „სულით-ხორცამდე გასცალეს“. ასეთს მდგომარეობაში ის მხოლოდ უმწეულონოდ გოდებს:

„რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე,
რით მოვიცილო ჭირია!
ეველა მე ჩამომეკიდა,—
სოფლის მოხელე, გზირია“...

—

ერისთავის ლექსები—იდილიები სამართლიანად უნდა ჩაითვალოს შედევრად ჩვენს ლიტერატურაში. სხვა ერების ლიტერატურაშიაც იშვიათად შეხვდებით ასეთს ლამაზს, მდაბიოს და მასთან აზრიანს ნაწარმოებებს. აქ, ამ დარგში, ჩვენი პოეტი სწორედ მომჯადოებელს ხელოვანობას და გემოვნებას იჩენს. აი აქ არის ის ნამდვილი შვილი თავის ქვეყნისა, ნამდვილი ეროვნული მგოსანი! რ. ერისთავი განსაკვიფრებელის ოსტატობით ამშვენიერებს და წარმტაც ელფერს სდებს ყოველსავე მომენტს სოფლურ მუშაობისას, ყოველს ჩვეულებრივს სოფლურს შემთხვევას. ეტყობა, რომ პოეტის ძლიერი ფანტაზია, მისი მგრძნობიარე გული დამეგობრებია ხალხის საქმიანობას და ადათ-ჩვეულებებს და ისე შეუსისხლხორცებია ისინი, რომ თქვენ ილიუზიას ეძლევით, როცა ამ იდილიებს კითხულობთ: გგონიათ, რომ მათი დამწერი განათლებული თავადისშვილი კი არ არის და ავტორს დაუწერია ისინი არა მე-XIXსაუკუნეში, არამედ შექმნილია თვით ხალხისაგან უხსოვარ დროიდგან! შეუდარებელია შემდეგი იდილიები: „გუთანი“ (გვ. 183), „ყანა“ (168), „პურის მოსავალი“, „რთველი“ (158), „გაზაფხული“ (157), „ბზობა“ (151), „აღდგომა“ (149), „მერცხალი“ (148), „ზამთარი“ (144), „მიპატიჟება სასწავლებელში“ (200), „ჯერ შრომა, მერე ხტომა“ (201), „მევენახის სიმღერა“ (233) და სხვ.

ეს ლექსები ისეთი მშვენიერია, რომ მათზე ბაასი ძნელიც არის და ადვილიც. ძნელია, თუ რომ მათს სიმშვენიერეზე ტლანქი და მოუხეშავი პროზით ილაპარაკეთ და აზრის დასასაბუთებლად მხოლოდ ნაწყვეტები ამოსწერეთ. მათი მშვენიერების ღირსეულად გადმომცემი თვით უნდა იყოს რ. ერისთავის ბადალი პოეტი—ხელოვანი...

ადვილია, თუ რომ ამ ლექსებს მთლად ამოსწერთ და თავისის ცხად ღირსებებით თვით აალაპარაკებთ. ეს კი უადგილობისა გამო მოუხერხებელია... დეე, ქართველმა მკითხველმა თითონ ჩამოულოს თაროდგან, ვინ იცის დამტვერიანებული, კრებული რ. ერისთავის ლექსებისა და ერთ-

ხელ კიდევ დასტკბეს მისი იდილიების სიმშვენიერით! მაგრამ, ვაგლახ, ჩვენ, ქართველებს, ასეთი ნამდვილი ინტელიგენტური ჩვეულება რომ არ შეგვითვისებია! ჩვენ, სამწუხაროდ, არამც თუ საფუძვლიანად არ შევისწავლით ხოლმე ჩვენს მწერლებს, მათი ერთჯერაც გადაკითხვაც გვეძნელება. რა ვქნათ: დრო არა გვაქვს, ბატონებო(?!)

ჩვენ შევნიშნეთ, რომ თავის შემოქმედების მეორე ხანაში რ. ერისთავი უმთავრესად ქართველი გლეხის ჭირ-ვარამს გვიხატავს. რაც შეეხება მოქალაქობრივ მოტივებს, პოეტის შემოქმედებაში წინეთ და ახლაც მათს მხოლოდ სუსტ ნასახს შეხვდებით. რ. ერისთავის ლექსთა კრებულში, რომელშიაც 383 გვერდია, თქვენ ვერ დაინახავთ გარკვეულს და მკაფიოდ გამოთქმულს ფიქრს და აზრს ,,ქართლის ბედზე''. მხოლოდ ორს ლექსში ვამჩნევთ პოეტის წადილს შეეხოს ამ საკითხს, მაგრამ აქაც, თითქოს ერიდება მის მიკარებასაო, ცდილობს ისედაც სუსტი აზრი იგავარაკ-ალეგორიაში გაახვიოს (იხ. ,,დათვი და ცხვრები'', ,,სამზითაო'').

ოღონდ რა შესადარებელია ეს სუსტი ალლეგორია ნ. ბარათაშვილის ,,მწირი და სუმბულთან''?

აქა-იქ, ისიც ძლიერ იშვიათად, პოეტი გამოამჟღავნებს ხოლმე მოქალაქობრივ ხასიათის აზრს და გრძნობას; მაგ., ლექსში: ,,რას ერჩი მაგ ბიჭს თათარო?'' ან და რომელიმე პროვინციელის სიმღერა და გულის თქმაში გამოხატავს ეროვნულს სურვილს და მისწრაფებას (,,სამშობლო ხევსურისა'').

მხოლოდ ორს მშვენიერს ლექსში პოეტმა მშვიდად, პირდაპირ და ღრმად გამოსთქვა თავისი აზრი მამულის და დედა-ენის სიყვარულის გამო.

...,,კაცი ის არის (ამბობს პოეტი), ვინც
იბრძვის და იბრძვის ერისთვის,
ქვეყანას მისცემს შვებასა!

—

კაცი ის არის, ვინც მამულს
გამოადგება შვილადა,
ვისაც სამშობლო ტაძრად აქვს,
თავი—სამსხვერპლო წილადა,
ქვეყნისა ტრემლი—ჭირად უჩნს,
მისი ღიმილი—ლხინადა,
ვინც მისთვის თავსა შესწირავს,
მას შემოავლებს ფთილადა!

—

კაცი ის არის, ვინც მამულს
ეტრფის და ეთაყვანება,
ვისაც ვერ დასძლევს მტრის ოქრო,
ვერც მისი მკაცრი ბრძანება,
ვისაც სამშობლოს ოხვრისთვის
ლომ-გული მოეფხანება,
ვინც დასთხევს მისთვის წმინდა სისხლს,
მოწამეს დაემგვანება".

(,,კაცი ის არის'', გვ. 237).

მეორე ლექსში რ. ერისთავი ამბობს:

,,მიყვარს მე ენა ჩემის მშობლისა,
რომლითაც ,,ნანას'' მეტყოდა ისა,
ალერსს მაგონებს დედისას ტკბილსა,
ჩემი ტოლების მდერა-ყმღვილსა!
ენით ვცოცხალდვარ, მით მიყვარს ლხენა,
მიყვარს სამშობლოს მე დედა-ენა!
ნუ გრცხვენის, ძმაო, რომ გაქვს წყენა
მშობელს ენაზე მოთქმა, ტრემლთ დენა...
აკვანს და საფლავს ნუ კარგავ შენა,
თორემ დაგწყევლის შენც დედა-ენა''.

(,,დედა-ენა'', გვ. 147).

ამ ორს ლექსში, მომეტებულად პირველში, მოქალაქობრივი გრძნობა, მამულის სიყვარული მძლავრად და მხურვალედ არის გამოთქმული. ოღონდ ვსთხოვ მკითხველს დაიხსოვნოს შემდეგი: პირ-

ველი ლექსი („კაცი ის არი“) დაწერილია 1886 წელს, „დედა-ენა“ კი 1881 წელს, ე. ი. იმ დროს, როდესაც უკვე დიდი ხანი იყო, რაც აკაკის და ილიასი „დაფი და ნალარა“ გმირებს დაეძებდნენ და საზოგადოდ ყველას მოუწოდებდნენ მამულისათვის თავის დასადებად და სამსხვერპლოდ. ამ შემთხვევაშიაც, როგორც სჩანს, რ. ერისთავმა გაკაფულს გზაზე გაიარა და მხოლოდ საერთო გრძნობა-გატაცება კოხტად გამოხატა.

ერთის სიტყვით, ცხადზე უცხადესია, რომ რ. ერისთავი, როგორც მოაზრე-მოქალაქე, არამც თუ ნ. ბარათაშვილზე, არამედ ვახ. და გრ. ორბელიანებზედაც გაცილებით დაბლა სდგას. ის არამც თუ თანამედროვე „ქართლის ბედზე“ არ ჭმუნვარებს და ცრემლებს არ ღვრის, როგორც ნ. ბარათაშვილი, მისი წარსულ დიდებასაც კი არ დასტირის და არ აღმერთებს, როგორც ორბელიანები.

—

ბუნების აღწერაში, როგორც ყველა ჩვენი პირველ ხარისხოვანი მწერლები, რ. ერისთავიც დიდი ოსტატია. მხოლოდ ის ბუნებას აგვიწერს სრულებით უტენდენციოთ. პოეტს იზიდავს მხოლოდ წარმტაცი სურათები ბუნებისა, მათი სიმშვენიერე და მომხიბლელობა. გრძნობათა გამოთქმას, აზრთა ლირიკას ამ აღწერაში ადგილი არა აქვს. ბუნება და მისი მოვლენანი მგოსანს აინტერესებს თავისთავად. ის არ ცდილობს ჩაწვდეს ბუნების ცხოვრებაში, მისი მოვლენათა საიდუმლოებაში და გამონახოს მის წიაღში რაიმე აზრი და გრძნობა. რ. ერისთავი ბუნებას არ ასულდგმულებს და მას ადამიანთა თვისებას არ აწერს. პოეტს ბუნება ატკბობს თავისის გარეგანის ფორმებით და მათის სიმშვენიერით. საზოგადოდ, რ. ერისთავის ბუნების მოვლენათა დახატვა პლასტიკურია, ქანდაკებებს მოგაგონებს. ის მაგ., როგორ ასწერს მგოსანი „ჩანჩქარს“

„სხეტაკი, მთაში ნაშობი, კლდიდგან გადმოჭქუხს ჩანჩქარი,
ცვივა და ცვივა სხეკადი, ზვირთი ზვირთს მოსდევს ჩქარ-ჩქარა.
ზდვა წვიმად გამადებულა, ქუხს და ბუქი სდგას თქორისა,
შიგა ბუქნავენ, ცელქობენ სხივები მზისა შორისა!
დაბლა ქაფი სდუღს, შრიალებს, ჭბანს და რეცხს სადსა კლდოვანსა,
აქ ცისარტუელაც ამშვენებს ტუეს და ველს უვავიდოვანსა“. (179).

აი კიდევ აღწერა „კავკასიისა“.

„რას ვხედავ უზარ-მაზარსა?
შავსტქერი დადუმებული,
ცას ესწორება თხემებით
მთა, მთაზე აკიდებული!
აქ ლოდი, სიხი, ხიტალო
სატანას მოუთრევია,
კაჟი, ქვა, ქარწი, კირკადი
შეუძრავს, შეურეევია.

ასვრილა მიწა კენჭებში
და გოხის მოხანგრევია,
ესენი ნუ თუ ჯოჯხეთს
ურთ-ერთში აურევია!
მთა-მთაზე, გორა-გორაზე
შეუსვავს, დაუკვერცხია,
მზეს უხრავს მათი გვერდები
ნიადვარს ჩაურეცხია!
მოსხმიათ ნაძვის ძაგარი,
სხეტაკის ჩარდით მოსილან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი ხევ-ხევი დრადონიც,
ვეშვ, ქარ-გრიგალმა მოჭსილა!
აგია კავკასიის მთა,
ტურფა და დიდებულია,
ვაქო, ვით ვაქო, რომ ენა
ოტნებისაგან ბმულია
. . . . . .
უმზირეთ! კავკასის მთანი
ცის კამარასა სწვდებიან,
ეინვარის ჯავშნით მოსილნი
ბარს დანთქვას ემუქრებიან!
ახლავან ორბნი, არწივნი,
ჯიხვებიც ეხიზნებიან,
და ხშირად შავნი ღრუბელნი,
მოჭბურვენ, ესტუმრებიან;
მაშინ ელვანი მრისხანედ
გრგვინვენ და იკლანკებიან,
მათს ზექა-ქუხილს კლდე-ღრენიც
საზარლად ეძრახებიან!
ინათებს, დიდის მზის სხივზე
ღრუბლები აიერებიან,
აქ დაიბერტყვენ კალთებსა: —
თვალ-მარგალიტი ჭკრთებიან!
შეჭვურეთ, თხემნი კავკასის
ისევ სუფთაკად ჩნდებიან
და მედიდურნი, ტურფანი
ლაჟვარდს ცას ებჯინებიან!" (გვ. 249-51)

—ასეთივე ხასიათისაა ლექსები: „მაისი" (გვ. 270), ,,შავი ზღვა'' (37) და ,,სამი სურათი'' (265)...

—

რ. ერისთავი ჩვენში აგრეთვე ცნობილია, როგორც მშვენიერი მთარგმნელი კრილოვის იგავ-არაკებისა. მის კრებულში მოთავსებულია სულ 61 იგავ-არაკი. ზოგი მათგანი ისე მშვენიერად არის გადმოთარგმნილი, რომ ორიგინალს სრულებით უდრის ღირსებით. ვის არ ახსოვს, მაგ., მისი მშვენიერი, ბავშვობაში ზეპირად ნასწავლი, იგავ-არაკები: ,,კატა და ბულბული'', ,,ჭრიჭინა და ჭიანჭველა'', ,,მაიმუნი და სარკე'', ,,ვლეხი კაცი და თხა'' და სხვ. ეს იგავ-არაკები და ზოგიერთები სხვაც ჩვენს ქართულს სახელმძღვანელოებში შეტანილია... ჩვენ გვაქვს აგრეთვე აკაკის თარგმანი თითქმის კრილოვის სრული იგავ-არაკები.

ჩვენ შეუდარეთ რ. ერისთავის და აკაკის თარგმნები რუსულს ორიგინალს და მერე ერთმანეთს და იმ დასკვნამდის მივედით, რომ ორივე ჩვენი მწერალი მშვენიერად სთარგმნიან, თუმცა ძლიერ ძნელი სათარგმნია საზოგადოდ კრილოვი.— აკაკის თარგმანი უფრო თავისუფალი და მარტივია, რ. ერისთავის—უფრო დედანთან ახლო და სწორი. რომ გვკითხონ: ვისი თარგმანი სჯობია—აკაკის თუ რაფიელისო, გულახდილად ვიტყვით, რომ ორივე მშვენიერია. ოღონდ ის კი არის, რომ ზოგიერთი იგავ-არაკი უფრო კარგად აკაკის აქვს გადმოღებული, ზოგი კი - რ. ერისთავს. რომ ცოტაოდენი წარმოდგენა მაინც იქონიოს მკითხველმა კრილოვის, აკაკის და რაფიელის აზრთა გამოხატვის კილოსი და ხასიათისა, აქ ჩვენ მეტად არ მიგვაჩნია ამოვსწეროთ სანიმუშოდ ერთი ადგილი ,,ვირი და ბულბულიდგან".

კრილოვი: ...„Тутъ соловей являть свое искусство сталъ:
Защелкалъ, засвисталъ
На тысячу ладовъ, тянулъ,
Переливался;

ეროვნული ბიბლიოთეკა

То нѣжно онъ ослабѣвалъ
И томной вдалекѣ свирѣлью отдавался,
То мелкою дробью вдругъ по рощѣ разсыпался.
Внимало все тогда
Любимцу и пѣвцу Авроры:
Затихли вѣтерки, замолкли птичекъ хоры,
И прилегли стада.
Чуть-чуть дыша, пастухъ имъ любавался,
И только иногда,
Внимая соловью, пастушкѣ улыбался"...

—

აკაკი: „მდერალმა გამოიჩინა
აქ თავის ხელოვნება,
ათასნაირად დასტვინა
აიგზნო რა გულის ნება.

—

ნელ-ტკბილად იწყო მან მოთქმა:
ხან წყნარ ჭიკჭიკში სდნებოდა,
ხან მისი სალამურის ხმა
მთას და ველს ეფინებოდა.

—

ეურსა უგდებდა მდუმარე
ბანთიადისა მდერალსა,
მიდამო, არე და მარე
მთლად გაემსჭვალა მის ძალსა,

—

სიჩუმის აძევს მას თარდა,
არ იძვრის, დაწვა ნახირი,
სხვა ფრინველთ გუნდი დაწყნარდა,
ჩადგა ნიავი, ზეფირი.

—

და მწყემსი ალალვებული
სუნთქვასაც ძლივსდა ბედავდა,
მხოლოდ უძგერდა გულ-გული,
სატრფოს რომ მღიმარს ხედავდა"..

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. ერისთავი:

„მოჭეფა ბულბული: დაჭკივდა, დასტვინა, დაზრიალდა,
ხან მადლა ფარდში ასწია, ხან წუსარად ჩაწკრიალდა,
ხან ძირს დაუშვა ბუტბუტით, გაჩუმდა, შეიქექანა!..
კვლავ ტკბილი ენა
არ დაუენა,—
შორს მოისმოდა ბულბულის სტვენა:
ხან ამაყი, ზავთიანი, ხან წმინდა, ვით სალამური,
ხან გლოვის ხმით, სევდიანი, ხან ტკბილი და საამური!
ტუეც ბანს აძლევდა,
სიო შეჩერდა,
ყველა ფრინველებმა კატრუნეს სული,
მწუემსიც კი თრთოდა
და უტინოდა
ვისთვისაც იმას უძგერდა გული“.

—

ბოლოს ერთხელ კიდევ გაეახსენებთ მკითხველს ჩვენს აზრს რ. ერისთავის შემოქმედებაზე.— რ. ერისთავი მებრძოლ პოეტად არ არის დაბადებული. 1852 წლიდამ დაწყებული 1881 წლამდე მისი შემოქმედებას არ აშუქებს ჭეშმარიტი პრინციპი და გარკვეული იდეალი: მისი მუზა მხოლოდ „ვარდ-ბულბულის“ და „ღვინო კახურის“ სამეფოში უდარდელად დანავარდობს. ხალხის ყოფა-ცხოვრების, ჭირვარამის, სიამე-ბედნიერების მადლიან გამომთქმელ-გამომხატველი პოეტი შეიქმნა მას შემდეგ, რაც „ორმოცდა ათმა წელმა გაღუნა და კისერში ჩაუკაკუნა“ და როცა მეოთხმოციან წლებში შეიკრა ჯგუფი ქართველ ახალგაზდობისა, რომელმაც მიზნად დაისახა ხალხის ცხოვრების გაცნობა... დღეს ჩვენში ის ითვლება გლეხის „გულის მესაიდუმლედ“, მისი ჭირვარამის, ნეტარება-სიამოვნების მგოსნად. როგორც დავინახეთ, ეს აზრი ნახევრადაა მისაღები.

საპატიო ადგილი რიცხვით და ღირსებით რ. ერისთავის ლექსთა შორის იმ ლექსებს უჭირავს, რომლებშიაც გლეხის ცხოვრება და სხვა და სხვა სასოფლო საქმე და მოქმედებაა იდილიურად აღწერილი. პოეტს ძლიერ ემარჯვება ეს დარგი პოეზიისა და მეტოქეც არა ჰყავს ქართულს ლიტერატურაში; მისი ფანდური პირდაპირ ასეთის სიმღერისთვისაა მორთული და აწყობილი. ამ სფეროში რ. ერისთავი დაუვიწყარი და უკვდავია ჩვენს ლიტერატურაში.—მის ლექსებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს მოზარდ თაობისათვის და მართლაც ბევრი მათგანი შეტანილია ქართულს ქრესტომატიებში და ჭეშმარიტად საუკეთესო მასალას შეადგენს... აგრეთვე ყველა მისი ლექსები საუკეთესო წყაროა ქართულ ენის შესასწავლად, რადგანაც მათში განსაცვიფრებელის მოხერხებით და ოსტატობით შეტანილია მრავალი გაშალაშინებული და გაფაქიზებული, ეგრედ წოდებული, „ხალხური სიტყვები“...

იპ. ვართაგავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი აზრები

მე-XIX საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში

(გაგრძელება)

„დაცვა ვინაობისა, ენის, პირადობის, თავისუფლების, არსებითი თვისებაა ეროვნებისა*)... ხალხი ერთ ეკონომიურ და იურიდიულ უღელ ქვეშ მყოფი, ობიექტიურად უკვე მზათ არის ერთობისა და კავშირისათვის, ამას მხოლოდ შეგნება აკლია. მიეცით ხალხს ამასთანავე თვით ცნობიერება და ის დღევანდელ ჯოჯოხეთს ხვალ სამოთხედ აქცევს**) ასეთი აზრისავე იყო ილია ჭავჭავაძეც, როდესაც იგი 1859 წ. ნაღვლიანად დასცქერის თავის მიძინებულს „მშობელ ქვეყანას“ და გულამოსკვნილი კითხულობს:

„ოხ, დმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი,
რისდა გვდირსარ ჩვენ გადვიძებ?“-ო.

ილია დასტირის „ჩვენს ბედშაობას“, ჩვენს ერთობას დაკარგულს... წამხდარს გმირობას და მამულს დაობლებულს, „და მომავალ თაობას, ნანასთან ერთად, მამულისათვის თავის გაწირვას აგონებს. მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია, მამულისათვის სიკვდილი ვისაც დაზარებია“-ო.

რა აზრი აქვს მგოსნის თვალში ამ „მამულისათვის თავის განწირვას?“ ნუ თუ ისიც, როგორც მისი მოწინავე მგოსნებიც, ჩვენი ცხოვრების დანიშნულებას ისევ და ისევ სისხლის ღვრაში, ძლიერ მკლავში და თოფ-იარაღის ტრიალში ჰხედავს?! როგორ უნდა შეუთანხმოთ ერთმანეთს ჰუმანიური ბუნება და აზრები მგოსნისა, როდესაც მაღლიდან წამ და უწუმ მოესმის: „კაცო, გიყვარდეს“-ო, რომელიც ჭლამობს მთელს ცხოვრებას წინ ლამპრად ეს სიყვარული წარუმძღვაროს და ის წასული საუკუნების რაინდი, რომელსაც სიმართლე თავისი ხმლის წვერზე დააქვს? ილია სიამით იგონებს სამშობლოს დიდებული წარსულს,

„იმ დროს, როცა ქართველის ბედი
ჩვენ ქართველოვე გვეპყრა ხელში,
როცა მამულის შვილობა
სასახელოდ იყო ჩვენში“,... და სხ.

მაგრამ იგი საკმაოდ განვითარებული და ფხიზელ-გონებიანი მწერალი იყო, რომ გულხელი არ დაეკრიფა და მთლად მოგონებად არ გადაქცეულიყო; არა, იგი თამამად ამბობს:

«მას ნუდარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალო დროს ხელით დანთქმულა...
მოვიკალთ წარსულ დროებზე დარდი!..
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს:
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ შეოხბადი
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს!“

ხალხის ამ მომავალზე ჰფიქრობდა ილია მთელ თავის სიცოცხლეში, იგი ცდილობდა ამ მყოფადისთვის ნიადაგის მომზადებას, არსებულ ღირებულებათა შეფასებას; იგი ხელს აძლევდა მათ კარგს მხარეებს და ჰკაფავდა წინ სასვლელ გზას. იგი მოითხოვდა მომავალ თაობისაგან „სულს

*) კვალი. 1903 წ. ჟორდანია.

**) მოამბე 1894 წ. ნ. ჟორდანია. ეკონომიური წარმატება და ეროვნება. №№ V, VI...

ინც საეჭვოთ ჭეოფეს იმას განდევნილ იეკვნენ მესხები აქედან სამშობლოთ, თუ არა. საქმე ის არის, რომ შემდეგ მათს შესვლას ამ ქვეყანაში წარწერები ადარ იცნობენ, მაგრამ კუმუხში თუ მის ახლო კი ისევ იხსენიებიან ესენი—ასურნაზპალი (884-სა) მაგალითად შემდეგს მოგვითხრობს: „მე გავიდაშვრე იმ ქალაქებიდან, რომელნიც ნიშურის და პასატოს მთების კალთებზე მდებარეობენ, გადავიარე ტიგრისი და მიუახლოვდი კუმუხს და მივიდე ხარკათ კუმუხების და მუსკებისგან სპილენძის ჭურჭელი, საქონელი და ღვინო“. ამისდა მიხედვით მე მგონია ძველი სოფიქრელი არა, რომ მესხები, მიუხედავად დამარცხებისა, მაინც ჩარჩენილან კუმუხში. შეიძლება იგივე ტიგლატ-პილესარის მეორე წლის დაშვრობა კუმუხში ისევ მათ წინააღმდეგ ეოფილიეოს მიმართული; ეოველ შემთხვევაში ის მაინც ფაქტად რჩება, რომ მეცხრე საუკუნის ნახევარს მესხები აქვე იპოებოდენ. ამ ფაქტს ანგარიშს უწევენ, როგორც ჭომელი, ისე მაიერი. მხოლოდ ვინკლერი სცდილობს დაგვარწმუნოს, რომ კუმუხში მესხებზე დაპარაკი ზედმეტია და ასურნაზირპალი ტიგლატ-პილესარ პირველის ნამოქმედარს აწერს აქ ოავისოავსო.

ტიგლატ პილესარ პირველის ხანასვე ეკუთვნის მეორე ქართველ ტომის სახელდობრ კასკების პირველი ხსენება. წარწერა შემდეგს მოგვითხრობს მათ შესახებ: „4 ათასმა კასკმა და ურუმელმა ხეტთა კაცებმა, თავის იმედულებმა დაიპურეს სუბარტის ქალაქები, რომელნიც ჩემი უფლის ასურის ქვეშევრდომებთ ითვლებოდენ. მაგრამ მათ მალე ესმათ ჩემი სუბარტუში გალაშქრების შესახებ. ჩემმა გმირულმა სიმაცრემ დაამხო ისინი ძირს. ბრძოლის ველ გამბედავნი ისინი მომეხვევნენ ფეხებზე. მე დავატყვევე ესენი და მთელი თავის ქონებით 120 ათასი ეტლით, წამოვასხი თან და შეუერთე ჩემი ქვეყნის მცხოვრებთ“. ეს თარგმანი იმდენად არეულია, რომ მას არავითარი კომენტარი არ გაუწყობა. ზემოთ მოყვანილი ტექსტი ფინკლერის თარგმანს წარმოადგენს: შრადერს კი ამ ტექსტის დასაწყისი ესე აქვს გადათარგმნილი: „4 ათასმა კასკმა და ურუმეელმა ხეტთა ქვეყნის ჯარის-კაცებმა“. დაბოლოს შტრეკი ასე ასხვაფერებს ამ ადგილს: „4 ათასმა კასკმა და ურუმეელმა და ხეტის ქვეყნის ჯარის კაცებმა... თუ კასკები აქ მართლა ხეტელების ჯარისკაცებათ იხსენიებიან, მაშინ შრადერთან ერთად უნდა ვიფიქროთ, რომ ესენი დაქირავებულ ჯარს წარმოადგენდნენ. თუ ეს თარგმანი სწორი არაა, მაშინ, რასკვირველია, ეს ახსნაც სწორე არ იქნება. ასეა თუ ისე, თუმცა ეს წარწერა ბევრს არას გვეუბნება მათ შესახებ, მაგრამ იშის დასკვნის ნებას მაინც გვაძლევს, რომ კასკები მუსკებთან და ტაბალებთან ერთად დაძრულან ჩრდილოეთიდამ. როგორც ვინკლერიც ფიქრობს, თუმცა ტაბალები გალიდებით უფრო გვიან იხსენებიან ასურულ წარწერებში, ვიდრე ზემო ხსენებული ორი ტომი. შემდეგ ტიგლატ პილესარ პირველის წარწერები იხსენიებენ კიდევ ერთს ჩვენთვის საინტერესო ტომს, სახელდობრ დაიაინებს—დაია-ებს. ამ ტომს, როგორც მაიერი და ბელკი, ისე ჩვენი პატივცემული ისტორიკოსი მ. ჯანაშვილი ტოტების უკავშირებენ—ტოსკარის მცხოვრებთ. ეს დაკავშირება ჩემის აზრით მეტად საეჭვოა. როგორც შტრეკი გვარწმუნებს ამ ქვეყანას ნაირის ქვეყნის ყველაზე ჩრდილო დასავლეთი ნაწილი ეჭირა. რა კი ნაირის ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი ეურარტის და არაქსის სათავეების შეიცავდა საერთოთ, ამიტომ ზემოთ მოყვანილი განსაზღვრა აშკარათ მიგვითითებს ტოზზე, სადაც დიდებული გეოგრაფიის კიპერტის აზრით მცხოვრებთა უმრავლესობა მუდამ ქართველებს ეკუთვნოდა. ნაირის ქვეყანა, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ტიგლატპილესარის

დრო̈ს ურარტუ გამო̈ო̈ფილი, ამ უკანასკნელმა დაიპყრო̈, მაგრამ ტა̈ო̈ს მაშინდელი მეფე მაინც არ დამო̈ო̈ჩიდებია მას, და ამიტო̈მ ასურეთის მეფეს სპეციალურად გაუდაშქრებია მის წინააღმდეგ. წარწერა ესე გადმო̈გვცემს ამ ამბავს: დაიპინთ მეფე სინი, რო̈მელიც ჩემს უფალს ასურს არ დაემო̈ო̈ჩიდა მე დავტეგეგე და შებო̈ჭილი ჩამოვიყვანე ჩემს ქალაქ ასურში. აქ შევიწყალე იგი, მივანდე მას დიდი დმერთების მსახურება და გავანთავისუფლე. ნაირის დიდი ქვეყნები მთელი სიგრძე სიგანით დავიპყარ, მათი მეფენი დავიმო̈ო̈ჩიდე".

შემდეგი ქართველი ტო̈მი ტაბალა პირველათ მხო̈ლო̈დ მეცხრე საუკუნიდამ იხსენიება წარწერებში. თუმცა ეს ასეა, მაგრამ, რო̈გო̈რც ზემო̈თაც აღვნიშნეთ, ვინკლერის არ იყო̈ ეჭვს გარეშეა, რო̈მ ეს ტო̈მიც იმ დრო̈ს უნდა იყო̈ ჩამო̈სული რო̈გო̈რც მესხები და კო̈ლხები. სალმანასარ მეII წარწერა შემდეგს გვაუწყებს მათ შესახებ: ჩემი მეფობის მეXXII წელს მეXXI ჯერ გადავიარე ეფრატი, ჩავედ ტაბალის ქვეყანაში და 24 მეფისგან საჩუქრები მივიღე მე ავედ ტუ....ს მთებში, სადაც ვერცხლი და გიშერი იბო̈ებო̈და. უფალაზე საუკარადღებო̈ ამ მო̈ო̈ბაში ეს 24 მეფის სახელებაა თუ დაუკავშირებთ ამ მო̈ო̈ბას ზემო̈თ მო̈ყვანილს, სადაც მესხების ხუთი მეფე იხსენიება, თუ მივიღებთ იმასაც მხედველო̈ბაში, რო̈მ იგივე ტიგლატ-პილესარი, რამდენადაც მახსო̈ვს, ნაირის ქვეყანაში 23 მეფეს იხსენიებს, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, რო̈მ რო̈გო̈რც ძველი ქართველების საბინადრო̈, ისე მთელი ჩრდილო̈ეთი დასახლო̈ებით ისეთსავე სურათს წარმო̈ადგენდა, რო̈გო̈რც ნაპო̈ლეო̈ნის წინადრო̈ის გერმანია. ესე იგი ისიც ურიცხვ პაწია სამთავრო̈ებათ იყო̈ დაყო̈ფილი. ამ მხრივ ამ ო̈რი ქვეყნის შუა სრული ანალო̈გია, მაგრამ უფრო̈ შო̈რს მას მაინც ვერ გავუგებით. გერმანულ სამთავრო̈ებს არავითარი ო̈რგანიულ-პო̈ლიტიკური კავშირი არ ჰქო̈ნიათ ერთმანერთთან, აქ კი ეს ცალცალკე სამთავრო̈ები მაინც ერთი მთლიანი ტაბალთ ან მუსკების სამეფო̈ს ნაწილებს წარმო̈ადგენდენ. ამის დასამტკიცებელათ ის საბუთიც კმარა, რო̈მ წარწერებში ხშირათ ტაბალთ ან მუსკების მეფე იხსენიება და არა მეფეები. ვარაუდით მაშინდელი ქართველი ტო̈მების პო̈ლიტიკური ვინაობა ესე უნდა წარმო̈ვიდგინო̈თ: რო̈გო̈რც ტაბალი, ისე მუსკები ამა თუ იმ თართ ტერიტო̈რიაზე გაბატო̈ნებულ ტო̈მს წარმო̈ადგენს. ეს ტერიტო̈რია მრავალ პატარ-პატარა სამთავრო̈ებათაა დაყო̈ფილი, რო̈მელთაგანაც ო̈ო̈ველგანს საკუთარი გამგე ჰყავს. მაგრამ ყველა ეს გამგეები ერთს თავისთაგანს ექვემდებარებიან, ალბათ მხო̈ლო̈დ გარეშე პო̈ლიტიკის შესახებ კითხვებში. თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვითქვა, რო̈მ იმ დრო̈ის მეფე უფლებით იგივე რუსეთის ფეო̈დალური ხანის დიდი მთავარია, ერთიც და მეო̈ო̈რეც მხო̈ლო̈დ პირველია სწო̈რთა შო̈რის (primus inter pares). პრიმუსო̈ბას კი, რო̈გო̈რც სამართლიანად თქვა ვინკლერი, ან თვითო̈ნ ისაკუთრებდა რო̈მელიმე ძლიერი მთავარი, ან კიდევ გარეშე ძალა, გარეშე სახელმწიფო̈ ანიჭებდა მას. ზემო̈თ მო̈ყვანილის დასასაბუთებელად შემდეგია საკმა̈ო̈: წარწერებში ხშირათ იხსენიება ერთი და იგივე პირი, ჯერ პაწია სამთავრო̈ს გამგეთ, შემდეგ კი ტაბალთ მეფეთ. კიაკკის მაგალითად სარგო̈ნის წარწერები, ზო̈გგან შო̈ნუსტუს მეფედ იხსენიებენ, ზო̈გგან კი ტაბალასა. ასევე ო̈რგვარათ იხსენიებენ მელიტენელ მუკალელს ასარჰადო̈ნის თუ ასურბანიპალის შეკითხვები.

რაც შეეხება მეო̈რე პუნქტს, ესე იგი იმას, რო̈მ დიდი მთავარი ხშირად გარეშე ძალის წაქეზებით მო̈ხვდებო̈და ხო̈ლმე ტახტზე, ამაზე პირდაპირ მიგვითითებს ტაბალების შესახებ შემდეგი წარწერა, რო̈მელიც ტიგლატ-პილესარ (745—27) მესამეს ეკუთვნის „ტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალდადი უსინრმოო, გვეუბნება ტიგლატ-პილესარი, უგულოთ უეურებდა ასურეთის მოქმედებას და არ გამოცხადდა ჩემს წინაშე. (არ დამიმტკიცა თავის მორჩილება). ჩემი მოხელე რაშ-(საკი). ..... გამოტოგებულია.

მის სამეფო ტახტზე მე დავსვი ხულადი, უგვარტომო კაცი. 10 ტალანტი ოქრო, 1000 ტალანტი ვერცხლი 2000 ცხენი ..... აკლია. ეს მოწმობა, სხვათა შორის, კიდევ იმითაა საეურადღებო, რომ გვაჩვენებს რამდენათ მდიდარი და მნიშვნელოვანი ეოფილა ტაბალების სამეფო. დარიბი და უმნიშვნელო ქვეყანა ვერ შეიძლებდა, რასაკვირველია, ასეთი დიდი ხარკის გადახდას.

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ ხარკზე ტიგლატ პილესარის წინა მეფეებიც დაპარაკობენ, მაგრამ მაიერის თუ ჭომმელის არ იეოს, ასეთ ხარკს უსათუოდ დროებითი და შემთხვევითი ხასიათი ჭქონდა. მას ადბათ მხოლოდ მაშინ იხდიდენ დასახლებული ტომები, როდესაც ასურეთის ჯარი ადგათ მათ კარზე. ზემოთ დასახლებული მეფის დროს კი მდგომარეობა უნდა შეცვლილიეო. ტიგლატ-პილესარ მე-III ის მეფე გახლავთ, რომელმაც დასცა აქნამდი მეტათ ძლიერი ურარტუს დიდება, აადებინა მას სირიაზე ხელი და თვით დაისაკუთრა იგი. სირიის დაპურობას და მასში მომაგრებას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, რასაკვირველია, მეზობელ ტაბალის სამთავროებისთვის. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ამის შემდეგ ხარკს უფრო რეგულიარული ხასიათი უნდა ჭქონოდა. ესე იგი სხვა სიტეეებით რომ ვსთქვათ, სირიის დაპურობის შემდეგ ასურეთს შეეძლო თუ სამუდამოთ არა, ეპიზოდიურად მაინც თავის ხროვინტიათ ექცია ტაბალის და შესაძლოა მუსკების ქვეყანაც. ასეთ შემთხვევას უნდა ჭქონოდა ადგილი ტიგლატ-პილესარის დროს. თავის თავად ცხადია, რომ მაშინდელი ძლიერების მექონი ქართველი ტომები ძალიან ძნელად იტანდნენ ასურეთის უღელს და ეოველ შემთხვევას სარგებლობდნენ რაც შეიძლება არდე მოელოთ ბოლო ასურეთის ხანმოკლე ბატონობისთვის. შემდეგი წარწერები საკმაოდ ცხადად გვიხატავენ ამ განუწყეტელ ბრძოლის სურათს. ბრძოლისა, რომელიც მხოლოდ მაშინ შესწყდა, როდესაც ასურეთიც დაეცა და ქართველი ტომების ძლიერებაც. მაშასადამე ასურეთის ქართველ ტომებზე ბატონობაზე დაპარაკი ზედმეტია. ეს ბატონობა სემიტების სახელმწიფომ ვერ განახორციელა სერიოზთ. ბირიქით ხშირათ თვით ეს ტომები მიდიოდნენ იერიშით ასურეთზე და იბურობდნენ მის ბროვინციებს.

სარგონის წარწერები მშვენიერათ აშუქებენ ამ განუწყეტელ ბრძოლას ტიგლატპილესარ მესამის დროს თითქოს დაბურობილ—ტაბალის სამთავროებს სარგონის დროს ისევ ასურეთის მოწინააღმდეგეთა რიცხვში ვხედავთ. აი რას მოგვითხრობს ეს მეფე ამ შეჯახებების შესახებ. (სასახლე სარგონისა) „რომელმაც ქალაქი შინუხტუ ადგავა ბირისაგან მიწისა, კიაკო მეფე ტაბალისა, თავის ქალაქ ასურში ჩამოიყვანა და მუსკების ქვეყანას თავის უღელი დაადგა. Prink-ი ესე გადმოგვცემს ამ ამბავს „შინუხტელმა კიაკიმ მოისურვა თავიდამ მოეცილებია ასურის უღელი და ადარ მომართვა ძღვენი. მე დავატეეეე იგი თავის 30 სალმარი ეტლით და 7350 მეომრით. მისი უმთავრესი ქალაქი შინუსტუ გადავეც მე ტუნელ მატტის. მიუმატე მის წინანდელ ხარკს ცხენები და სხვა საქონელი და დავაკისრე ეხადა მას“. შემდეგი წარწერა ამავე მეფისა შემდეგს მოგვითხრობს ტაბალელი კიდევ სხვა მთავარის შესახებ: „ტაბალელი ამბარიდ (მეფე) ბიტ-ბურიტიშისა... მათი ქალაქები... ჩემი სამართლიანობის გამო ჭულადი დავსვი თავის ტახტზე. მე შევკრიბე ბიტ-ბურიტიშის მცხოვრებნი და ჩავაბარე მას ხელში. მისი მამის სიცოცხლეში

მე მას (ამრისს) ვაჩუქე—მივეც მას ჩემი ქალი და თან კილიკიაც, რითაც სამეფოზელო გაუდიდე. მან კი დაუდეგარმა არ ძემინახა ერთგულება და ურარტელ ურსას მუსკელ მიტას და ტაბალელ ( ) ჩემი სამეფოზელოს წართმევის შესახებ სწერდა. ეს ბიტ-ბურტიში—ანუ სამთავრო ბურიტიში ტაბალის ერთი სამთავროთაგანია. ნება მიბოძეთ აქვე ადგნიშნოთ, თუ რის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ასეა, ამის დასამტკიცებლათ, გელტერის არ იყოს, ჯერ ისიც კმარა, რომ ამბრო აქ ტაბალელათ იხსენიება. შემდეგ ამასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება.

ერთს ადგილს დაბერობილ ბროვინციათა რიგი ესე მიუვება: ტაბოლ, ბიტ-ბურუტი, კილიკია. ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ ეს კილიკია ტაბალის მოსაზღვრე ქვეყანა იყო. რადგან, გელტერის არ იყოს, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა სარგონს მითი ამბროს სამეფოზელო გაეფართოებია; მაშასადამე ბიტ ბურუტაც ტაბალის ქვეყნის ნაწილი ყოფილა. ამავე ქვეყნის ნაწილი ყოფილა გელტერის აზრით მელიტენეც, რომელზედ ქვემოთ გვექნება დაპარაკი. სიბუთად მას ის მოჰყავს, რომ სარგონის წარწერები მელიტენეს მთავარ ქალაქს ტიდგარიმნუს უწოდებენ; სანქენიბისა კი ტაბალთ ქალაქად იხსენიებენ მას.

როგორც შემდეგი წარწერა გვიჩვენებს არც მელიტენე ყოფილა სარგონის დროს დამცხრალი და დამორჩილებული. „მოლიდელმა ტარ-ხუნტიმ, გვაუწყებს წარწერა, დაჰგმო ღმერთთა ბრძანება, ემზადებოდა ჩემს საწინააღმდეგოთ და ადარ მოამართვა ძღვენი. გაბრაზებულმა მე ქოთანივით დავამსხვრიე მისი მთავარი ქალაქი მიდოდი და მისი ახლო დაბები, თვით იგი (ესე იგი ტარხუნატი) თავის ცოლით, შვილებით და ქალიშვილებით, 5 ათასი მეომრით ტიდ-გარიმნუდამ და მისი სასახლის მთელი ქონებით დატყვევებული წამოვიყვანე. ტიდგარიმნუში ხელახლა გავაშენე“.

სამივე ეს წარწერა საკმაოდ ცხადად გვაუწყებს ტაბალის და მისი სამთავროების ბედს. ესენი დამარცხებულნი არიან და ათხრებულნი. მათი მეფენი კიაკჯი, ამბრი და ტარხუნატი შეპყრობილნი და ასურეთს წაყვანილნი. რომ ამით თავდებოდნენ ასურული ცნობები ტაბალების შესახებ, მაშინ ამის წამკითხველი ეველა იფიქრებდა, რომ ტაბალი ან სამუდამოთ დაუსაკუთრებია, ან სავსებით მოუსპია ასურეთს. უკანასკნელი დასკვნა მით უფრო ახლო იქნება ჭეშმარიტებასთან, რომ სარგონის ერთი მოკლე წარწერა პირდაპირ გვეუბნება: „მე მოვსპე კასკუ, ტაბალი, ხიდალეკუ და უკან დავახვევინე მუსკელ მიტას“-ო.

ა. სვანიძე.

(დასასრული იქნება)

ასურული წარწერები ქართული ტომების შესახებ*)

(გაგრძელება)

თუ ამ დასკვნას მივიდებთ მხედველობაში, მაშინ ძნელი დასაშვები იქნება მესხების მცირე აზიის რომელიმე ხროვინციაში მოქცევა. მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ ხეტელების მცირე აზიაში ბატონობის დროს ესენი უფრო ჩრდილოეთით ბინადრობდენ და მხოლოდ მათი სამეფოს დაცემის შემდეგ იწყეს მათ თავის საზღვრების სამხრეთით გაფართოება. ამას მშვენივრად ეხმება შემდეგიც: საქართველოს უძველესი არქეოლოგიური ნაშთები ეგვდა არხეოლოგების აზრით უმაღლესი კულტურის ნაყოფნი არიან. ცნობილი მორგანი ამ ნაშთებს მესამე ათასეულწლებისათ აღიარებს. ასეთი ხანის ნაშთები არა თუ ჩრდილოეთის ერებსა, არამედ თვით ბერძნებისაც კი გაცილებით დაბალი ხარისხისანი არიან.

თუ ამას ზემოთ ნათქვამს დაუბირდაბირებთ, მაშინ ეს ფაქტიც იმ ჩვენი დასკვნის სასარგებლო გამოვა, რომ ქართველები თავად-უწვდენი დროიდამ ყოფილან ამიერ კავკასიის მობინადრენი. ხეტთა სამეფოს დასუსტების შემდეგ ესენი დაძრულან თავის საბინადროდამ და დაუპერიათ მთდამი კუთვნილი ტერიტორია. ეჭვს გარეშეა, რომ ამ დაპყრობის ერთს აქტს უნდა წარმოადგენდეს ზემოთ მოყვანილ წარწერაში მოხსენებული ადტიში, ურუხუმტიში და კუმუხში შესევანი. საკითხავი მხოლოდ ისაა, როდის მოხდა ეს შესევანი, მას შემდეგ, რაც ხეტელთ ტერიტორიის დიდი ნაწილი მათ ხელში იყო გადასული, თუ უფრო წინ. ზემოთ დასახელებული მეცნიერი, ჩემთვის სრულიად გაუგებარი მოსაზრების მიხედვით, სწორეთ უკანასკნელ შესაძლებლობის მომხრეა. მისი აზრით ზევიდამ, ჩრდილოეთიდამ დაძრულმა მესხებმა პირდაპირ ასურეთის საზღვრებს მიაშურეს თითქოს და მხოლოდ აქედამ უგუქცეულებმა მიმართეს ხეტელთ დანარჩენ სამფლობელოს. სწორეთ ფინკლესგანაა ეს აზრი გაუგებარი. თუ მისი აზრით მესხები ხეტების პოლიტიკური მემკვიდრენი იყვნენ, მაშინ, სანამ ესენი ძლიერ ასურეთს წაედავებოდენ ტერიტორიას, მანამდი მემკვიდრეობის ჩაბარებაზე უნდა ეფიქრათ, რომელიც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია კუმუხზეც და ადტიზეც და რომელიც გაცილებით ნაკლებ ძალთ ხარჯვას მოითხოვდა მათგან. მაშასადამე ჩემი აზრი ესეთია: ასურეთთან შეჯახებამდის ხეტელთ ტერიტორიის დიდი ნაწილი მესხების ხელში ყოფილა და მხოლოდ ამის შემდეგ შეესევიან ესენი ასურეთის დასახლებულ ხროვინციებს. პირველი მათი ცდა, როგორც თვით წარწერა გვაუწყებს, ნაყოფიერი გამომდგარა ე. ი. ადტი და ჰურუხუმტი მესხებს დაუპერიათ და შეუნარჩუნებიათ კიდევაც. შემდეგი ცდა კი, როგორც დავინახეთ ძვირათაც დასჯდომია მესხებს და უნაყოფოც გამომდგარა. წარწერით 20 ათასი მესხისგან ტიგლატ-პილესერს ექვსი ათასი ტუვეთ წაუყვანია, დანარჩენნი კი გაწყვეტილან. თუმცა ეს წარწერა თავის თავად თითქოს უველაზეერს ნათლად გადმოგვცემს, მაგრამ შემდეგი ისტორია მა-

---

*) იხ. „განათლება“ № 7.

ეროვნული

საქმით მეტყველს'' და ევედრებოდა ქართველს დედას:

„შთაგონებდე კაცთა სიყვარულს
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
მამულისთვის ბედთანა ბრძოლეს''...

,,მათ (ილიასა და აკაკის თაობას) არ შეეძლოთ წარმოედგინათ რაღაც განყენებულის ქვეყნიერების ბედნიერება, თუ მისი შემადგენელი ნივთიერება, ცალკე ერი, ბედნიერი არ იქნებოდა''-ო,—ამბობს ბ. კიტა აბაშიძე და კიდეც თავისი ერის ბედნიერებისათვის უძგეროდათ გული.

ილია და აკაკი ხშირად სარგებლობენ თავის აზრთა გამოსახატავად ძველ დროთა გადმოცემებს და ძველ ფორმაში ახალ დროის ჭირ-ვარამისას მოგვითხრობენ. დიმიტრი თავდადებულის მაგალითი ყოველთვის თაყვანსაცემი იქნება, სანამ ცხოვრების ფილოსოფია ამ ფორმულაშია გამოხატული: ,,ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის''. შეცდომა იქნება, ჩვენ დიმიტრი (თავდადებული) გავამტყუნოთ, თავისი საქციელით იმის ნაცვლად, რომ ხალხში განამტკიცოს ძლიერი სული, გაჭირვების დროს მტრის საწინააღმდეგო და ერთობის გრძნობა, იგი თითქოს აჩვევს ყოვლისავე დამცირების ატანას, პასივობას. მართლადაც შეიძლება გმირის თავგანწირულებამ, ხალხის ნაცვლად ერთი პიროვნების მხრით შურის ძიებამ აქტიურ მოქმედებას გადააჩვიოს ხალხი და იმედები ცალკე პიროვნებათა ინიციატივაზე მიაგდოს, მაგრამ მეორე მხრით „გმირი'' თავის ბუნებას ვერ გადაუხვევს. თავის გაწირვა მისთვის უმაღლეს ბედნიერებას შეადგენს. უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტი—გამოცხადებულ წინააღმდეგობიდან დაწყებული, ვიდრე თავდადებამდე თან და თან ძლიერდება და ნამდვილია ნათქვამი: „როდესაც ერთს ათასი ჰკლავს, იცოდეთ იმ ერთმა გაიმარჯვა"ო. დიმიტრის სახით ილია ისეთს პიროვნებას გვაცნობს, რომლის მიბაძვა ახლაც კი გმირს დაჰბადებდა, რომელიც თამამად ტვირთულობს ქვეყნის ვაებას, თამამად ვარდება სიკვდილის წიაღში და ამით უკვდავებას ეწევა. თუ ილია ხანდახან წარსულ დროთ ახდიდა ერთს კუთხეს დიდის ფარდისას, იგი მხოლოდ ისეთ საგმირო საქმეთ მოგვითხრობდა და ისეთ სხივოსან პირთ გაგვაცნობდა, რომელთა მიბაძვაც სულიერად აგვამაღლებდა*). აბა დაუკვირდით ცოცხალ-მკვდარი, ,,ქართველი დედის'' სიტყვებს:

„ჩემი მამული, საქართველო დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღზდგა ხალხი მოქმედობს,
ერთის ზღვიდამ მეორემდე ერთ ფიქრსა ფიქრობს,—
და ეგ ფიქრია ჩვენის ქვეყნის თავისუფლება!"...

აი ამ თავისუფლებას ყოველთვის და ყოველგან შესტრფის ჩვენი მგოსანი და ამბობს:

,,შენ ხარ აღმზდელი დვთაებამდე კაცთ ბუნებისა,
მტარვალთა თქმით ოდითვე ხარ შენ აღკრძალული'',

და როდესაც პირველმა კაცმაც შენი სახელი გაიგო, მსწრაფლად მოგიპოვა: ,,...ფასად მისცეს თვის უკვდავება და სამოთხეც სთმეს სრულის მისის ნეტარებითა''-ო.

---

*) ო. კონტს უფრო სწორი გრადაცია ჰქონდა შემუშავებული და ამბობდა. „vivre pour autrui, famille, patrie, humanité",

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგოსნის ჰუმანიურ გრძნობათ მხოლოდ ის შეხამავს:

,,რად არ შეხდება უსისხლოთა მისი ტაძარი, მისი, რომელიც თვით მშვიდობის დგთაება არი?''-ო,

მაგრამ, რადგანაც ,,თავისუფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყველასა'' და, რადგანაც ,,ძმანო, შინ უღლით სიცოცხლეს ომში სიკვდილი სჯობია'', ან და აკაკისა არ იყოს

,,სჯობს მონობაში გადიდკაცებულს
თავისუფლების ძებნაში მკვდარი'',

მგოსანი მოუწოდებს მათს მისაბაძად. ყოველი გრძნობა პირადი ნეტარების მომნიჭებელი, გრძნობა დედაშვილური, გრძნობა საყვარელ არსებისადმი, ყოველივე ჩვენი მგოსნისათვის იმ დიადი გრძნობის ნაწილია, რომელსაც იგი ,,ქვეყნის სიყვარულს'' უწოდებს. ,,სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა,—ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა" *). აი მისი ლოზუნგი, რომელსაც ყოველი, თავის განწირვის იდეამდე ამაღლებული პიროვნება გულში ატარებს ძვირფას განძად.

,,მას აქედ, რაკი შენდამი ვსცან მე სიყვარული, ჰოი მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!''-ო— ამბობს მგოსანი, მის ბედზე მუდამ ფიქრში მყოფი, ხშირ-ხშირად იგონებს წარსულ თავისუფლების დროთ და გული უკვდება, რომ საკუთარ შვილთაგან მივიწყებული,

„ეტხო კალთის ქვეშ ვითა ობოლი შეფარებულა".

მისი პირველი სიყვარული სამშობლოს სიყვარული იყო, მისთვის არც ილიას და არც აკაკის ბოლომდე არ უღალატნიათ და მათ შეეძლოთ ეთქვათ:

«Nous reviendrons toujours
A nos prémiers amours".

ილია კარგად იცნობს ჩვენს წარსულს, როდესაც ,,ძველის ქვეყნის გაუმაძღარი და ხარბი თვალი'', საქართველოზე მოიქცა ,,უწყალო ბედმა სხვა საქმისათვის არ მოაცალა'', და თუმცა მამული და სჯული დაიცვა ,,მაგრამ ყველა კი მათ ანაცვალა''.

როგორღაც მიღებულია ჩვენში, უფრო კი ერთს წრეში, ვითომ ილიას, აკაკის და საერთოდ მე-60 წლების ჩვენს მგოსნებს პატრიოტულ გრძნობებით გაჟღენთილი ლექსები ეწეროთ და სხვა არაფერი *). ილიას პირველი ნაბიჯი ჩვენი ცხოვრების უარყოფითი მხარეების კრიტიკაა. მის მწვავე კილვას ვერ გადურჩა ვერც მექრთამე „ჩინივნიკი" თვისი მრუდე სულით, ვერც ვაჭარი თვისი უსწორო სასწორით, ვერც მღვდელი, რომელმაც დაივიწყა მოძღვრება და გულ-ხელ-დაკრეფილი შესცქერის დაჩაგრულთა ტანჯვა-წვალებას.

1860 წელს ეკუთნის ლექსი „მუშა'', რომლის ვაება „მუშა ბოქულაძესაც'' აწვა მძიმე ტვირთად. აქ მგოსანი მოკლედ, მაგრამ ძლიერი გამოთქმით მოგვითხრობს იმ საბრალო ადამიანის ისტორიას, რომელიც მოშორებია „შეჩვეულს მიწა-წყალსა'', რადგანაც ვერ აუტანია ადამიანის დამამცირებელი მდგომარეობა ბატონის მათრახის ქვეშ; გამოქცევია იქიდან ადამიანის უსამართლობას და აქ, ქალაქში, ლუკმაპურის შოვნის დროს ისევ ჩავარდნილა კიდევ უარესად დამამცირებელ

*) სწორედ ამ ხასიათისა იყო ერთი ჩემი ოპონენტის შენიშვნა: „ეგ რეფერატი ისეთივე ზერელე და წყალწყალაა, როგორც მე-60 წლების მთელი ჩვენი მწერლობაო". დამახასიათებელი განცხადებაა იმათთვის, ვისაც ჰგონია, რომ ჩვენი მწერლობა მხოლოდ „კვალით" დაიწყო და ისტორია მხოლოდ იმათგან იწყება.

მდგომარეობაში, რადგანაც ქალაქში, სადაც მთელი მილეთის ხალხია თავმოყრილი, სადაც ყველას თავისი თავი ახსოვს და სადაც ადამიანთა შორის ურთიერთობა ამ ფორმულაშია გამოხატული: „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი“-ო, მისი მწუხარება საერთო ჟრიამულში იკარგება. აქ მგოსანი უღონო მუშის უზომო ექსპლოატაციას გვიხატავს: იგი იძულებულია უსამართლობა უსიტყვოდ აიტანოს, მაგრამ „წენს დუმილშია იყო ღვთისა რისხვისა ზარი“-ო აგულიანებს მას მგოსანი. ილია ჰხედავს და კიდეც აღიარებს ერში მომხდარ დანაწილებას, „**განთვითებას**“; ჰხედავს რომ ბატონსა და ყმას შორის, მდიდარსა და ღარიბს შორის უფსკრულია და ერთის ბედნიერება მეორეს უბედურებაზე შენდება. იგი ჰხედავს ერთი მხრით ბატონს, მეორე მხრით მონას; ერთი მხრით ძალმომრეობას და მეორე მხრით ულსიტყვოდ მორჩილებას და გულამღვრეული ჰღაღადებს:

„ვინა შრომობდა და ვინა ძღება,
ღმერთო, სად არის აქ სამართალი!“-ო.

ილია ცდილობს ჩააგონოს დაჩაგრულს:

„მას, რაც გიყვარდა, ნახავ დატემულს,
ნამუს-წართმეულს და შეგინებულს“-ო.

იგი ცდილობს, მას დაანახვოს, რომ მდიდარი, რომელიც, „კმაყოფილების განცხრომაშია“ და თავის ბედნიერებას, რადგანაც „მას შველის მის ბედკრულობა“-ო. ამისას ამბობდა შოთაც, როცა სთქვა; „ღმერთმა ერთი და რად აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს“-ო. ამრიგად დაცალკევებული ერი თანდათან გათახსირებისაკენ მიდის

„და დაჟანგებულ ბორკილზე სტვლიან
თავის მამულის თავისუფლებას“.

ილიას შეგნებული აქვს, რომ „მყობადი შრომის შვილს ეკუთვნის“ და რომ ამ ძლევამოსილი საუკუნის (XIX) ტვირთია „შრომისა ახსნა“; იგი გრძნობს, რომ

„შრომა აწ ქვეუნად ტუგეთა ბურობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,
ხოლო რდვეულა შისი ბორკილი
და დასამსხვრევლად განმზადებულა“.

იგი დაჟინებით თხოულობს თავის საუკუნისაგან „შრომის სუფევას“, როდესაც მაშვრალიც განკაცდება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ

„სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,
არც ვის ეშინვი და არც ვის იმინებ“...

და ასეთი მდგომარეობა კი თითონ ხალხსაც დიდ რამედ მიაჩნია; ასე, თავისუფალი კაცი ამბობს: „არც არავის ყმად ვყოლივარ, არც არავინ ყმად მყოლია“-ო (ხალხ. ლექსი).

„მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან ძმობა, ერთობა, თავისუფლება, ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან კაცთმოყვარება და სათნოება“. მგოსანს კიდეც მოესმის „ხმა ბორკილის მტვრევისა“ და აღტაცებით ეგებება მას:

„ღმერთო, ღმერთო ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!“-ო

ილია, შეურიგებელი მტერი ბატონყმობისა, შეუბრალებლად აძაგებს მის ყოველივე მხარეს; „რამოდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ ცხადად მაჩვენებელია მგოსნის უებრო ნიჭისა; აბა გადაიკითხეთ ისევ ეს მოკლედ მოთხრობილი, ვრცელი ისტორია ყმისა, თუ მგოსანთან ერთად არ შეგიპყრობთ ნაღველგარეული სიამე. ამიტომაც აუშლია მგოსნის თვისაც ეს ორგვარი გრძნობა მეურმის ნაღვლიან ღიღინს:

„დუდუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის ვით კლოვის ზარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ თუ ნადგელს მოჭბერს დაჩაგრულს,
უკუჭურის კიდეც ვით დრუბელს ქარი“.

აქ ჩვენ ვხედავთ ორ ქვეყანას, ერთი მხრით, ცხოვრების სიბრძნე ამ სიტყვებზეა დამყარებული:

„თუნდ სულიც გაგძგრეს არ მენანდგება, თავში ქვა იეც და ისა ჭქენი“-ო

და მეორე კი, თავის უფლებას აცხადებს:

„ჩვენც ვურეკიკართ კაცებში, ხალხში, ჭამა-სმა გვინდა, გვინდა ცხოვრება“-ო.

პირველის წარმომადგენელია ბატონი, რომელზედაც მგოსანი ამბობს: ,,კარგი რა არის, ავი რა იყოს''-ო და მეორე მხრით კი მონა, რომელიც იქამდე მისულა, რომ უსამართლობის წინ უკვე უსიტყვოდ არ იხრის ქედს და დამამცირებელ მდგომარეობას სასიკვდილოდ ებრძვის. მგოსანი თავის გულის წყრომას უერთებს ხალხისას, რომელსაც თავის გმირად არსენა გაუხდია. დახედეთ რა სიყვარულით და სიამოვნებით იხსენიებს მეურმე კაკოს, ყაჩაღად გავარდნილს და როგორ შენატრის იგი ზაქროს, რომელსაც კაკოსავით ,,ულრინავს გული''. მგოსანი ისეთ თაობას მოუწოდებს, რომელმაც აირჩიოს:

„უსახლკარობა, შიში, შიმშილი,
მარტოკა გდება მხეცივით ტყეში,
კურდღელსავითა ფხიზელი ძილი
და იარაღი დღე და ღამ ხელში“,

ოღონდ მონობას დაახწიოს თავი და კაკოსავითა ამბობდეს:

„იქ უველაფერი გვიადვილდება,
სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი“-ო.

აბა თუ მგოსანს არ შეუტყვია ხალხის გულის საიდუმლო! აბა თუ იგი იმის გრძნობით არა გრძნობს:

„რომ ბედში მეოთი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ გერაფერი სიყვარულია,
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!
მარტო არსენას, თუ გახსოვს შენა,
გლეხ-კაცის ბედი, ჭირი და ლხენა,
შვილსავით კალთით უტარებია.
აბა, კაციცა ისა ყოფილა
და ქუდიც იმას ძმავ, ჭხურებია!
ნეტავ იმ დედას ვისგანც გაზდილა
და ვისაც ძუძუ უწოვებია!“.

აბა, მოიგონეთ ეს წმიდა გრძნობით გამთბარი და მაღალი პოეტური ნიჭით შეზავებული სურათები; ალაპარაკეთ ისეთი მწუხარე ენით სამშობლოს ცა; შეიტკბედ ქვეყნის სიმშვენიერე და ააციმციმეთ ისეთი ცხოველი სხივებით ,,შორნი მნათობნი მოკამკამენი''! განიცადეთ ზაქროსა და კაკოსთან ერთად ჯოჯოხეთად მოსაგონარი წარსული, ჩასწვდით მათ გულის სიღრმეში, დაინახეთ მათ გულში, ,,რა ბალდამიც დუღდა'' და მაშინ... მაშინ მუხლს მოიყრით დიდებული მგოსნის აჩრდილის წინაშე. ის ვინც დასწერა მოთხრობა ,,სახრჩობელაზე'' და ჩაჰკვირებია ცნებათ: ,,პიროვნება'' და „საზოგადოება“; ვინც იცნობს ისეთ პიროვნებას, რომელიც ამრიგად ლაპარაკობს: ,,მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო. ჩვენ შუა საბოლოოდ ჩაეტეხა ხიდი: მე ერთი აქეთ პირას დავრჩი, თქვენ მრავალნი იქით. განკითხვის დღემ გამოაჩინოს საით არიან მართალნი და საით მტყუანნი“-ო, იგი, სჩანს, ცხოვრების ზედაპირზე არ დასრიალობს. განა ლუარსაბ თათქარიძე მხოლოდ ,,ზოგიერთ მებატონის'' სურათია, როგორც ზოგიერთს ჰგონია*), თუ იმ წოდების წარმომადგენელია, რომელიც მხოლოდ ბატონ-ყმურ ნიადაგზეა

*) იხ. ფ. მახარაძის ,,დან. ჭონქაძე და მისი დრო“.

ალმოცენებული?!. რთულია და მრავალ-ფეროვანი ცხოვრება და მაშინ, როდესაც ბატონ-ყმობა ავსებდა მას, ესეც მასავით მრავალ სხვა და სხვა კონკრეტიულ ინტერესში უნდა გამოხატულიყო. ილია ბევრს მხარეს შეეხო ბატონ-ყმობისას და უმთავრესი ყურადღება მის დამამცირებელ თვისებას მიაპყრო:

„თუ დმერთმა მისცა შენსა ასულსა
სილამაზე და მშვენიერება,—
მონავ ჩაგრულო, ვითომ შენს გულსა
სასიხარულოდ ეგე ექნება?!
ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყიდიან,
ნამუსს ახდიან შეუბრალებლად,
უბრეგილო გულში დვარძლს ჩასხმიან,
გახდიან ევაგილს ფეხ-ქვეშ სათრევლად“.

აი ამ მოვლენას უთვალისწინებს მგოსანი ყმას; ამავე საკითხს შეეხო იგი „გლახის ნაამბობში“, აქ მოთხრობილია ყმის მთელი ისტორია იმ წამამდე, როდესაც მისი ინტერესი ეჯახება ბატონის ინტერესს, როგორც ზაქროს თავგადასავალში ვნახეთ, მხოლოდ ეს აუცილებელი კონფლიქტი ბატონსა და ყმას შორის ახლა სხვა ნიადაგზე ხდება. იქ მგოსანმა მიგვითითა ბატონის ეგოიზმს, მის პარაზიტულ მდგომარეობას; აქაც იგივე ეგოიზმია, მხოლოდ სხვა მხრიდან გასინჯული. მთელი ეს მწარე მოთხრობა ათასნაირ მწვავე კითხვას გვიძრავს გზა და გზა და მისი ყოველი წინადადება ღრმად ჩამაფიქრებელია; თვითონ გაბრო და მისი ბატონის შვილი დათიკო ცოცხალი ადამიანებია, რომელნიც მწერალმა თავისი გამჭრიახი თვალით ჩვენი ცხოვრების ზღვის ტალღებში შეამჩნია და ჩვენ თვალწინ დაგვიყენა. გაბრო ზაქროსა და კაკოს ტოლ-ამხანაგია, მხოლოდ მათზე მეტს ჰფიქრობს და, ჰამლეტის თქმისა არ იყოს, ეგ ფიქრი უხშობს თავისუფალ ნების ყოფას. ეს ყაჩაღები, რომელთაც ასეთი თანაგრძნობით ეპყრობა მწერალი, იმავე ურთიერთობის ნაყოფი არიან, რომელმაც შეჰქმნა არსენა. დათიკო კი იმ ზოდების წარმომადგენელია, რომელსაც ნიადაგი გამოეცალა, რომლისაგანაც გარდაქმნა მოითხოვა ცხოვრებამ, მაგრამ იმან ვერ მოასწრო შეგუებოდა ახალ განწყობილებას და თავაღებული დაეძებდა თავის ენერგიის გასავარჯიშებელ სფეროს. იგი უსაქმოდაა დარჩენილი და თავის გასართობი მეტი ვერაფერი უპოვნია, თუ არა თავის ყმების ზურგზე ნავარდი და ეძლევა თავ-შეუკავებელ გარყვნილ ცხოვრებას. ვერავითარი გრძნობა შებრალებისა და მეგობრობისა დათიკოს ვერ შეაჩერებს, თუ მას წუთიერი სიამოვნება მოელის, მისი ბუნება ბატონობით იმდენად დამახინჯებულია, რომ სრულიად არ გაეგება პიროვნების ღირსების პატივის ცემა. მას მთელის ქვეყნიერების გვირგვინად თავისი თავი მიაჩნია და ყოველივე მის გარეშე თავის სურვილის დასაკმაყოფილებლად. სასიკოცხლო ლოზუნგი უკიდურესი ეგოისტისა მას თავის პიროვნების ღირსების შეგნებაზე კი შეუმუშავებია, პირიქით, მას საერთოდ არ აქვს წარმოდგენა ასეთი საკითხისა *) იგი მხოლოდ პარაზიტია საზოგადოებრივ ორგანიზმზე და არა მაქს შტირნერისებური ეგოისტი, რომელიც ამბობს: ,,ყველაფე-

*) „იქ, სადაც „მე“-ს შეგნება არსებობს არის სხვისი „მე“-ს შეგნებაც. თუ ადამიანს დაუკარგავს ბირთვი (ლოგიკური ან ეთიური) თავისი არსებისა, იგი მეორე ადამიანში უკვე ვერ ამჩნევს ადამიანს, ვერ ამჩნევს ისეთ არსებას, რომელსაც აქვს თავისი ინდივიდუალობა. „მე“ და „შენ“ ერთი მეორის განმსაზღვრელი ცნებანი არიან“-ო სწერს ო. ვეინინგერი (Пол и хоракт. 158 ст.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ჩემთვის, მე ჩემთვის და ყველაფერს ჩემთვის ვაკეთებო''. მგოსანმა სიკვდილი მიუსაჯა ამ უსარგებლო არსებას იმის ხელით, ვინც მის საწინააღმდეგოდ უნდა უთუოდ გაჩენილიყო საზოგადოებაში. ეგ ახალი მებრძოლი იძულებული იქნებოდა ამ ბრძოლისათვის სიცოცხლეც გაეწირა, მაგრამ ეგ მას არ აშინებს, რადგანაც სწამს, რომ: ,,ჩვენს ძვლებზე აღსდგება მრისხანე შურის მაძიებელი"-ო.

ს. დადიანი.

(შემდეგი იქნება)

სუსტ-ნერვებიანი ბავშვები და მათი აღზრდა

(შემდეგი)

ალკოგოლი... წინა წერილში *) ჩვენ იმის მიზეზად, რომ ხშირად სუსტ ნერვებიანი ბავშვები იბადებიან, სხვათა შორის, ალკოგოლიანი (სპირტნარევი) სასმელების ხმარება დავასახელეთ. ეს საკითხი იმდენად საყურადღებო და სერიოზულია, რომ არ შეგვიძლია მას გვერდი აუაროთ და მარტო ორიოდე სიტყვით შევეხოთ. ალკოგოლი იმთავითვე გახდა იმ ბოროტ სულად, რომელიც ხელს შეუწყობდა და შეუწყობს კერძო ადამიანთა დასნეულებას და უდროვოდ სიკვდილს და მთელ ერის გადაშენებას... საქართველო ღვინის ქვეყანაა... ,,ისევ და ისევ ღვინითა დრო გავატაროთ ლხინითა'' ეს კლასიკური სიტყვები საქართველოშია ნათქვამი. არსად ისე უშიშრად ღვინოს არ ეტანებიან, როგორც ჩვენში. მას სთვლიან სისხლის შომმატებელს და მაყუათებელს საშუალებად... ღვინის სმით და ლოთობით გმირულად მოაქვსთ თავი... ლოთობა კულტად გადაქცეულა. ბევრი ხდება მის მსხვერპლად: მრავალ გვარი ავად მყოფობა, უდროვოდ სიკვდილი, შვილთა სიყეყეჩე და სხვა მრავალი მომაკვდინებელი ნაკლი — მოსდევს ღვინის ხმარებას. ალკოგოლით გაბრუებულს ადამიანის ტვინს ვერ დააჯერებ, რომ ღვინო მავნებელია... ფრიად საჭიროა პირდაპირი, გაბედული და მეცნიერებაზე დამყარებული იერიშისმიტანა ჩვენს მოსისხლე მტერს —ღვინოზე, რომ შევიტყოთ რა შვილი ბრძანდება ეს ჩვენი მტერ-მოყვარე... ამ საკითხის გადასაწყვეტად ჩვენ ცნობილს პროფესორს მკურნალი ავგ. ფორელზე უკეთესს ავტორიტეტს ვერ ვიშოვით. მაშ მოვუსმინოთ მას, თუ რას ამბობს იგი ალკოგოლის შესახებ, რომლით მთელი ჩვენი ერი მოწამლულია და რომლის მეოხებით ჩვენს მოზარდს თაობას დაჩემებული აქვს სულიერი ნაკლულევანებანი და მათ შორის ნერვების სისუსტეც. ალკოგოლი მზადდება შაქრის დუღილის მეოხებით, ხილეულობისა და სხვა ნივთთაგან. ალკოგოლის რიცხვს ეკუთვნის: ყურძნის ღვინო, ლუდი, ხილეულობის ღვინო, და გამონახადი არაყი, კონიაკი, ლიკიორი და სხვა... ჩვენს სხეულში ალკოგოლი შედის ნაწლევების საშუალებით, საიდამაც გადადის სისხლში და აქედამ

*) იხ. „განათლება" № 1.

სხეულის ყოველს ნაწილში, სადაც ერთი მისი ნაწილი იშლება (იწვის) და ერთი კი—სხეულიდამ გარედ გადის. ალკოგოლს აქვს ორ გვარი მოქმედება: ა) ჩქარი, ძლიერი (სიმთვრალე), რომელიც ნერვებზე მოქმედებს, და ხანგრძლივს შედეგებს არ სტოვებს... ჩქარა ნელდება; ბ) ხანგრძლივი მოქმედება ალკოგოლისა ისაა, როდესაც სხეული მის ყოველ დღე ხმარებით თანდათან, ნელა-ნელა იწამლება, რადგან ალკოგოლი სწამლავს, ადუნებს სიცოცხლის მატარებელი უჯრედების პროტოპლაზმას (წვნიკი მარცვლის მსგავსი ნივთიერება, ცილის თვისებისა, რომელიც უჯრედის არსებითს ნაწილად ითვლება). ალკოგოლი არაა მასაზრდოებელი ნივთიერება, როგორც ამას შეცდომით ზოგიერთნი ფიქრობენ, რადგანაც იმას აზოტი არააქვს... სხეულის შენებაში, ზრდაში ის ვერ მიიღებს მონაწილეობას და ადამიანს აძლევს მხოლოდ გასათბობს მასალას, ესე იგი ენერგიას და ქონს. მაგრამ ამასთანავე ალკოგოლი ძლიერ ადუნებს ნერვიულს წყობას; (სისტემა) მაშასადამე, სჩანს, რომ მისი სარგებლობა პირდაპირ არაფერია... ეს ცოტაა. ალკოგოლი, რადგანაც იწვის სხეულში, აფუჭებს, შლის მის შემადგენელობას, ასე რომ ის შეიძლება შევადაროთ გოგირდის ნახშირს, რომელიც მართალია გათბობას ხელს უწყობს, მაგრამ ამასთანავე, რადგან მრავალ სიმჟავეს იძლევა, იწვევს ქვაბსა და ორთქლის მანქანაში ჟანგს... ამისი მსგავსია ალკოგოლის მასაზრდოებელი თვისება!

ა. **სიმთვრალე**. ფიზიოლოგოსი კლოდ ბერნარი ამბობს: ,,ალკოგოლი ტიპიური ძილის მომგვრელი შხამია''... მისი უმთავრესი მოქმედება ისაა, რომ იწვევს ტვინის სიდამბლეს, ესე იგი ადუნებს და აზარალებს ტვინის მოქმედებას. პირველხანად, მართალია, ადამიანი ალკოგოლის მიღების შემდეგ შენიშნავს ენერგიის გაძლიერებას, სიხალისეს, მაგრამ ეს ჩქარა წარმავალი, მოკლე დროითი მოვლენაა. მას მოსდევს მოდუნება, დასუსტება კუთებისა და კუთებთან დაკავშირებული ნერვებისა. მეტად საგულისხმოა ის მოვლენა, რომ ტვინის თვითეული თვით უბრალო სიდამბლე სასიამოვნო განცდას წარმოშობს. ღვინით გამხიარებული ადამიანი ვერ გრძნობს, რომ მისი ტვინი სიდაბლეს განიცდის, როცა ის მხიარულობს... მაშინ ადამიინი ვეღარ გრძნობს ვერც სიცივეს, ვერც სითბოს სწორედ იმ დროს, როდესაც ნამდვილად სითბოა და სიცივე. ღვინო გვაძლევს ჩვენ ილიუზიებს, მოჩვენებითს, ოცნებითს შეგრძნებებს და განცადათა, ესე იგი მას, რაც სინამდვილეს ეწინააღმდეგება. გამოფხიზლების შემდეგ ადამიანი ფიცს სდებს, რომ აღარ დალევს ღვინოს, მაგრამ ამ ფიცს მალე ივიწყებს, თუ შემთხვევა მიეცა... არაა ისეთი მცირე წილი ალკოგოლისა, რომელიც მავნებელი ირიყოს ჯანის სისაღისთვის... ალკოგოლს თანსდევს სხვა და სხვა უგუნური და უზრდელი საქციელი. სქესობრივი მოქმედებისთვის ალკოგოლი მავნებელია. ჯერ კიდევ შექსპირმა სთქვა: ,,ღვინო სურვილს აძლიერებს, ხოლო მოქმედებას აძნელებს''... დანაშაულთა სტატისტიკა ამტკიცებს, რომ 75% მათი ჩადენილია მაშინ, როდესაც ადამიანი შეზარხოშებული ყოფილა. შეზარხოშებას, მაშასადამე, შეუძლია ადამიანს სიცუდე ჩაადენინოს. ციურიხის გამომძიებელი ლანგი ამტკიცებს, რომ სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით საშუალო რიცხვით ხდება ათი ან თერ-

თმეტი ბროლტ-მოქმედება, ისიც უმთავრესად, საღამოსხანს... შაბათს—13, კვირას სამოცი, ხოლო ორშაბათს—22... ათაშანგის სტატისტიქამ დაამტკიცა, რომ ეს სენი შეეყარა 25 პრ. იმ დროს, როდესაც ავადმყოფნი ფხიზელი იყვნენ, ხოლო—75 პრ. იმ ჟამს, როდესაც ისინი თვრალნი იყვნენ... დიდი განსხვავებაა!!

ბ. **სხეულის უჯრედების ქრონიკული, ხანგრძლივი მოწამვლა.** სისხლის მატარებელი ძარღვები გაგანიერდებიან ალკოგოლის საშუალებით, სხეულის ქსოვილების (ткани) კვება იცვლება და ცალკე ნაწილებში გროვდება ქონი. ქონი გროვდება გულსა, ძარღვების შიგნით პირზე, ღვიძლსა და თირკმელებში. ხანდა ხან კი უჯრედები იკუმშება... შეიძლება ძარღვების ანთებაც გამოიწვიოს ალკოგოლმა. შენიშნულია ტვინის ხანგრძლივი შეკუმშვა, რომელიც ნელა-ნელა სწარმოებს... ჯერ იწყება ტვინის უჯრედების წვნიკი ნაწილების სიწამხდრე, რომელიც მის მოქმედების შესუსტებაში გამოიხატება. ალკოგოლის მიმდევარს ადვილად გულიმოდის, ზნეობრივი წარმოდგენები და მოვალეობის გრძნობა თანდათან ეკარგება, აგრეთვე მისი ნებაც სუსტდება, უზრდელობას სჩადის და სიცრუვეს მისდევს. მას ემართება ნერვების კანკალი, თეთრი ცხელება (ანუ მთვრალთა ცხელება) და სხვა... მას გული მისდის, მოჩვენებანი თვალთწინ უდგია, შიში, კანკალი, გონებითი დაჩლუნგება, ნერვების საშინელი გაღიზიანება — ყოველივე ეს მას დღეს უმოკლებს... ხშირად უეცრად ემართება ალკოგოლის მსმელს სისუსტე, სიდამბლე, სიკვდილი, უფრო კი გულის სიმსუქნისა და ღვიძლის დაბებრების გამო. ზომიერადაც ღვინის ხმარება მავნებელია ადამიანისთვის. შვეიცარიის სულით ავათმყოფთა თავშესაფარს სახლებში 20—30 პრაცენტამდის ალკოგოლის მხმარებელია... მაგრამ უფრო საშიშია შემდეგი გარემოება... ალკოგოლი მამაკაცის თესლის მწარმოებელს უჯრედებს სწამლავს, თესლის უჯრედები თვის შორის შეიცავს ყველა მემკვიდრეობითს ენერგიას, რომელიც გამოყვება მომავალს ბავშვს და ამისგამო მათი თვით უმნიშვნელო მოწამლვაც კი მავნებელია ჩამომავლობისათვის. მეცნიერმა დემმემ შეადარა 57 ბავშვი ლოთობის მიმდევარი ათის ოჯახისა 61 ბავშვს ამდენივე ფხიზელ ოჯახისას. პირველთაგან მხოლოდ 10 განვითარდა ნორმალურად გონებით და სხეულით, ხოლო დანარჩენ 47-ს ბავშვში ზოგი გამოვიდა გამოყეყეჩებული, ზოგი ბნედიანი, ზოგი ყრუ-მუნჯი, ზოგი ლოთი, ზოგი თავცანცარა, ზოგი მახინჯი და პატარა ტანისა. და ან მოკვდა დაბადების შემდეგვე. ფხიზელი ოჯახის 61 ბავშვთა შორის 50 განვითარდა ნორმალურად... ორი მესამედი ყეყეჩა-ბნედიანი ბავშვებისა ლოთი მშობლების შვილებია. პრაფესორის ბუნგეს გამოკვლევით 100 დედათა შორის, რომელნიც თვითონ აწოვებდენ ბავშვებს 91,15 პრ. იმ მამების შვილებია, რომელნიც არ სვამდნენ, 88 პრ. ზომიერად მსმელი მამებისა, 31 პრ. ზომაზე ცოტა მეტის მსმელი მამებისა ღა 10 პრ.—კი ლოთებისა. ლოთების ჩამომავლობას ადრე უფუჭდება კბილები, მიზიდულობა აქვს ჭლერქისა, ნერვების და სულიერ სნეულებათადმი. პელმანმა დაამტკიცა პოლიციის მიერ მიწოდებული ცნობების მიხედვით, რომ ერთს ქალს, რომელიც 1740 წელს დაიბადა და ლოთობას მისდევდა, ჰყავდა ბოლო დრომდის 834 შთამომავალი, რომელთაგან 709 ცხოვრების გამოკვლევა შეიძლებოდა. იმათგან

106 ქორწინების გარეშე დაიბადა, 142 —გამოვიდა მათხოვარი, 61—საზოგადოების ხარჯით ინახებოდა, 181—ქალი გარყვნილებით სცხოვრობდა, 76 გამოვიდა ბოროტმოქმედი (მათში 7 კაცის მკვლელი). 75 წლის განმავლობაში ეს ოჯახი სახელმწიფოს უღირდა 5 მილიონ მანეთად... ალკოგოლის მიერ წარმოშობილი ხალხის გადაშენება თვალით თითქოს შესამჩნევი არაა... ხალხი მხიარულობს, მრავლდება, ნათვლა, ქორწილი, წვეულება გაჩაღებულია, მაგრამ უმეტესი ნაწილი მოცულია ზნეობრივი და გონებრივი ნაკლულევანებით. ბევრი მათგანი ბინას პოულობს სულით ავათმყოფთა თავშესაფარში და აგრეთვე მიდის საცხოვრებლად ბიწთა სადგურში და მით ხდება საზოგადოების მეტს ბარგად. მათის მეოხებით მშრომელი ფხიზელი ადამიანების ცხოვრება გაძნელებულია. შვეიცარიაში ახალგაზრდა ჯარის კაცების გაწვევის ჟამს 30 პრ.-დამ 60 პრ.-მდის სამხედრო სამსახურისთვის უვარგისია... ნამდვილს ყეყეჩებს ხომ სამსახურში არ იწვევენ!.. სამხედრო სამსახურისთვის დაწუნებულთა შორის 6 პრ. სუსტ ჭკუიანია. ეს ციფრები მტკიცედ დაკავშირებულია ალკოგოლის ხმარებასთან.

ბეკოლლამ გამოიკვლია 9000 ყეყეჩი და მათის დაბადების დღის ცოდნის მეოხებით გაიგო მათის ჩასახვის (მუცლად ღების) დღე. მათი უმრავლესობის მუცლად ღების დღე—მოდიოდა ყურძნის რთვლის და ყველივრის დღეებში და ან მათთან დაახლოებულს დღეებში. ამ დღეებში საზოგადოდ მეტად ლოთობენ და სქესებრივი ჟინიც ემატებათ. მართალიცაა: თესლის უჯრედებს, მსწრაფლად გაჟღენთილთ ალკოგოლით, არშეუძლია მოინელოს მოკლე დროში შხამი და იმდროს, როდესაც თესლი სხეულს შორდება, ის დამძიმებულია ამ შხამით... სწორედ ამ დროს მუცლად ღებული მომავალი ადამიანი მოშხამული თესლიდამ ვითარდება და თან მოაქვს სოფლად შხამით მოწამლული ფიზიკური და სულიერი ბუნება. (ამას ჰქვია ბლასტოფტორია).

სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ სრულს უარყოფას ალკოგოლიანი სასმელებისას შეუძლია ადამიანს მისცეს ნორმალური ცხოვრების საშუალება. ალკოგოლის ხმარება არავითარს სარგებლობას არ იძლევა. იმის ლაპარაკი, რომ ალკოგოლის სმის მოსპობით, მოისპობა ვენახები და მეღვინეობა, მეტად სასაცილოა. განა არ შეიძლება ერთი მავნებელი წარმოება შეიცვალოს მეორე სასარგებლო წარმოებით? ვენახების ნაცვლად შეიძლება გავაშენოთ მაგალითად ხილის ბაღები 150 წლის წინ შვეიცარიის პოეტი ალბრეხტი ფონ-გალლერი თავისს ლექსში „ალპები“ (მთა) ამბობს შემდეგს საგულისხმო სიტყვებს, რომელნიც ჩვენს თავისუფალს თარგმანში მოგვყავს:

„ვერაგულ გაზით აქ არაა შემკული ბორტვნი,
შემოდგომაზე არ სწურავენ აქ ყურძნის მტევნებს...
მოსჩანს აქ ოდენ იმათ ნატვლად წყლით სავსე ჭები,
რომელნიც ცივსა წყალს აძლევენ მხოლოდ მწყურვალებს...
ბედნიერებო! ბედს უმადლით, რომ თქვენ არ მისდევთ
ღვინისა სმასთან შეერთებულს მხიარულებას.
არცა ეწყობით სიმთვრალესა, კაცის დამდუბავს...
ამით იშორებთ უდროოდ დროს დასამარებას.
ბუნება იცავს ბირუტყვებსა ღვინის სმისაგან;
ხოლო კაცი კი ღვინით ჭკვარგავს ღვთისა ხატებას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის საზოგადოება, რომლის წევრნი ღვინოს არ სმენ, ასწილ ჯანსაღი და ზრდილია, ვინემ საზოგადოება, ალკოგოლის მოყვარული... პოეზია, შეთხუზული ალკოგოლის ზედგავლენით, მდაბალი ღირსებისაა. ბახუსი, ღმერთი ღვინისა და მხიარულებისა,—არის სიცრუვის ღმერთი. მთელი მისი კულტი საძაგელი მოტყუებაა, ცრუმორწმუნეობასა და ფულის ინტერესზე დამყარებული. ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ზომიერად ღვინის მსმელები არიან ალკოგოლის ხმარების ნამდვილი გამავრცელებელნი; და უფრო საშიშნი ლოთებზე. ამის გამო, მეცნიერთა აზრით, ფრიად საჭიროა ღვინის, არყის და სხვა მაგარი სასმელების სრული აღკვეთა, უარყოფა. მითი ვაჭრობის აღკრძალვა... ნორვეგიაში, სადაც ლოთობა წინად მეტად გავრცელებული იყო, დღეს შეშცირდა ალკოგოლის ხმარება. ამასთან ერთად დანაშაულთა რიცხვი თანდათან მცირდება, სიყეყეჩეს ნაკლებ შეხვდებით, სულით ავათმყოფობა მაინც აღარ მატულობს. შვეიცარიაში 1860 წლიდამ მიიღეს ზომები ლოთობის წინააღმდეგ, და ხალხის ჯანის სისაღემ იმატა... სამხედრო სამსახურში შემსვლელთა შორის ცოტაა უვარგისი წინადროებთან შედარებით... ის საკითხი, თუ რამდენად სასარგებლოა ღვინო, როგორც წამალი, ჩვენ არ გვაინტერესებს.. საექიმო მეცნიერებას მოეპოება მრავალი შხამი ავათმყოფდა მოსარჩენად... ასე მსჯელობს პროფესორი ფორელი ალკოგოლის შესახებ... მკურნალი პავანე (მისი წიგნი: гигіена нервн. страданій у дѣтей რუსულს თარგმანში) ამბობს, რომ „ლოთობა ნამდვილი შავიჭირია თანამედროვე საზოგადოებისათვის და თანდათან ვრცელდება, მისდა მიუხედავად, რომ მრავალი სიფხიზლის საზოგადოება დაარსდა. ის დიდს ზარალს სჩადის. ჩრდილოეთ ამერეკის შეერთებულს შტატებში ათისწლის განმავლობაში ლოთობის მეოხებით ასი ათასი ბავშვი მიიღეს თავშესაფარებში; ამას გარდა რამდენი გაგიჟდა, რამდენმა თავი მოიკლა, რამდენი დაქვრივდა და დაობლდა...

საუკუნეთა განმავლობაში განუწყვეტელს ლოთობას, მისი მეოხებით ჩვენ მიერ მიღებულ მემკვიდრეობის საშუალებით ფიზიკურს და სულერს ნაკლს, ჩვენ თამამად ვთვლით იმის უმთავრეს მიზეზად, რომ ჩვენ უენერგიონი, სუსტნებიანები, საქმის ბოლომდის ვამტანნი არ ვართ. ყოველს საზოგადო საქმეს პირველ ხანად ერთგულად ვეკიდებით, თითქოს ენერგიით, გულს მოდგინებით, მაგრამ შუაგზაზედვე გული გვიცივდება, იმ საქმის ხალისს ვკარგავთ, რომელსაც დასაწყისში აღტაცებით ვეგებებოდით. ამის მეოხებით ჩვენი საზოგადო საქმე ტაატით, კუს ნაბიჯით მიდის წინ... ისიც თითოოროლა ბეჯითი და გონებით საღი გვამის მეოხებით... ჩვენი ერის მიერ თვით მამულის შვილურის საღი შეგნების უქონლობაც იმავე მიზეზის ბრალია... შეგნება—ტვინის ნაყოფია... საღს ტვინს საღი შეგნება აქვს და დაავათმყოფებულს ტვინს კი—სუსტი, ზერელი შეგნება ახლავს... ალკოგოლით გაჟღენთილს ტვინს არ შეუძლია საღი, სწორი და მტკიცე შეგნება. ყოველივე ამის შემდეგ შიში მოიცავს დაკვირვებულს ადამიანს, როცა გაითვალისწინებს, თუ რაიქნება მომავალში, უკეთუ ქართველმა ერმა ან სულ არ აიღო ხელი საყვარელს „ნუნუა“-ზე და ან არ შეამცირა მისი ხმარება. არაა გასაკვირველი, რომ ყმაწვილს, რომლის მამა ლოთობას მისდევდა, გამოჰყვეს (მცირე გამონაკლისს გარდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიმე სულიერი ნაკლი, თუნდა ნერვების სისუსტის სახით... წარმოიდგინეთ ასეთი ყმაწვილი იმ სკოლის მოწაფედ, რომელშიც მუნჯურ მეთოდით უცხო ენაზე ასწავლიან... რა გასაკვირველია, რომ მან სწავლის სიმძიმეს ველარ გაუძლოს და შუა გზამდის ძლივს მიატანოს... სწორედ დღეს გვმართებს გალაშქრება ღვინის წინააღმდეგ. გვეყო, რაც მან დაგვაზარალა... მერე გვიანღა იქნება... ამისდა მიუხედავად, ჩვენს პოეზიაში შეხვდებით ღვინის მიმართ ქებათა ქებას.... ალ. ჭავჭავაძე ღვინის სმას სწავლის ძებნაზე მაღლა აყენებს (თუ ამ სიტყვებს ლოთების დასაცინად არ ჩავთვლით), გრიგოლ ორბელიანი, რაფ. ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი და სხვანი... ღვინის სმას და მასთან შეერთებულს ლხინს, ქეიფს, დროს გატარებას შეაქებენ... უკუ ვაგდოთ ეს მტკნარი შეცდომა... ფხიზელის თვალით, პირდაპირ, მიუდგომლად შევხედოთ იმ საშიშროებას, რომელსაც ღვინის სმა და ლოთობა უქადის ჩვენს ერს... სიფხიზლის ქადაგება მოვფინოთ ჩვენს ერში... ნათლად დავანახვოთ მას მისი მტერი, - დღეს მის მიერ მეგობრად დასახული, ღვინო... იაკობ გოგებაშვილმა თავის „ბუნების-კარში“ მოათავსა ბ. ივ. გომართლის მშვენიერი ვრცელი წერილი, რომელიც ბავშვებს სხვა ჰიგიენურ დარიგებებთან ერთად სიფხიზლეს, ღვინის სმის მავნებლობას უმოძღვრებს... რაც მეტი იქნება ამისი მსგავსი წერილები არა თუ საყმაწვილო სახელმძღვანელოებში, — არამედ ხალხში გასავრცელებლად, ისა სჯობია...

სოფ. მღვდლების და მასწავლებლების მოვალეობაა—თვით კი არ უნდა აძლევდნენ ლოთობის მაგალითს ხალხს, —არამედ განუმარტებდნენ მას ალკოგოლის მავნებლობას... თუ დიდები ველარ მოახერხებენ სრულიად გადაეჩვიონ ღვინის სმას და მხოლოდ ზომიერ მსმელთა რიცხვში ჩაეწერებიან, იმას ყოვლის ღონისძიებით მაინც ეცდებიან, რომ ახალ-თაობას, ჩვენი ქვეყნის მომავალს ბურჯს ღვინის მავნებლობა შთააგონონ... ამის მეოხებით ახალთაობას რამდენადმე ნორმალური ჯანის სისალე მაინც ექნება და, რაც უფრო სასურველია, ნერვების მოქმედებაც ექნება წესიერი...

საჰიგიენო მწერლობაში ზოგიერთს ავტორებს მოჰყავთ იმის მაგალითები, რომ ღრმა მოხუცებულთა და ას წელს გადაცილებულთა შორის ურევიან თითო ოროლა ღვინის ჭარბად მსმელებიც, — ზომიერად მსმელები კი (გიოტე, მოლიტკე და სხვა) უფრო მეტი... მაშასადამე ღვინის სმა მათი აზრით ეგრე მავნებელი არაა. მაგრამ ერთი ორი მაგალითი ხანგრძლივი სიცოცხლისა მსმელთა შორის საზოგადო კანონის გამოსაყალიბლებლად არ გამოგვადგება, რადგან ამ მაგალითებს გამონაკლისის ხასიათი აქვსთ... ამას გარდა ადამიანის სიცოცხლე, რომელსაც დიდი საიდუმლო ეწოდება, მარტო ჰიგიენური დარიგებების შესრულებაზე კი არაა დამყარებული: ის, სხვათა შორის, დამოკიდებულია იმ სასიცოცხლო ძალაზედაც, რომელიც თან დაჰყვება ადამიანს, როგორც მემკვიდრეობითი განძი... სიცოცხლისთვის მნიშვნელობა აქვს: გონებითს და ფიზიკურს მუშაობას და მის რაოდენობას და ხანგრძლივობას, გონივრულს კვებას, ფიზიკურს ვარჯიშობას, სხეულის კანის სისუფთავეს და მის გამაგრებას... მაგრამ კმარა... ჩვენი წერილის საგანი ის კი არაა, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობის ყველა პირობა განვიხილოთ,—

არამედ დავამტკიცოთ ის, რომ ლოთობას ცუდი გავლენა აქვს ადამიანის ჯანის სიკეთეზე საზოგადოდ და, კერძოდ ის, რომ მის მეოხებით იბადება საშოში ჩასახვის დროიდამვე ფიზიკურ და სულიერ ნაკლულევანებებიანი შთამომავლობა, მოკლებული სიცოცხლის ნერვებს... ეს აზრი საკმაოდ განვმარტეთ.

ი. ფერაძე.

(შემდეგი იქნება)

ჰერბერტ ჰაუპტმანი

„მისეილ კრამერი"

ოთხ მოქმედებიანი დრამა

მოქმედება მესამე

(ბეხშის რესტორანი. ბატარა ფუდანა ძველ გერმანულ გემოვნებაზე მორთული. სტოლები და სკამები ამომწვარი სურათებით. მარცხნივ ბუფეტი მარმარილოს ფიცრით და ფუდის ბეწვრიანი ონკანით. ბუფეტს იქით ფიქორების დასადგამი და სხ. აქვე არის ფანჯარა, რომელიც სამზარეულოში გადის. მარცხნივ კარებია, რომელსაც კაცი გაუვს უკან სოფელში განეოფილებაში. დიდი ფანჯარა სუფთა ჩამოსაფრებით (ფარდებით) და იმის გვერდით შუშებიანი ქუჩაში გამოსასვლელი კარები. გვერდზეც კარები, მეორე ოთახში გასასვლელი. ახლად შებნიდებულია. ლიზა ბენში, ფამაზი და სუფთად ჩაცმული, თეთრი წინსაფრით, უკანა კარებიდან გამოდის ბუფეტში. ლიზა ეასნადით რადაცას ქსოვს. თვალს გადაავლებს დარბაზს და დაინახავს არნოლდს, რომელიც წინა სტოლზე ზის მარჯვნივ და წინ ჭიქით ლუდი უდგა. ლიზა ჭქსოვს და თან თავს აქნევს.

არნოლდი. (ძალზე გაფითრებულია. ოდნავ სცემს ფეხის წვერს იატაკზე. გაშტერებული უყურებს ლიზას და მერე ეუბნება) საღამო მშვიდობისათ! (ლიზა განგებ ოხრავს და ბირს უკან იბრუნებს).

არნოლდი (მკაცრათ) საღამო მშვიდობისათ?! (ლიზა ბასუხს არ აძლევს) არ გინდათ და არც საჭიროა! ნუ გეშინიანთ ტირილს არ დავიწყებ! (განაგრძობს ადელფებულად და ფარულად ლიზას ყურებას) რათ აღებდით რესტორანს, თუ სტუმრებს ასე უზრდელად მოექცეოდით?

ლიზა ბენში. მე სრულებითაც უზრდელი არა ვარ. თავი დამანებეთ!

არნოლდი. მე თქვენ—საღამო მშვიდობისა გითხარით.

ლიზა ბენში. მე კიდევ მადლობა გადაგიხადეთ.

არნოლდი. ეგ ტყუილია.

ლიზა. დახეთ!? რა ვქნათ!.. მაგრამ ეგ ჩემთვის სულ ერთია (სიჩუმე). (არნოლდი ლიზას ესვრის ქადაადლისაგან გაკეთებულ ისარს. ლიზა ამაყად და უგმენათ იჩეჩავს მხრებს).

არნოლდი. თქვენა გგონიათ, რომ მაგნაირი ქცევა ჩემზე რამე შთაბეჭდილებას ახდენს?

ლიზა. მე მგონი უფლება მაქვს, რაც მინდა ის ვიფიქრო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არნოლდი. მეც ისევე ვიხდი ლუდში ფასს, როგორც სხვები, გესმით!? და ამას ვერ მოითმენ. ან და იქნება აქ შემომსვლელს მონოკლი უნდა ჰქონდეს გაკეთებული? მერე რა ისეთი დიდი კაცები დაბრძანდებიან ამ თქვენ რესტორანში? თქვენა გგონიათ იმათი შემეშინდება და ეხლავე გავიქცევი? ეგ მეტის მეტი იქნება იმ არამზადებისათვის?

ლიზა. (შუქარით) ოჰ. ოჰ. ყმაწვილო, დაუკრეფავში ნუ გადასდიხართ! ძალიან არ მოგხვდეთ მაგის გამო!

არნოლდი. აბა, ერთი სკადოს ვინმე! მე ვაჩვენებ სეირს! გესმით? რასაკვირველია თუ დავაცლი! (ლიზა იცინის).

არნოლდი. თუ ვინმე ხელს მახლებს, გესმით?—იმავე წამს ჩახმახი დაჩხლაკუნდება.

ლიზა ბენში. თუ მაგნაირ მუქარას არ მოიშლით, მე თქვენ დაგაბეზღებთ.

არნოლდი. რას დამაბეზღებთ! მე ვამბობ, თუ ვინმე შემეხო მეთქი. ეს კი არა კაი სილებსაც ვაჭმევ!

ლიზა ბენში. ჩვენს სტუმრებს შეურაცხოფას ნუ აყენებთ!

არნოლდი. (რამდენჯერმე გესლიანათ ჩაიცინებს ოვგისთვის; სვამს და შემდეგ ამბობს) ნოლები! რა მაქვს მე საერთო ნოლებთან?

ლიზა ბენში. თქვენ რაღა ხართ, რომ მაგრე ყოყოჩობთ? ერთი კაცმა გკითხოთ, რაში გამოიჩინეთ თავი?

არნოლდი. სამწუხაროთ, თქვენ მაგისი გაგება არ შეგიძლიანთ.

ლიზა ბ. ოჰო! მაგისი თქმა ადვილია! წადით ჯერ გააკეთეთ რამე. როდესაც დაანახვებთ საზოგადოებას რა უნარის პატრონიცა ხართ, მაშინ თუ გნებავთ სხვას უკიჟინეთ (სიჩუმე).

არნოლდი. ლიზა, მომისმინეთ. მე მინდა კარგა აგიხსნათ.

ლიზა. მერე რა!? თქვენ მუდამ ყველას დასცინით, ატრიზავებთ; ბატონი კვანტმეისტერი არ არის რიგიანი ხუროთ მოძღვარი... ეგ ხომ მტკნარი სისულელეა.

არნოლდი. პირიქით, ეგ სრული ჭეშმარიტებაა. აქ ყველა მაგისთანა უვიცს შეუძლიან იყოყოჩოს, თუნდაც რომ ხელოვნებაზე არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდეს, მაგრამ როდესაც მხატვართა წრეში მოხვდება, აი იქ კი იმათში ნამდვილი მეჩექმეა!

ლიზა. თქვენ ხომ არა ხართ ეს მხატვარი? (თანაგრძნობით) ოჰ, ღმერთო ჩემო!

არნოლდი. მხატვარიო? რასაკვირველია, რომ მხატვარი ვარ. ამის გასაგებათ საჭიროა მხოლოდ, რომ ჩემ სახელოსნოში შებრძანდეთ...

ლიზა ბენ. ვეცდები, რასაკვირველია, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ ეგ არ მოვახდინო.

არნოლდი. წაბრძანდით მიუნხენში და ჰკითხეთ იქაურ პროფესორებს. სულ დიდებულნი, შესანიშნავნი არიან. განა ისინი არ არიან აღტაცებულნი ჩემის ნიჭით! ნეტა ერთი გაგაგონათ რას ამბობენ ჩემზე!

ლიზა ბენში. აი მუდამ ასეა; სულ თქვენ ტრაბახობთ და არა ბატონი ცინი.

არნოლდი. დიახ, ისინი მუხლს იდრეკენ ჩემს წინაშე და იციან რისთვისაც.. მარტო მე უფრო მეტი შემიძლიან, ვიდრე იმათ ყველას ერთად!.. აი ამ ჩემ ნეკში მათზე 10,000 ჯერ მეტი ნიჭია, ჩემი საკუთარი მამაც რომ იმათში ვიანგარიშოთ.

ლიზა ბ. აი ასე, მუდამ თქვენ ტრაბახობთ და არა ბატ. ცინი. თქვენ რომ მართლა მაგისთანა მნათობი იყოთ, მაშინ, რასაკვირველია, სანახაობაც სხვა ნაირი გექნებოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არნოლდი. რათა?

ლიზა ბენში. რათა? ადვილი მისახვედრია. დიდებული მხატვრები დიდ ფულს მონაგრობენ.

არნოლდი. (გაცხარებული) ფული! განა მე კი არ ვმონაგრობ: ფულს ისე ვხვეტავ, ღმერთმანი, როგორც ბზეს, აბა იკითხეთ! ამას თვით მამაჩემი გეტყვით. წადით ჰკითხეთ. ღმერთმანი, პატიოსნებას გეფიცებით!..

ლიზა. მერე მაგ ფულებს რას უშვრებით?

არნოლდი. მე? აბა ცოტა მომითმინეთ. რას ვიზამ სრულ წლოვანი რო გავხდები!. იმისთანა წუწურაქ მამასთან, როგორიც მე მყავს... ლიზა, ცოტათ მაინც რიგიანი იყავ!

ლიზა. ფრიც!

ფრიცი. (ნამძინარევი წამოხტება) რას მიბრძანებთ?

ლიზა. ფრიც, წადით სამზარეულოში. იქ ახალი ჭიქები მოიტანეს. დღეს ყმაწვილები ალბათ შამპანიურს დალევენ.

ფრიცი. კარგი! სიამოვნებით, ქალბატონო (ლიზა ბენში სდგას დახლთან და ზურგი არნოლდისაკენ აქვს მიქცეული, თმიდან იღებს რამდენსაშე შპილკას და ისევ იკეთებს).

არნოლდი. ძალიან ლამაზათ გაიკეთეთ, ღმერთმანი.

ლიზა. თქვენ როგორც გინდათ ისე იფიქრეთ. (ლიზა უცებ მოტრიალდება და შეამჩნევს, რომ არნოლდს თვალები დაუჭეტია და სათვალეებს ზემოდან გადმოუურებს ლიზას) ღმერთო ჩემო, ისევ მაჭყეტავს თვალებს!

არნოლდი. ლიზა!

ლიზა. მე თქვენთვის ლიზა არა ვარ.

არნოლდი. ახ, ლიზახენ, თქვენ ხომ ერთი უხეირო მეტრაქტირე ხართ, მაგრამ თუ მოიმდომებთ, შეიძლება კარგი ადამიანი იქმნეთ... თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა საძაგელ გუნებაზე ვარ.

(ლიზა იცინის, ოდნავ მხიარულათ და დაცინვით).

არნოლდი. (გატაცებით) იცინეთ, თუ შეგიძლიანთ სიცილი! იცინეთ, იცინეთ რამდენიც გნებავთ. იქნება მე მართლაც სასაცილო ვარ—გარეგნობით, რასაკვირველია, და არა სულიერად. თქვენ რომ შეგეძლოთ ჩემ გულში ჩამოხედვა, ამ ხალხს სულ ერთიან წავლეკავდი.

ლიზა. არნოლდ, ასე ნუ ღელავთ; მე ხომ მჯერა თქვენი სიტყვა, მინდა ვირწმუნო... მაგრამ, ერთი ეს, რომ თქვენ ჯერ ძალიან ახალგაზდა ხართ, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე... ეგ ხომ მტკნარი სისულელეა, ბავშვო! გონივრულათ მოიქეცი!.. მე აკი მებრალები, მაგრამ რა ვქნა?

არნოლდი. (ღრმათ ამოიოხრებს) ეს რა შავ ჭირსავით ჩამიჯდა სისხლში.

ლიზა. სისულელეა! აბა ერთი შედექით სკამზე და ის გობი ჩამომიღეთ. (არნოლდი ოხვრით უსრულებს თხოვნას) მე ხომ ისეთივე ქალი ვარ, როგორიც სხვები. აბა, ჰოპლა-ჰოპლა! (არნოლდი ხელებს ჩაავლებს ლიზას ხელებში და სკამეიკიდან ჩამოხტება. შემდეგ დაუჭერს ხელს, დაიხრება და ლიზას კოცნას დაუპირებს, მაგრამ ამ დროს ლიზა ხელს გამოგლეჯს) არა, ჩემო კარგო! ეგენი არ იყოს! თქვენ შეგიძლიანთ ერთის მაგივრათ ოცი იშოვნოთ ასეთი ხელი.

ლიზა. ლიზა, რა გინდა რომ არ მოვახდინო თქვენი გულისთვის? მე მზათა ვარ ვიყაჩაღო, ვიქურდო. რაც გინდათ ჩავიდინო...

ლიზა. მე მხოლოდ ის მინდა, რო მომასვენოთ, თავი დამანებოთ.

(გვერდის ოთახში კარები გაიდება)

ლიზა. (ყურს მიუბერობს, უცბათ სახე ეცვლება, გადადის ბუფეტში და პატარა ფაჯრიდან გასძახის სამზარეულოში) ფრიც, სტუმრები! აჩქარდით, აბა მარდათ! (კარები ხელახლა გაიდება. ისმის ახლად მოსული სტუმრების ყრიამული).

არნოლდი. გთხოვთ, ერთი ჭიქა ლუდი კიდევ მომიტანოთ, მეორე ოთახში დავჯდები.

ლიზა. (ცბიერებით) ბატონო კრამერ, თქვენ აქაც არაფერი გიჭირთ.

არნოლდი. დიახ, მაგრამ ხატვისთვის აქა სჯობია.

ლიზა. არნოლდ, ხომ იცით რომ ისევ აყალ-მაყალი ასტყდება. იქონიეთ კეთილ გონიერება და დარჩით აქ.

არნოლდი. არაფრის გულისათვის m-lle, ბენშ. (შემოდის ხუროთ მოძღვარი ცინი, ძალიან მხიარული).

ცინი. ვაშა, m-lle ლიზა; მთელი კამპანია მოვიდა! მთელი მხიარულად ჩამბალი ძმობა! აბა ეხლა რას შვრებით? როგორა ხართ? თქვენს დანიშნულს ძალიან დაენაღვლა თქვენთვის? (არნოლდს შენიშნავს) დასწყევლა ღმერთმა! (არნოლდს) უკაცრაოთ, გეთაყვა!..

ლიზა. ფრიც, ფრიც! სტუმრები მოვიდნენ!

ცინი. (პაპიროზის საწევ სტოლთან სიგარს წვერს აჭრის) ფრიც, ფრიც, ლუდი მოიტა, ლუდი ჩქარა შეჩვენებულო! მამათქვენი როგორ არი?

ლიზა. ოხ, ძალიან ცუდათ: დღეს ორჯერ მოვიყვანეთ ექიმი. (შემოდის ასსესორი შნაბელი).

შნაბელი. ბატონო ხუროთ მოძღვარო, დღეს ერთი ხელი სკატი არ ვითამაშოთ?

ცინი. მგონი ჩვენ ვაპირებდით დღეს ბატით პირი ჩაგვეგემრიელებინა და ზედ ერთი ბოთლი შამპანიური დაგვეყოლებინა.

შნაბელი. (ხელებს მადლა იშვერს, მდერის და თან ტეკვავს) „ჩვენს ლიზას ჭიკყინა უზის პატარა გალიაში" ნუ დაანებებთ თავს თქვენს მეგობარს, რომ სული არ ამოსძვრეს მარტოობაში...

ცინი. (დაბალი ხმით, თან თვალით არნოლდზე ანიშნებს) რასაკვირველია, ბატის ერთი ფეხი იმასაც უნდა ერგოს.

შნაბელი. (შენიშნავს თუ არა არნოლდს) ოჰო! ქვის სტუმარიც აქა ყოფილა. ჟილეტის ჯიბეში რაფაელი ეჭნება... მამზელ ლიზახენ, პური ბლომათ გამომიგზანეთ. ჩემ კერძს უეჭველად ბევრი პური გამოაყოლეთ!..

(ფრიცი შემოდის. ბუფეტში რადაცას ფუსფუსებს).

ლიზა. თქვენ რას თხოულობთ, ბატ. ასსესორო?

შნაბელი. მე? შპიტცელი პაპრიკით *) და პურით, აუარებელი პურით, ძვირფასო ლიზახენ. პურს მე ვალმერთებ და დიდძალი პურის შეჭმაც შემიძლიან.

ცინი. მაშ თქვენ ზევითაც ცოტა მალლა უნდა ჩამოვკიდოთ კალათა (შემოდის ფონ-კრაუტ-გეინი, ჭაღარა შერთული სტუდენტი, იურისტი).

ფონ-კრაუტ-გეინი. ღვთის გულისათვის, თქვენ ერთი, რა უყავით ძვირფასი სასმელი? ეი, ფრიც!

ფრიცი. ეს კი იყო სტუმრებისათვის გავხსენით ახალი ბოჭკა.

შნაბელი. (მოხოგლით შინჯავს ლუდის

*) ოსმალური ანუ ისპანიური პილპილი.

ფანჯარს) მანდედან ჯერ მხოლოდ ჰაერი ამოდის. ჰაერი, ჰაერი და მეტი არაფერი!

(არნოლდი იდგებს შლიაპას და გვერდის ოთახში გადის).

ფონ-კრაუტგეინი. ეხლა გაიწმინდა მაინც. სულ ჰაერია, მაგრამ სუფთა ჰაერი კია.

შნაბელი. (მდერის) „გადირიე ჭკვიდან, ბავშვო, და ბერლინში წასვლა გიჭირს!“ მადლობა ღმერთს, გაქცევას აპირებს, ადგილს გვიცლის.

ფრიც. ტყუილად გგონიათ. ის მხოლოდ მეორე ოთახში გავიდა: იმასაც იქ უნდა ჯდომა, სადაც დიდკაცობა სხედს.

ლიზა ბენში. (ბრანჭვით) ჩემის აზრით სწორეთ სასაცილოა!

ცინი. რაღა აქეთ იქით ტარება, ავიღოთ და ჩვენც აი აქ ამ ოთახში დავსხდეთ.

ფონ-კრაუტგეინ. მოითმინეთ—ეგლა გვაკლია, რომ ყველა მაიმუნს გავექცეთ!

(შემოდის კვანტ-მეისტერი ძალზე გამობრანჭული, მონოკლით).

კვანტ-მეისტერი. საღამო მშვიდობისათ! როგორა ხარ, ჩემო საყვარელო ბავშვო (ხელს ართმევს ლიზას, მაგრამ ლიზა ბირს არიდებს) აბეზარი კრამერი აქვეა?

ას. შნაბელი. მერე სად არ დაწრწის ეგ სულელი. გუშინ დილით დავინახე—უნდა გითხრათ, ღვთაებრივი სანახაობა! ბინძური გარყვნილების ბუნაგთან და მასთან ლორსავით გალეშილი. როცა იქიდან გამოდის, იმისთვის დღე მხოლოდ მაშინ იწყება.

კვანტ-მეისტერი. (ლიზას) სულიკო, მითხარი ხომ არას მიჯავრდები!

ლიზა. (გაურბის სიცილით. შემდეგ მიდის სამზარ. ფანჯარასთან) ერთი კერძი შნიტცელი ბატ. ასსესორისთვის.

ას. შნაბელი. პური, პური

პური არ დაგავიწყდეთ. პური რაც შეიძლება ბევრი, ათიოდე ურემი! (სასოგადო სიცილია).

ფრიც. (ხელში უჭირავს ლუდით სავსე ჭიქები) ინებეთ, ბატონებო, ლუდი! (მეორე ოთახში გადის).

(სურათ მოძღ. ცინი, ასეს. შნაბელი და ფონ კრაუტ-გეინიც გაჭუჭებიან მოსამსახურეს. სიჩუმეა).

კვანტ-მეისტერი. მითხარ, ციცუნია, რაზე მებუტები?

ლიზა. მე? გებუტები? რას არ მოიგონებ?

კვანტ-მეისტერი. აბა აქ მოდი, ჩემო გაიჭერავ! ნუ კი იჭყანები, ჩქარა მოდი და მომაწოდე შენი ტუჩები... მარდათ!.. ზეგ კიდევ მოხვალ ჩემთან. ზეგ კვირაა, ხო იცი კვირას ჩემი მასპინძლები, ბინის პატრონები, ორივენი მიდიან სადღაც, ასე რომ სახლში ერთი კატაც კი არა რჩება, ღმერთმანი!

ლიზა. (სუსტ წინააღმდეგობას უწევს) დანიშნულები ვართ, თუ არა?

კვანტ-მეისტერი. რასაკვირველია! როგორ თუ არა ვართ დანიშნულები. მე ხომ თავისუფალი კაცი ვარ: ვინც მინდა იმას შევირთავ!..

ლიზა (ჯოტნის ნებას აძლევს. მერე ოდნავ სიდას გაარტყამს და ხელიდან გამოუსხლტება) დაიკარგე, მე შენი აღარაფერი მჯერა!

კვანტ-მეისტერი. (უნდა გამოეკიდოს) აი შე ბაღლინჯო, შენ დღეს როგორღაც თავხედობ.

(მინიანი კარები იღება. შემოდის მიხაელინა)

ლიზა. ჩუ!

კვანტ-მეისტერი. დასწყევლა ღმერთმა, ამას აქ რაღა უნდა?

(მიხაელინა გადის ფუდხანაში და თან აქეთ იქით იყურება. ლიზა წამოდგება და დახლიდან მიმავალ მიხაელინას თვალს აყვანებს).

კვანტ-მეისტერი (ირხეინოთ ციგარას წვერს აწრის) მოიცა ლიზა ჯან, მე კიდევ გადაგიხდი. (გადის მეორე ოთახში).

ლიზა. (მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ) ქალბატონო, თქვენ ეძებთ ვისმე?

მიქაილინა. ეს ბენშის რესტორანია?

ლიზა. ჰო ეს არის.

მიხაილინა. გმადლობთ, მაშ ეხლა მე თვითონ დავათვალიერებ. ვისაც მე ველოდები, უეჭველია მალე მოვლენ. (ავბრებს გვერდის ოთახში გასვლას).

ლიზა. მანდ მხოლოდ მუდმივი სტუმრები სხედან.

მიხაილინა. ჰოო? მე ველოდები ახალგაზრდა ცოლ-ქმარს. მაშ პატარა ხანს აქ ჩამოვჯდები სადმე და მოუცდი.

ლიზა. (ანიშნებს) აქეთ მობრძანდით! ან აქ; ან იქნება აქ გირჩევნიათ?

მიხაილინა. (ჩამოჯდება სკამეიკაზე, რომელიც იქვე ბუფეტის პირდაპირ სდგას კედლთან) გმადლობთ! აი. აქ დავჯდები. გეთაყვა, ერთი პატარა ჭიქა ლუდი უბრძანეთ.

ლიზა. (ამ დროს ფრიცი გამოიყვანს) ფრიც, პატარა ჭიქა ლუდი მოართვი (სკამის საზურგეზე მიეყუდება, დარბაისულ შეხედულებას მიიდებს, მოართულობას ისწორებს და თან დიდის ინტერესით ათვალიერებს მიხელინას, შემდეგ ამბობს) მგონია საძაგელი დარია.

მიხალინა. (კალთაშებს, პალტოს და შლიაპას იხდის) დიახ მე კარგათ მომივიდა რო კალოშები ჩავიცვი. ქუჩებში საშინელი ტალახია, (ჯდება, თმას ისწორებს. და პირს იწმენდს).

ლიზა ბენში. სავარცხელი ხომ არ გნებავთ? შემიძლიან მოგართვათ,— აი ინებეთ. (შიდის მიხელინასთან და თავის სავარცხელს აძლევს).

მიხალინა. ძალიან გულკეთილი ყოფილხართ. დიდად გმადლობ (სავარცხელს ჩამოართმევს და თმებს ისწორებს).

ლიზა ბენში. (თვითონაც უსწორებს თმებს). ნებას მომცემთ გიშველოთ?

მიხაილინა. გმადლობთ ეხლა მე თვითონ გავისწორებ. (ლიზა ბენში თავის ადგილს ბუფეტშია და დიდის ინტერესით განაგრძობს მიხაილინას დაკვირვებას. ფრიცს მოაქვს ლუდი და მიხაილინას წინ სდგამს. შემდეგ იდგების სიგარების უთან და გაჩერდება მეორე ოთახში, სადანაც სიცილი და ხმაურობა მოისმის).

მიხაილინა. ეტყობათ აქ ძალიან სიმხიარულეში არიან.

ლიზა ბენში. (ბრანჯვეთ მხრებს იწევს) ჰოო მაგის წინაღმდეგ ვერაფერს გააწყობთ. მაგას ვერ მოაშლევინებთ. (ცოტა წინ გამოდის) სწორე მოგახსენოთ, არ მიყვარს ხმაურობა და აურზაური, მაგრამ იცით რა დამემართა? მამა ავად გამიხდა, დედას არ შეუძლიან თუთუნის ბოლის ატანა. და, გარდა ამისა, ის მამას უვლის, თავს ხომ არ დაანებებს?! ძალა უნებურათ ამ საქმეს კიდევ მე უნდა გაუძღვე.

მიხაილინა. რასაკვირველია, მაგისთანა პირობებში სწორეთ ასე უნდა მოქცეულიყავით.

ლიზა ბენში. გარდა მაგისა, მე ჯერ კიდევ ახალგაზდა ვარ. აქ მოსიარულებში ბევრი საუცხოოთ განათლებული ყმაწვილი ურევია და იმათგან მეც შევიძენ რასმე ცოდნას.

მიხაილინა. ცხადია, რასაკვირველია!

ლიზა ბ. მაგრამ იცით რა არის საზიზღარი? (ძალიან შინაურული კილოთი) ჩხუბი რო ასტყდება ხოლმე. ჯერ დაითვრებიან და მერე ჩხუბობენ. ღმერთო ჩემო, რა ხდება ხოლმე. მაშინ კი მართებს ადამიანს სიფრთხილე!.. აქ შენ (იმას) მავანს თავი მეტის ალერსით დაუკარიო, ამას ხელი

ჩამოართვიო, მესამეს წყრთა რათ მოახვედრეო.. ყველა ამას ადამიანი თვითონ ვერ ამჩნევს. მეოთხეს ძალიან ხშირად ნუ უყურებო, მეხუთე გარეთ გამოაბრძანეო. შეუძლებელია, რომ ყველას აამო არა? მაგრამ ერთი ბეწო რამე მოხდა საწყენი—იგრიალებენ და ეცემიან ერთმანეთს თმებში (გვერდის ოთახიდან მოისმის: ლიზა, ლიზა, სად დაიმალენით!..)

ლიზა ბენში. (მიხაილინას) არ წავალ. მე თქვენთან დავრჩები. იმათთან ყოფნა ეხლა მოსაწყენია.. თანაც ჩემი დანიშნული იქა ზის.. აბა ერთი თქვენა სთქვით, განა ეს შეიძლება? იმას უნდა რომ სხვებთან ვეალერსო... ეს ხომ შეუძლებელია!

მიხაილინა. რასაკვირველია, თქვენს დანიშნულს არ შეუძლიან ეგ მოგთხოვოს.

ლიზა ბენში. არა, არა, რასაკვირველია, ის არცა თხოულობს, მაგრამ მაინც. (ისევ წამოდგება, როდესაც ფრიცს ხელ-ცარიელს დაინახავს) დაიხსომეთ ჩემი სიტყვები: თაყვანის მცემლებს ერიდეთ. (ლახმანი შემოდის შუშებიანი კარებიდან, მაშინათვე შენიშნავს მიხაილინას და ხელს ართმევს).

ლახმანი. (ჭკიდებს ბალტოსა და შლიაპას) მიხაელინა, რანაირათ დავბერდით!.

მიხაელინა (მხიარულათ) ოჰო, ეგ პირველი იერიაშია ჩემზე?

ლახმანი. მე ჩემს თავზე ვამბობ, ჩემზე. შენ არა და მე კი მოვხუცდი... მამაშენთან შედარებით მაინც (ჯდება)

მიხალინა. რათა?

ლახმანი. ამას თავისი მიზეზები აქვს, რასაკვირველია; მაშინ, როცა თქვენს აკადემიაში შემოველ.. ვაი დასწყევლა, ღმერთმა! ეხლა კი?. ჰო, ძალიან უკან დავიხიე!

მიხაილინა. რათა? ერთი კაცმა გკითხოს: რათა?

ლახმანი. ჰო, გვინდოდა სინათლე და სიბნელე შეგვერიგებინა!. და რადა არ გვინდოდა?. რა არ შეგვეძლო. რა გადაჭარბებული წარმოდგენა არა გვქონდა ჩვენს თავზე!. ეხლა? ეხლა ჩვენ გაკოტრებულებსა ვგევართ.

მიხაილინა. როგორ თუ გაკოტრებულებს?! რაში გვეტყობა გაკოტრება?

ლახმანი. ბევრ რამეში და უფრო კი ერთ რამეში.. მაგალითად ილიუზიებში.

მიხაილინა. ჰ!. მე მგონია, რომ უიმისოდაც რიგიანად ვცხოვრობთ. ნუ თუ მაგრე დიდათ აფასებ ილიუზიებს?

ლახმანი. დიახ, დანარჩენი ყველა პრობლემატურია. ილიუზიის სიძლიერე ქვეყანაზე ყველა საუნჯეზე უკეთესია. თუ ცოტას დაუფიქრდებით,—უთუოთ დამეთანხმები.

მიხაილინა. შენ გინდა სთქვა—ფანტაზია (ოცნება), მაგრამ უამისოდ რომ მხატვარი შეუძლებელია.

ლახმანი. დიახ! ფანტაზია და ამ ფანტაზიის რწმენა. (ლიზას) გეთაყვა, გუშინდელივით ერთი ჭიქა წითელი ღვინო.

ლიზა ბენში. (უცბად ხსნის ბოთლს) მე მაშინვე გიცანით რა წამსაც შემოხვედით (წინ უდგამს ჭიქასა და ბოთლს).

ლახმანი. ჰოო?. დიდად სასიამოვნოა. ფულზე რო ცოტა სუსტათ არ ვიყო, დღეს ჩვენ შამპანიურს დავლევდით (სიჩუმე)

მიხაილინა. ლახმან, ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადასდიხარ, შენი ნალაპარაკევი ერთმანეთს არ უდგება.

ლახმანი. სრულებითაც არა! კარგიც ეგ არის.. ჩემი საქმე წასულია, გათავებული და მეტი არაფერი! ეხლა შეიძლება დარდიმანდული ცხოვრება დავიწყო.

(გვერდის ოთახიდან ხუმრობა და სიცილი მოისმის. ამის გამო ლიზას უკმაყოფილობა ეტყობა. შემდეგ თვითონ გადის იმავე ოთახში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხაილინა. შენ რაღაც ახირებულათა ხარ აღელვებული.

ლახმანი. ჰოო? მატყობ? აი ხედავ... უამისოთ კი ნამძინარევსა ვგევარ. მადლობა ღმერთს რო ცოტა აღელვებული ვარ. მაგრამ, სამწუხაროდ, დიდხანს არ გასტანს.. ეჰ სიბერევ-სიბერევ!. ცოტ-ცოტათი კვდება ადამიანი..

მიხაილინა. მე ასე მოხუცებულათ არა გხედავ, ძვირფასო ლახმან!.

ლახმანი. მაშ თუ მაგრეა — ცოლათ გამომყე!..

მიხაილინა. (გაკვირვებული, მხიარულათ) ეგ კი იცით მაშინათვე!. არა, ცოლობაზე კი უკაცრაოთ! მაგისათვის ჩვენ ორივენი მართლა რო ძალიან ხნიერები ვართ; მაგრამ იცი რა, ვიდრე შენში კიდევ მაგოდენა იუმორია, შენი საქმე ცუდათ არ არის..

ლახმანი. არა, მაინც, მაინც, მაინც.. მაგრამ ამას თავი დავანებოთ.

მიხაილინა. სთქვი, მაინც მაგრე რამ დაგაძიბუნა?

ლახმანი. არაფერმა! იმიტომ რომ მე სრულებითაც არა ვარ დაძაბუნებული. მე მხოლოდ მცირე მიმოხილვა მოვახდინე ყოველივე ჩემი წარსულისა და შევნიშნე, რომ ცხოვრება შემიწყვეტია.

მიხაილინა. რათა? კიდევ უნდა გკითხო, რათა?

ლახმანი. თევზს წყალში შეუძლიან ცხოვრება. ვისაც ცხოვრება უნდა, თავის ატმოსფერაში უნდა იცხოვროს. ეგევე ითქმის სულიერ ცხოვრებაზე. მე იძულებული ვარ უცხო, ჩემთვის შეუფერებელ ატმოსფერაში ვიცხოვრო. მინდა თუ არა, უნდა ვისუნთქო ამ ჰაერით! ამის გამო სული მიგუბდება, გრძნობები მეხუთება და ამის გამო ჩემი თავისა აღარაფერი გამეგება!

მიხაილინა. უნდა გითხრა, ჩემი ნებით განმარტოებულ ცხოვრებაში უფრო კარგათა ვგრძნობ თავს.

ლახმანი. თქვენ, საზოგადოთ, უკეთეს პირობაში ხართ. თქვენ ვერ ხედავთ და არა გესმით რა იმ უზარმაზარ ფილისტერული ხაფანგისა, რასაც სატახტო ქალაქი ეწოდება. თუ კი ერთი ხელში მოგიგდო, ისე ჩაგითრევს, როგორც კუდიანი ქარი, გრიგალი. გინდა თავი დაახწიო და თავისუფლად ამოისუნთქო, მაგრამ ამაოთ.. უკეთესი კი იყო სახლში დავრჩენილიყავ.. ქვეყანა არც ისე ფართოა. არც სხვაგან არის ამაზე მეტი სიფართოვე და არც აქაა მეტი სივიწროე, ვიდრე სხვაგან. ვისთვისაც ვიწროა ქვეყანა, მან თვითონ უნდა გაიფართოვოს იგი, მაგალითად, როგორც მამაშენმა. როდესაც მე აქ სამხატვრო აკადემიაში შემოვედი, მახსოვს, გაზაფხული...

მიხაილინა. ჰო, გაზაფხული იყო.

ლახმანი. ჩემთვის, ჩემი შინაგანი „მე"-სთვის მაშინ იყო გაზაფხული. მე მაშინ გამოვძვერ წვრილმანი მეშჩანური სიბინძურისაგან, და მართლაც.. სწორეთ მაშინ გადამეშალა თვალ წინ ქვეყანა თავისი სიდიადითა და უსაზღვროობით... ეხლა კი სრულიათ ჩაფლული ვარ ცხოვრების ჭაობში, როგორც კუბოში ისე ვარ ჩაჭედილი ჩემს სახლსა და ოჯახში.

მიხაილინა. ლახმან, ასე მგონია გუშინ იყო მეთქი. ქერა, აბრეშუმის მსგავსი თმით რო მედექი წინ. შესავალ პატარა ოთახში, გახსოვს, მამიჩემის ოთახის წინ? იმისი სახელოსნო მაშინ ისევ მაღლა იყო და არა განცალკევებულ პატარა ფლიგელში. გახსოვს თუ დაგავიწყდა?

ლახმანი. მე? აბა რას ამბობ? განა მაგისთანა რამ ადამიანს დაავიწყდება?! მაშინდელი ამბები ყველა მახსოვს. წვრი-

ლმანი რამეებიც კი არ დამვიწყებია. ის წამი ხომ ჩვენს ცხოვრებაში დიდებული წამი იყო. განა არის იმისთანა სიტყვები, რომ ოდნავ მაინც გამოხატოს ის იდუმალება, რომელიც თავს დაგვტრიალებდა?.. იმ დრომდის გალვერილი, ქეციანი ბიჭი ვიყავი და უცბათ, ერთი ხმლის დაკვრით მამაშენმა რაინდათ გადამაქცია.

მიხაილინა ყველანი ვერ გრძნობდნენ მაგას, საყვარელო ლახმან; ძალიან ბევრნი მამაჩემთან პირიქით დამცირებულათ და დამდაბლებულად გრძნობდნენ.

ლახმანი. ჰო, მაგრამ ისინი განიცდიდნენ მაგას, რომელთაც მართლა რო არაფერი შეეძლოთ, სამაგიეროთ, ვისაც ერთი ბეწო ღვთიური ნაპერწკალი გააჩნდა, მას ხელით გამოიყვანდა ხალხში. როდესაც თვალწინ გადაგვიშლიდა ხოლმე გმირთა სამფლობელოს.. მარტო ის რათა ღირდა, რომ ჩვენ ღირსადა გვხდიდა შევჯიბრებოდით მას... და საზოგადოთ გვაგრძნობინებდა, ხელოვნების თავადთა წინაშე, რომ ჩვენც იმათი მოდგმისანი ვართ! მიხალინა, მაშინ ჩვენი სული ივსებოდა რაღაცნაირი ღვთაებრივი სიამაყით!.. ეს ღმერთმა შენ გაცოცხლოს!.. გაუმარჯოს იმას, რაც ოდესღაც იყო!.. (ამ დროს შენიშნავს, რომ მიხაილინას ჭიქა არა აქვს და მიუბრუნდება ფრიცს, რომელიც გვერდის ოთახში შამპანიურის შუტანას აპირებს) გეთაყვა, ერთი ჭიქა მოიტათ. (ფრიცს უცბათ მოაქვს ჭიქა და მერე შამპანიური გააქვს)

მიხაილინა. ლახმან, შენ რაღაც არა ჩვეულებრივი დაგმართვია. მითხარი რა მოგვიდა?

ლახმანი. (ფვინოს ისხამს) მამიშენის ნახატი ვნახე!

მიხალინა. ოჰო, ეხლა მამაჩემთან იყავ?

ლახმანი. ჰო, ეს კი იყო. პირდაპირ იქიდან მოვდივარ!

მიხაილინა. მართლა ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა შენზე?

ლახმანი. ისეთი ღრმა, რო მეტი არ შეიძლება. ჰო!

მიხაილინა. მართლა გულწრფელად ამბობ?

ლახმანი. სრულიად გულწრფელად, გულწრფელად, რასაკვირველია.

მიხაილინა. მაშ იმედი არ გაგიცრუვდა?

ლახმანი. არა, არა! სრულებითაც არა. მე ვიცი შენ რაზეც ამბობ, ან რათაც მკითხავ, მაგრამ ხელოვნებაში ყველაფერი — ეტიუდი, ნაწყვეტი... რაც კი რამ არის, — საუცხოვო... ძლიერი და მშვენიერია... ის, რაც მიხწეულია და რასაც გრძნობ, მიხალინა... უკანასკნელი გამოხატულება, რომელშიაც ყველა მიისწრაფის შეერთდეს... მხოლოდ აქ შეგიძლიან სავსებით შეიგნო თუ რა მხატვარია მამაშენი!.. დიდ დამარცხებას შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, — ეს თავს იჩენს ხოლმე დიად საქმეებში, — შეუძლიან უფრო ძლიერათ მოხვდეს ადამიანის სულს და ასწიოს იგი მაღლა ან და შეაძლებინოს ღრმათ განსჭვრიტოს დიად მოვლენათა საიდუმლოებანი; უფრო ღრმად, ვიდრე ეს შეუძლიან ჰქმნას სრულს გამარჯვებას.

მიხაილინა. მაინც მამაჩემი როგორ გუნებაზე იყო?

ლახმანი. ძალიან გამაწითლა. თუმცა, სამწუხაროდ, ეს გაწითლება ეხლა ვეღარაფერს მიშველის, მაგრამ იცი, როდესაც ასე დახუჭავ თვალებს და გადაატარებ შენ თავზე ქარიშხალს, შეიძლება წარმოიდგინო, რომ ეს მხოლოდ გაზაფხულის პირველი ღვართქაფია, რისგანაც შეიძლება გაზრდა, ღმერთმა იცის, რა სიმაღლემდის.

(ხუროთმოძღვარი ცინი და ასესსორი შნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი შემოდიან. ორივენი ქეიფიანთა არიან. ხან თამამად ხმა მაღლა დაპარაკობენ, ხან სიდუმლოთ რაღაცას ჩურჩულებენ, მაგრამ ისე კი, რომ ყველას შეუძლიან გაიგონოს. გვერდის ოთახიდან სიცილი მოისმის).

ხურ. ცინი. ფრიც, საჩქაროთ გელდერმანის ერთი ბოთლი კიდევ მოიტანე... ბოთლი რვა მარკიანი *). ეს რის ნიშანია? მეც ამიყოლია ამ მასხარაობამ.

ასეს. შნაბელი. კვანტმეისტერი საუცხოვო ყმაწვილია, არა? რას არ მოიგონებს! სწორედ კუდიანი დედაბერია!

ხურ. ცინი. (სიცილით) მგონი სტოლ ქვეშ მომიხდება შეძრომა! (ჩუმათ) გამიგონეთ, ასესსორ, ბებერ კუდიანებზე ცოტა ფრთხილად ილაპარაკე, გაუთხოვრათ დაბერებულებს არ ესიამოვნებათ კუდიანებზე ლაპარაკი (დაიდმაჭვნა და თვალით მიხალინაზე ანიშნებს).

ასეს. შნაბელი, ფრიც, განა რენ-ცის ცირკი აქავეა?

ფრიცი. (შამპანიურ ხსნის) რათ გგონიათ ბატ. ასესსორო? მე არაფერი ვიცი.

ასეს. შნაბელი. რატომ? რატომ არ იცი? მაგისი გაგება ხომ სუნით შეიძლება.—განა თქვენ ვერა გრძნობთ რო აქ მანეჟის სუნი სდგას.

ხურ. ცინი. გაუმარჯოს ფეხმარდ (სუბუქ) კავალერიას!.

ფონ-კრაუტგეინი. (კამოდის ოთახიდან; მიდის ბუფეტისაკენ, თან ცინსა და შნაბელს სიტყვას გადაუგდებს) ეს ვინ არი? ქალია თუ კაცი?

ხურ. ცინი. მიდით და გამოიკვლიეთ. (შნაბელს ეჩურჩულება) ერთი ეს მითხარი, გეთაყვა, რა მოხელეა ეს კვანტ-მეისტერი? ან მართლა იურისტია? იმისგან ხომ კაცი ვერაფერს გაიგებს? რითა სცხოვრობს?

ას. შნაბელი. (მხრებს იწევს) ალბათ ფულებით.

ხურ. ცინი. მერე სადა შოულობს?

ასეს. შნაბელი. ფულები, მგონი, ყოველთვისა აქვს და მეტი რა უნდა?

ხურ. ცინი. თქვენა გჯერათ მაგისი დანიშვნა?

ას. შნაბელი. ახ, ცინ, გეტყობათ, ძალიან დაგილევიათ.

ხურ. ცინი. მაშ ეს პატარა ქალი ძალიან სულელი ყოფილა! ყველა ქალიშვილს ეპატიება, რომ ცოტათი მოისულელებდეს, მაგრამ თავისი თავის ასეთი უპატივცემლობა კი არავის ეპატიება (ყურში ჩუმათ რაღაცას ეუბნება, შემდეგ ორივენი იწყებენ ხარხარს და თან სიგარას ეწევიან).

ხუროთ მოძ. ცინი. ასესესორო, აბა გარშემო კარგად მიათვალიერ-მოათვალიერეთ (ხელს გაუყრის ასესესორს და მიაყენებს მიხაილინისა და ლახმანის სტოლთან, ასე ჰგონია იმათ ვერც კი ამჩნევსო. უბოდიშოთ იმდენათ უახლოვდება მიხალინასა და ლახმანს, რომ თითქმის ფეხებს აჩქეთს: ცინი მარჯვენა ხელს წინ იშვერს, თან ხმა-მაღლა ტრაბახით უთითებს შენობის სხვა და სხვა ნაწილებზე) ეს სულ მე გავაკეთე, სულ ჩემი ნამუშევარია. პანელი, ჭერი, ბუფეტი და აგრეთვე ყველაფერი რასაც ხედავ.. სულ ჩემი ნახატია, ჩემი ნამუშევარი.. ამიტომაც მიყვარს აქ დროს ტარება და ქეიფი. ჩვენ გემოვნება გვაქვს, ხედავთ? მეთანხმებით? მეტის-მეტი მშვენიერი ტრაქტირია!. (ას. შნაბელს ხელს უშვებს, იდგებს ასანთს და დიდხანს ეფხაჭუნებს მიხაილინასა და ლახმანის სტოლზე. შემდეგ ანთებს და სიგარას უკიდებს. გვერდის ოთახიდან კვლავ სიცილი მოისმის. ფრიცს შამპანიური შეაქვს. ცინი მიტრიალდება და ამბობს) იმ ბავშვს სულ ერთიან გადარევს!.

ას. შნაბელი. (მხრებს იწევს).

*) მარკა—ცხრა შაური.

ხუროთ. ცინი. წავიდეთ, იქ ისევ დაიწყო. (ორივენი კადიან გვერდის ოთახში მიხაილინა და ლახმანი განცვიფრებულები ერთმანეთს შეეურებენ. სიჩუმე).

ლახმანი. (ჯიბიდან სათუთუნეს იღებს, უგულოთა) ვერაფერი საინტერესო ტიპები არიან. ნებას მომცემ თუთუნი მოვწიო!

მიხაილინა (ცოტა აღელვებული) რასაკვირველია.

ლახმანი. შენლა?

მიხაილინა. არა, გმადლობ: აქ არ მოვწევ.

ლახმანი. დიახ, დიახ, ძალიან შორს წავედით: ჩვენ სწორეთ ჩვენი დროის ოინბაზები ვართ. ან იქნება... ეჭვი შეგაქვს ამაში?..

მიხაილინა. აქ საშინელი ხმაურობა და ყრიამულია.

ლახმანი. (სიგარას ეწევა) დილის ცისკრის სხივები რო შეისხა ფრთებათ, მაინც ამ ჯურის ხალხს ვერ გასკილდები! ოხ ღმერთო! ყველა ეს რა კარგათ დაიწყო! ეხლა კი ამ ვაუბატონებისათვის წყალსა ვნაყავ! ქვეყანაზე არ არის ერთი საგანიც კი, რომლის შესახებაც ჩვენ და ისინი ერთნაირათ ვფიქრობდეთ... ყოველივე დაუფარავი და უმწიკვლო მაგათგან ტალახში ისვრება. უსაზიზღრესი ძონძები, ბინძური ზედაკანი, საშინელი კონკები კი სიწმინდეთაა გამოცხადებული. ჩვენი თანამოძმენი კი გაჩუმებულნი იყვნენ და წელებზე ფეხს იდგამდნენ ამ ოხერმუდრეგებისათვის. შენი სადღეგრძელო იყოს, მიხალინა! ღმერთმა აცოცხლოს მამაშენი! და გაუმარჯოს იმ ხელოვნებას, რომელიც მთელ ქვეყანას ანათებს, ყველასა და ყველაფრის მიუხედავათ! (ჭიქებს მიაჯახებენ). დიახ, ერთი ხუთი წლით რო პატარა ვიყო. კიდევ შევძლებდი რითიმე ჩემი თავი უზრუნველ მეყო, ეხლა კი საუბედუროთ დალუბულია. მაშინ ყველაფერი უფრო სამხიარულოთ მეჩვენებოდა.

მიხალინა. იცი, ხანდისხან რა არის ხოლმე ყველაზე ძნელი?

ლახმანი. რა?

მიხალინა. მეგობართ შორის?

ლახმანი. ჰო და რა?

მიხალინა. ისა, რომ ერთმანეთს შეცდენაში ხელი არ შეუშალონ! მაშ აბა, ერთხელ კიდევ იმისი სადღეგრძელო, რაც იყო ოდესღაც!. (დიდ მნიშვნელოვანობით უჯახუნებს ჭიქას ჭიქაზე).

ლახმანი. რასაკვირველია, რასაკვირველია. მემართლები! ის დრო აღარ დაბრუნდება. მაგრამ ოდესღაც ახლო ვიყავით ამასთან... ეხლა რამდენიც გინდა აქნიე თავი.. მაშინ კი საკმარისი იყო ჩემი თავის ერთი დაკანტურება! (გვერდის ოთახში სიცილი და ხმაურობა).

მიხაილინა. (შემკრთალი და გაფითრებული) ლახმან; ეს რა ამბავია? გაიგონე?

ლახმანი. ჰო, ნუ თუ მაგან აგაღელვა ასე?

მიხაილინა. მე თვითონ არ ვიცი, ღმერთმანი, რა მომივიდა. ალბათ იმიტომ, რომ არნოლდსა და მამა ჩემ შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებისა გამო ცუდ გუნებაზე ვარ.

ლახმანი. ჰო, მაგრამ რაღა ეხლა მოგაგონდა?

მიხაილინა. მე თვითონ არ ვიცი. უკეთესი არ იქნება რო აქედან წავიდეთ? ჰო, მაგრამ შენი ცოლი!. მაშ პატარა ხანს კიდევ მოვიცადოთ. ძალიან მოუსვენრათ კი ვარ...

ლახმანი. შენ მაგ ბრბოს ყურადღებას ნუ აქცევ...

ლიზა ბენში. (გვერდის ოთახიდან გამოდის) ოჰ, ღმერთო, ჩემო ეს რა ამბავია!.

აი ასე დაითვრებიან ხოლმე შამპანიურით და მერე თვითონაც აღარ გაეგებათ რას შვრებიან. უბედურებაა სწორეთ! (მოურიდებლათ მიუჯდება მიხაილინასა და ლახმანს. სახეზე დიდი გაბაწყენება ეტყობა)

ლიხმანი. მაგ ყმაწვილებს ეტყობათ. რომ ძალიან უტაქტო ქცევა აქვთ.

ლიზა ბენში. არა, მაგას ვერ ვიტყვი. ეგენი სულ რიგიანი ხალხია, მაგრამ, იცით, აქ ერთი ახალგაზრდა კაცია, რომელიც ყოველთვის იქამდის მიჰყავთ.. იქამდის... (თავს უკან გადაგდებს და ისე აქნევს, ასე გონია გული უწუხსო, და ენერგიულათ ხელს ჩააქნევს) იქამდის... სწორეთ არ ვიცი!..

ლახმანი. ეგ, უეჭველია, თქვენი დანიშნული იქნება! არა?

ლიზა ბენში. (ისე გონია სიცივისგანა ძაგძაგებსო, გულზე იფურება და თან კრუჭვების ისწორებს) ახ, არა! ერთი ჭილაც დამთხვეულია, რომელსაც რაღაც სისულელე აუჩემებია... ვილაც გადარეულ ბიჭთან აბა რა მაქვს საერთო? სადაც უნდა წაეთრიოს! (მიხაილინას) როგორ მოგეწონებათ, რომ წინ მუდამ მაგისთანა მერაბუ *) გეჯდეთ? განა უფლება არ მაქვს როგორც მინდა ისე მოვიქცე? მართალს არ ვამბობ? რა საქმე მაქვს მაგ ასასთან, რომელიც ასე გულმოდგინეთ მყარაულობს? (ადგება) გარდა ამისა, ჩემი დანიშნული დღეს მთვრალია. თუ ჩემ დარაჯსაც უნდა დათრობა, სხვაგან წავიდეს და იქ დალიოს. (ლიზა ბუფეტის ბნელ კუთხეში იმალება. სიჩუმეა).

ლახმანი. შენ ვერ წარმოიდგენ, ყველა ეს ერთად როგორ მოქმედობს ჩემზე! იქ მამაშენი თავის სახელოსნოში და აქ ეს... ასე ვთქვათ, პატიოსანი კამპანია!. რო მოვიგონებ იმის ნახატს—ქრისტეს დიდსა და მშვიდ სახეს და წარმოიდგენ მას, ამ მოშხამულ ჰაერში, სრულის მისის სიმშვენიერითა და სისპეტაკით, მეტის მეტათ ახირებულ, სხვანაირ შთაბეჭდილებას ახდენს... მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩემი მეუღლე არ მოვიდა; სწორე გითხრათ, ამისი მეშინოდა.

მიხაილინა. ნეტავი ვიცოდეთ მაინც სწორეთ მოვა თუ არა? რო ვიცოდე რო არ მოვა ერთ რამეს გთხოვდი... შენ კარგ გუნებაზე ხარ?

ლახმანი. (სათუთუნეს ბალტოს ჯიბეში იდებს). დიახ, იმ წამიდან, რაც ჭიქები ვაძაკრავეთ. ყოველისფრის მიუხედავათ, მიუხედავათ ყოველისფრისა. როდესაც ორს შეუძლიან თავის თავს უთხრას: იყო ოდესღაც!.. იმათ უეჭველია კიდევ შემორჩენიათ ცოტა რამე და აი ამ ნარჩომის სადღეგრძელო დავლიოთ ხელახლა. (გვერდის ოთახიდან სიცილ-ხარხარის შემდეგ მოისმის შემდეგი ლაპარაკი, რაც თანდათან ხმამაღლდება)

კვანტმეიერი. რა გქვიანთ? ვინა ხართ? მუდამ აქ რას უზიხართ და თვალებ დაჭყეტილი რას შემოგვყურებ? როგორ? რაო? თქვენ გიშლი რასმე, რო ჩემ დანიშნულს ვკოცნი, როცა მინდა?—დახეთ! გგონიათ, რომ ნებართვას თქვენგან ავიღებ? თქვენ!? თქვენ?! თქვენ! თქვენ ხომ შტერი ხართ, სულელი, აი თქვენ ვინა ხართ!

(დაცინვით და მხიარულათ მოისმის) დუშები გაუკეთეთ, დუშები, ცივი დუშები!

კვანტმეიერი. მე არ შემიძლიან აქ ჩემი წვივსაკრავი გამოვაჩინო? თქვენა გგონიათ, რომ ამისი უფლება არა მაქვს? (სიცილი ისმის).

ლახმანი. თქმა არ უნდა კარგ კამპანიაში ჩავცვივდით!

კვანტმეიერი. თქვენ წარმოგიდგენიათ,

*) წეროს მაგვარი კუზიანი ფრინველია.

ეროვნული

რომ ამისი უფლება არა მაქვს? მე ქალის წვივსაკრავებს ვატარებ—აქ რაა დასაფარავი! და თუ ეს ჩემი წვივსაკრავი, არ არის, მაშ ჩემი არა ყოფილა, ძალიან ადვილი შესაძლებელია, რომ ლიზასი იყოს (სიცილი).

ლიზა ბენში. (მიხვდინას და ლახმანს) ტყუის, ტყუის! ეს სულმდაბლობაა. უნდა რომ ჩემ დანიშნულს ეძახდნენ და მაგრე კი სკრუობს!

კვანტმეიერი. რაო? რაო? ერთი კი მოდით, მოდით ახლო! და ნახავ თუ დავთვრები არ დაგიბნიო! ნუ იფიქრებთ, რომ მაგან გუნება წამიხდინოს! ვერ უყურებთ ამ თხუპნია—მღებავს! ერთი სიტყვა თუ წამოსცდა კიდევ—მიწაზე გავართხავ—ამაში დარწმუნებულნი უნდა იყვნეთ.

ლიზა ბენში. (ძალიანა ჩქარობს, რის გამო სიტყვები ერევა) მე გეტყვით, ბატონებო რაც მოხდა. თქვენ ნუ იფიქრებთ, ვითომ ამ სკანდალში მე რამე ბრალი მიმიძღოდეს. აი როგორ იყო... აი ასე მოხდა... უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი დანიშნული ცოტა ქეიფიანათაა. და სულ ხელზე მჩქმეტდა, ამიტომ ერთხმათ გადაწყვიტეს იმის გულში ეჭვი ჩაეგდოთ.

ლახმანი. იჭვი ჩაეგდოთ? ვის გულში?

ლიზა ბენში. იმ ახალგაზდა კაცის გულში, რომლის შესახებაც ეხლა გელაპარაკეთ. მე ერთხელ კიდევაც ვიყავ იმის მამასთან. რო იცოდეთ, რა არა ვქენი? მაგრამ არაფერმა არ მიშველა!.. ის მაინც მოდის, ჯდება ამოჩემებულ კუთხეში და აი სადამდის მიიყვანა საქმე...

ლახმანი. მაინც რას შვრება?

ლიზა ბენში. ისეთს არაფერს. საქმეც მაგაშია, რომ მხოლოდ ზის თავისთვის და მდარაჯობს... ეს ხომ აუტანელია!.. ასე რომ იმ ყმაწვილს არ უნდა უკვირდეს, თუ მას ასე სისტემატიურათ აბრაზებენ და იმის გაძევებას არიან მოწადინებულნი (კვანტმეიერის ხმა ისმის). აი, ყური დაუგდევით. ისევ დაიწყეს. მე უთუოდ წავალ მამასთან ზევით, არ ვიცი სწორეთ, რა მეშველება?

კვანტმეიერი. გაიგეთ ამ წამში რა გითხარით? არა? ან იქნება დაგავიწყდათ? რაო? მაშ ყური დამიგდე და კარგათ დაიხსომე: მე შემიძლიან ჩემ დანიშნულს რამდენიც მინდა, სადაც მინდა და როდესაც მინდა ვაკოცო. ტარტაროზი რო მოვიდეს, ისიც ვერ დამიშლის ამას. იცოდეთ, თუ ერთი ხმა კიდევ ამოგიღიათ, მაშინათვე ეზოში გაგისვრით.

ლიზა ბენში. აი დასწყევლა, ღმერთმა! ამას ამბობს ჩემი დანიშნული... ასე საძაგლათ იქცევა და მასთან ცრუობს.

(გვერდის ოთახში უცბათ ასტედება საშინელი ხმაურობა, ეგეულანი დაბარაკობენ. ამ დროს მოისმის).

ხურ. ცინი. მოიცა, მოიცა, მეგობარო, ყელზე არ დაგადგეს!.

შნაბელი. რაო? რაო? პოლიციაო? ორმოში ჩაუძახეთ ეგ საძაგელი ეგა.

ფონ-კრაუტგეიმი. გამოგლიჯე, კვანტმეიერ, რას ებოდიშები!

კვანტმეიერ. აბა ერთი სცადეთ, ერთი გაბედეთ? თქვე უჯიშო, თქვენა!.

ხურ. ცინი. გამოსტაცეთ!

ასეს შნაბელი. გამოგლიჯეთ! ერთი, ორი, სამი!..

კვანტმეიერი. დადეთ! გესმით, დადეთ!

ხურ. ცინი. დასდებთ ეხლავე მაგ რეოლვერს თუ არა?

ას. შნაბელი. აი ხო ხედავთ—ეს უსაქმური ანარქისტია!..

(უსმოთ ჩხუბობენ გვერდის ოთახში).

მიხალინა. (საშინლათ შეშინებული უცბათ წამოვარდება და თავის ნიკოებს დაავლებს ხელს)

ლახმან, წავიდეთ გეთაყვა, წავიდეთ აქედან!.

ხურ. ცინი. ყმაწვილებო, ეხლა დაჭერილია, ეხლა ეს ჩვენ ხელშია.

ასეს. შნაბელი. დაიჭით, დაიჭით ეგ არამზადა (არნოლდი შემოვარდება ძალზე გაფითრებული და ეტემა კარებს, ცინი, შნაბელი და ფონ-კრაუტგეინი მისდევენ უკან და თან ეკერიან: დაიჭით, დაიჭით!. კარბიან ქუჩაში, ადარა სჩანან, მხოლოდ მდევრებისა და კარეშე ხირების ეკერიდი და მოისმის. ხმა თანდათან ძორს მიდის, სუსტდება და ბოლოს სულ სწყდება).

მიხალინა. (თავზარდაცემული) არნოლდი! არნოლდი არ იყო?

ლახმანი. ჩუმათ! (შემოდიან კვანტმეიერი და მოსამსახურე).

კვანტ-მეიერი. (ხატარა რევოლვერი უჭირავს) ლიზა, ჰხედავ რა მუზმუზელა ყოფილა? აქ უყურე! სულ რაღაც ხუთიექვსი მარკა ღირს, მაგრამ შეეძლო დიდი უბედურება დაეტრიალებინა.

ლიზა ბენში. გეთაყვა, მე თავი დამანებეთ!

ფრიცი. ეს კარგი ამბავია! არა, იმ სტუმრებს, რომლებსაც ლუდის სმის დროს გვერდით რევოლვერები უძევთ... მე ვერ ვემსახურები.

ლიზა ბენში. ვერ მემსახურები და არც საჭიროა.

ლახმანი. (მიუბრუნდება ფრიცს) ის ყმაწვილი მართლა გემუქრებოდათ—რევოლვერს გესვრითო?

კვანტმეიერი. (გაკვირვებულ ხოლიციელსავით შეჰყურებს ლახმანს) დიახ, სწორეთ მართალია, ბატონო, ან იქნება ეჭვი გაქვთ?—ღმერთმანი ეგ ყველასა სჯობია! იქნება რო იმის მაგივრათ ჩვენ მიგვცეთ პასუხის გებაში?!

ლახმანი. მე ნება მივეცი ჩემ თავს დავკითხებოდი მოსამსახურეს და არა თქვენ!

კვანტმეიერი. ჩემ თავს ნება მივეცი! ჩემ თავს ნება მივეცი!.. ვინ ბრძანდებით? რაც თქვენი საქმე არ არის, იმაში ნუ ერევით! ან იქნება იმ ვაუბატონის რამე ბრძანდებით? თუ მაგრე იყო წინათვე შეგვატყობინებდით, რომ ყველანი რიგიანათ გაგვებერტყენით! (იცინის). მგონი რო დღეს კი ეყოფა იმ ლაწირაკს. მალე არ დაავიწყდება. შენა გგონია, რომ ის მშიშარა რამე ნაირათ თავს იცავდა?

მიხალინა. (გონზე მოდის, წამოდგება და მიდის კვანტმეისტერისკენ) არნოლდ!! ის ხომ არნოლდი არ იყო?

კვანტმაიერი. რაო?

(ლიზა ბენში უცბათ მიხვდება რა ამბავიცა ხდება მათ შორის და ხელად კვანტმეიერისა და მიხალინას შუა ჩადგება).

ლიზა ბენში. (კვანტმეიერს) მოშორდი! თავი დაანებე, ჩვენ სტუმარს ნუ აწუხებ, თორემ ამავე წამს მამას დაუძახებ!

მიხალინა. (სასოწარკვეთილის ხმით, ასე გონია უკან დაბრუნებას ემუდარებაო და მერე შეძრწუნებული კარებს ეტემა.) არნოლდ! არნოლდი ხომ არ იყო?

ლახმანი. (მივარდება მიხალინას) არა, არა. არა, მიხალინა! დამშვიდდი!..

(ფარდა).

ი. გომელაური.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიტთა ფაფობა

უხვსა ჭმორჩილობს ყოველი,
იგიცა, ვინც ორგულია.
შოთა რუსთველი.

I.

ჩიტები ისხდენ ლობეზე,
სხვანი ლობის წინ ხეზედა.
იკეკებ-იჩეჩებიან,
ნისკარტებს ისმენ ფრთებზედა.
ჩამოთბა, წყალი თოვლისა
ყვითლად მიქანავს გზებზედა.
განცხრომაშია ჩიტები,
ეამსთ: თბებიან მზეზედა,
გააბეს მასლაათიცა,
ცა, დედამიწა, ღმერთზედა.
ერთმა ბელურამ დაიწყო—
ჭკვიანი სჩანდა სხვებზედა.

პირველი ბელურა.

სიცოცხლე, ძმებო, კაცს ულირს
ყველაფრით მოწყობილია,
სარდო მთელი წლის საკმაო
სახლში აქვს მოგროვილია,
როცა სწადიან, მუშაობს,
რაც მოისურვებს სძინია.
კაცს არაფერი აშინებს,
თამამად დადის ყველგანა;
ის ბატონია, მეფეა,
ყმადა ჰყავს მთელი ქვეყანა.

მეორე ბელურა.

ერთი მეც ყური დამიგდეთ,
ვილაპარაკოთ წყნარადა;
ადამიანი, თუ იცით,
ბელურებს გვაგდებს არადა.
პატარები ვართ, საწყლები,
მოვჩანვართ წვიმის ცვარადა,
ღონე არა გვაქვს, არც ფული
და არც სახლ-კარი მბრწყინავი,
ვყრივართ ღვთის ანაბრობაზე
ჯაგიდან ჯაგზე მფრინავი.
ტანისამოსი ვინ მოგვცა,
ან ქვეშაგები ბეჩავთა,
თუ იარაღი რომ იმით,
დაუხვდეთ ავად მხედავთა.
ვინ გინდა მიტომ ქვას გვესვრის,
სხვა თოფსა საფანტიანსა,
არავინ მოსთხოვს ანგარიშს:—
ჩიტებს რად აძლევს ზიანსა?!
ვისთან ვიჩივლოთ სად ვპოებთ
მსაჯულსა თავაზიანსა.
მიკვირს რითა ვძლებთ ამდენ ჭირს,
რისაგანა ვართ ცოცხლები:
რატომ არ გაგვწყვეტს სიცივე,
ან მონადირეთ თოფები?!
მაგრამ სროლად რომ არ ვღირვართ,
მიტომ ვართ შესაცოდები.
ბდღვნად არა ღირსო ჭივჭავი,
ამბობენ ლოთი ფოთები,
ეს ასეც არი და მიტომ
შევქმნილვართ დასაზოგები...

მესამე ბელურა (მეორეს)

ნუ დაივიწყებ, საბუთებს
რაკი ეგრე ვრცლად მოჰყვები,
რომ საჭირო ვართ ბოსტნისთვის,
როგორც სახლისთვის ბოძები.
ეს რომ იციან იმიტომ
გვზოგავენ ჩვენი მხოცლები

მეორე ბელურა.

დიაღაც. სწორედ მაგიტომ
ჩვენ შეგვრჩა ტანზე ჩოხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგწონთ თუ არა ნათქვამი,
რა თვალებს აბლვერთ ზოგები?

საერთო ხმა.

განაგრძე ყველა ყურს გიგდებთ,
არავინ გიცქერს ბღვერითა.
მხოლოდ ნუ დაგავიწყდება,
უნდა ვიუბნოთ ჯერითა.

მეორე ბელურა.

ჰო, საკვეხურად ისა გვაქვს,
მით ვსჯობნით ადამიანსა:
თავ-მოყვარება მეტი გვაქვს
თუმც მკლავს არ ვიქნევთ ხმლიანსა
და არც ვიკადრებთ რაიცა
არ ეკადრება ფრთიანსა.
რამდენი რამე მინახავს:
შემომივლია სოფლები,
მინახავ დედ-მამიანი,
იმათთან ერთად ობლები.
მდიდრის ეზოშიც ვიცხოვრე,
ათასი ჰყვანდა მცველები;
იმასაც სათხოვნელადა
განზე გაეპყრო ხელები.
ღარიბები ხომ ეს არი
იმათ ვასხედვართ თავზედა,
სულ ვიცით იმათ ამბავი,
მივდ-მოვდით იმათ კარზედა.
და ზოგს თუ არ დაეხმარა
მისივე მსგავსი გლეხია,
უნდა ჩაჰბარდეს მეუფეს,
მოკვდეს, გაჭიმოს ფეხია.
ათასი მთხოვარა დადის,
თხოვნაა იმათ ხერხია.
და ჩვენ-კი, ათასჯერ მითქვამს,
ბევრგანაც დამიკვეხია:
სამთხოვარაოდ წასული
არ გაგონილა ბელურა,
თუმცა არცა-რა ტანთ ეცვა,
არცა-რა თავზე ეხურა.
ჩვენ ვცხოვრობთ თავის შრომითა
ვიდრე დღე დაგვიბნელდება,
სხვის კარზე მთხოვრად დგომითა
სულთქმა არ გაგვიძნელდება.

მესამე ბელურა.

ის გავიწყდება, ძმობილო,
რითაც უფრო ვართ მეტები.
მე, მაგალითად, კაცივით
დაბლა არ დავეხეტები
და შემოსილი არა მაქვს
ქალმით თუ წულით ფეხები.
ჩვენ ვფრინავთ მაღლა, ჰაერში,
ამ ჩვენის ლაღის ფრთებითა,
ერთ დღეს მოვივლით მანძილსა,
კაცი ვერც ერთს წელს ფეხითა.
ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ იგი
ჩვენა გვჯობია ხერხითა.

მეორე ბელურა.

ხერხი აქვს, მაგრამ ნამუსით
ბევრით მდარეა ჩვენზედა;
ვინ იცის რას არა სჩადის,
სულ სისხლი სცხია ხელზედა.
მიწა რომ იმის თხოვნითა
მობეზრდა, გული გაუსქდა,
ეს არ იკმარა, თხოვნითა
ახლა ღმერთს ცაში აუხდა.
რამდენს ემდურის უფალსა
თუ საქმე რამე წაუხდა.

პირველი ბელურა.

მაგას რად ამბობთ, კაცებო,
ცოტა ვიუბნოთ ჭკვაზედა.
კაცის ამაგი ჩვენც გვათბობს
ავი არ გვეთქმის მაზედა:
ეს საბძელ-კალო მისია,
იქ საკენკს რო ვკენკთ გზაზედა.

მეორე ბელურა.

ქაჯან, ეგ თხოვნა არ გახლავთ,
არც საჩუქარი კაცისა:
ის მისთვის უმნიშვნელოა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაყოლები ქარისა,
თუ შესძლებს, არ გააყოლებს,
კაცი ერთ მარცვალს ბზეშია,
იმ აზრით ეგებ მარცვალი
ჩვენ ჩაგვივარდეს ხელშია.
ყოჩაღ რომ ჩვენის შრომითა
ფრთა გაყრილები ფრთებშია
ბანდ-ბარდში მარცვალს ვპოულობთ
და ჩავიგორებთ ყელშია.
ზნეობრივ ადამიანსა
ჩვენა ვჯობივართ ბევრშია.

მესამე ბელურა.

მაშ როცა დაჰფენს საფქვავსა
და უდარაჯობს კეკია:
მე დამიძახებს, ბელურავ,
მოდი, მარცვლები კენკია!
დიახ, მაშ არა? პირიქით
კეტს მომაღერებს დიდრონსა,
ცას დედა-მიწას აქუხებს,
იყვირ-იკივლებს იმდენსა:
„აქშა, ჩიტო, საწიწაკევ,
„ჩამოფრენას აპირებსა,
„აქშა, ჩიტო, ბელურაო,
„ქორიმც ჩაგინადირებსა!
„რას ყღურტულებთ? რას ყივყივებთ?
„გინდათ ძილი მომგვაროთა,
„რომ დაფენილს პურის მარცვლებს
„ეცნეთ, ხელი მოჰყაროთა?!
„აქშა, აქშა, ჭივჭავები,
„ქორიმც ჩაგინადირებსა.
„არ შევარჩენ, თავს გაუჭეჭყ
„ვინც ქურდობას აპირებსა!“
აი კაცის სამართალი,
აი მისი შენანება.
საფქვის პატრონს ჩიტებისა
მთლად გაყლეტა ენატრება;
თავის სურვილს არცა ჰმალავს,
ან ვისაგან ეხათრება!?

მეოთხე ბელურა.

ერთურთსაც არა ჰხათრობენ
ადამიანნი ხშირადა,
ორის თავთავის გულისთვის
დგებიან თავდა ყირადა.
ერთმანერთს თავ-პირს აღადრვენ,
არ ჰზოგვენ მოსაკლავადა.
ერთმა სხვამ რამე წაართვას,
დაისაკუთროს თავადა.

მესამე ბელურა.

ჩემი ნათქვამი მართლდება:
სჩანს მეთანხმებით ყველანი,
ერთს გეტყვით კიდევ დღეს ჩვენა
არ ვიქნებოდით მთელანი,
რომ იგივ ადამიანი
არა ჰხედავდეს რგებასა
ჩვენგანა,—შეუბრალებლად
ის დაგვიწყებდა ჟლეტასა.
მაგრამ მან იცის, რომ ჩვენა
მავნეს ვსჭამთ ჭია-ღუასა,
ბოსტნეულსა და ყანასა,
რანიც აცლიან ყუათსა.
კაცი ჩვენს გაჟლეტაზედა
იმიტომ ამბობს უარსა.
ამისთვის ვაქოთ ჩვენ იგი
და უდღეგრძელოთ ზნეობა?!
არაფერი მწამს კაცისა
არც ზნე, არც მისი მხნეობა!

ერთი რიგი ხმები.

არა, არც ეგრე იქნება,
კაცს დავუკარგოთ ამაგი,
მას ბუნებაში ყველაზე
დიდი უჭირავს ალაგი.

მეორე რიგი ხმები.

სტყუით, ავია, ბოროტი,
მოსისხლე, მხეცზე მხეცია.
რა შთანთქას, რა მოიხვეჭოს
თვალები დაუცეცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს არ შევიგნოთ ყველათა,
ვიყოთ იქამდი ბეცია?
ვინც რა ვართ უნდა ვიცოდეთ,
ღვთის დადებული წესია!
შეიქმნა განკერძოება,
მალე კრივსაცა ვნახავდით,
რომ ძერას არ გადმოევლო
თავზე ფლაშუნით, ლახლახით.
ძერიას დანახვაზედა
ჩიტები შეძვრენ ეკლებში,
სადაც რომ ისხდნენ ღობეზე,
იქვე ჩაწყობილს მერქნებში.
ხმას არ იღებდნენ, გაყუჩდნენ
თუმცა სჩხვლეტავდა გვერდებში.

II

განვლო კვირამა, თუ ორმა,
იგივ ბებერი კეკელა
ფაციფუცობდა ეზოში,
არ დადიოდა ნელ-ნელა.
თან უწყრებოდა თავის რძალს:
გამოსულიყო, ეშველა.
საქმე ბევრია ოჯახში,—
ასაღებ-დასაღებია,
ძროხებსაც დახედვა უნდა,
საქათმეც გასაღებია.
თოვლი მოსულა წუხელის,
ეს ბერიკების ბრალია,
აიკლეს მთელი ოჯახი,
მით გადიხადეს ვალია.
რასაც ისინი სჩადიან
ან კი რა დასამალია.
კეკელა ბერიკეებსა
სწყევლის, ჯავრობდა ძალიან:
საით სად მოთრეულები
მასპინძელს აღარ აცლიან,
იფიქრებ თავის შინ იყვნენ
სხვის სახლში ისე არიან...
ზოგს ეკრა თავზე ირმის რქა,
ზოგს თხის, თხისავე წვერია.
ზოგსა აქვს სახე ტურისა,
ხელში ხის ხმალი სჭერია.
სხვას ხუცესივით ჩაუცვამს,
ხელთ კვერთხი დაუბჯენია.
უკრავენ სტვირსა, ტლინკავენ,
გადარეული ერია.
ჭკვიანნი მხოლოდ ამითა:
უნდა მიართო ძღვენია,
ერბო, ან კვერცხი, ან ფქვილი
ღვინით ხელადა სველია.
ბერიკებს ჰბაქავს ბებერი:
„კარგად მოითბეს ხელია,
„კეციდან სამიწეებმა
„ქადა გამტაცეს ცხელია.
„ეგების ჩემის ცოდვითა
„ამოეხრაკოთ ყელია!
„რას იზამ ან კი, თან ამბობს:
„წესი გვაქვს, ყველიერია!“

III

დღეს სულ სხვა მოვალეობა
კეკელას აწევს კისრადა,
ჩიტთა ფაფობა დღე იყო,
იმიტომ არი ფხიზლადა:
წესს არ უმტყუნოს და ლოცვა
ღვთისა არ ექცეს რისხვადა.
ფაფა ადუღა, რადგანაც
რჯულია მამა-პაპური.
კეკელას თავის ოჯახზე
ფხიზლად უჭირავს თვალ-ყური,
ცდილობს არ დაუზიანოს
ჩიტებმა ფეტვი და პური,
ამიტომ საცა კი ნახა
ნაფოტი, სიპი, აგური,
ან კრამიტისა ნატეხი
ყველა გაგლისა ფაფითა.
რაც დარჩა, ისიც პირდაპირ
კალოზე დადგა ტაფითა.
ბანის პირები მოკირწყლა
ჩიტთ სამასპინძლო ტაბლითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე რა კარგ დროს, ერთს გოჯსა
მშრალს ვერ ჰნახავდით მიწასა,
რომ ჩიტს ჩაეკრა ნისკარტი,
ან დაებიჯა ციცასა.
თოვლიც ხომ ისე დიდია!
ძმას უჭირს მისვლა ძმისასა,
ჭივჭავნი დაღონებულნი
ძალს ეეედრიან ღვთისასა,
რომ იგი დაადნობინებს
თოვლს ბრწინავ სხივებს მზისასა.
შეიმკო თოვლი ფაფითა
ვით პატარძალი ხალებით,
ჩიტთაც ღმერთს მადლი შესწირეს
ცად აპყრობილის ბრჯყალებით.
სუნი ტრიალებს ფაფისა
თავის ფაფურის ძალებით;
რა წამს ბებერი მოჰშორდა
ფაფიანს ბანის პირებსა,
დრო ნავარდის და ქეიფის
მაშინ დაუდგათ ჭივჭებსა.
როდი უშვებდენ სუფრაზე
ტყიდან მოფრენილს ჩიტებსა,
წიპრიას, საწყალ ნიბლიას,
კისერში სცემდენ ყისტებსა,
აგდებდნენ: „სოფლად რა გინდათ,
წადით, ჩაჰბარდით მინდვრებსა?!
და ვიდრე გამოძღებოდენ
ერთურთსაც სჩხვლეკენ ხიშტებსა.
გამოძღნენ ისე კარგადა,
ვერ ერევიან კუჭებსა
და დაემსგავსნენ სისქითა
წიფლის და რცხილის ყუნჭებსა.
დამშეულებმა ძალიან
ფაფა ძალიან ულურჭესა,
სტუმრები ჭამით ხარობენ,
ინავარდებენ გულებსა,
და მასპინძელი იმით, რომ
იმადლიერებს თულებსა,
ჩიტები არას ავნებენ,
იმის ყანას და პურებსა

IV

ნაქეიფარი ჭივჭვები
იქავე დასხდენ ღობეზე
და როგორც ნალვინევებსა
სიწითლე დაჰკრავთ ლოყებზე.
ნაჭამი ფაფის წკინტოლი
ყველას აკრია ჩოხებზე.
ჩიტთ პარტიობაც განელდა
როგორც გამქრალი სანთელი:
ერთმანერთისთვის ჭივჭავთა
არაფერი აქვთ სათქმელი;
სალოცავად აქვს ყველასა
ადამიანის სახელი.
გაჭკვირდებოდა ძალიან
კაცი იმათი მნახველი.
მტრის რაზმი კაცისაგანა
უომრად იქმნა ძლეული,
რაკი-ღა იმის ამაგით
დაამდა ჩიტთა სხეული
და შემოსძახეს ერთის ხმით
ქართლ-კახეთური, ხეური:
„ვინც ჩვენში ვინმე ცუდი თქვას
„კაცზე, ის იყოს წყეული,
„ის იყოს საუკუნოდა
„ჭივჭვებში გამორჩეული!“
ამას მღეროდა დიდის ხმით
მთელი ჭივჭვების კრებული.
ბევრს ამ გვარს ამბავს ინახავს
ჩვენის ცხოვრების რვეული.

ვაჟა-ფშაველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვცივა... გვცივა...

შშრრ... სსს... ერთხმოვანად, მონოტონურად შრიალებენ ახლად მომწყდარი შემოდგომის ფოთლები და მორბიან ჩემსკენ...

გულ-ალმა მწოლარს მჭკნარი ფოთლები პაწაწა ყვითელი წიწილებივით მეხვევიან... რაღაცას მეჟივჟივებიან...

მთელი ბაღი გაძრცვნილია, მთელს ბაღს დაჰკრთის ოქროს ფერი...

მთელს ბაღში სუფევს შემოდგომის თრთოლა. შშრ... სსს... მწარედ შრიალებენ ფოთლები.

რა იყო ჩემო კარგნო, რა გაწუხებთ? ხომ მოისმინეთ ზღაპარი გარიჟრაჟისა, ხომ დასტკბით გაზაფხულის ღამის გრძნეულებითა.

ეხლა დაიძინეთ... შემოდგომისას მხოლოდ სიზმარია ტკბილი... მხოლოდ სიზმარია აფორიაქებულ სულის დამაყუჩებელი.

— ვერ, ვერ ვიძინებთ მოყვასო.

გესმის ფეხის ხმა? დიახ, ფეხის ხმა ისმის... ეს სიკვდილია... სიკვდილი მოემართება ჩვენსკენ... გვიშველე, დაგვიფარე, მწედ გვექმენ მოკეთევ...

ცახცახებენ, თრთიან ფოთლები და მაგრა მეკვრიან გულს. მინდა დაუყვავო პაწაწა ფოთლებს, მინდა ვანუგეშო, რომ რამდენიმე საათის შემდეგ აღმოსავლეთი ატლასით შეიმოსება და კვლავ დაიწყება საგაზაფხულო სიმფონია... მინდა ვანუგეშო, მაგრამ ვსდუმ... ვსდუმ იმიტომ, რომ მევე არა მწამს იგი...

ზზზრრ... ზუზუნებს ქარი და მოაწიალებს ჩემსკენ ახალ-ახალ ფოთლებს... აი უკვე დავიფარე ფოთოლთა სეტყვით... დავიმარხე მჭკნარი ფოთლებით...

მორბიან... მოჰქრიან ახალ-ახალი ფოთლები და მთრთოლვარე ხმით მეეედრებიან:

— გვცივა, მოყვასო, გვცივა... გვიშველე რამ, დაგვიფარე...

დ. თურდოსპირელი.

ღუდუნებს წყალი

ღუდუნებს წყალი. მწყობრად, ნელა ჩქაფ-ჩქაფებს. მიდის დაუსრულებლად — საითკენ?—თავის თავს ანგარიშს არ აძლევს... გზაში—ან თავისებრ წყნარ ნაკადულს შეუერთდება, ან მღელვარე, აქაფებულ შტოს—მქუხარე მდინარეს.

ჩვენი ცხოვრებაც მისივე მსგავსია, ზღვაა ღრმა-უძირო... სუსტნი არსებანი ვებრძვით ცხოვრების ტალღებს; ზოგჯერ თითქო მშვიდს. ლმობიერს-ნელის ცურვით მივჰყვებით გულდამშვიდებით; ზოგჯერ კი, მრისხანე ზვირთი გვიტანს თავის კალაპოტში და გვარყევს.—ვმრისხანებთ, ვღელავთ ჩვენც მის ტალღებში—როგორც მშვიდი ნაკადი წყალისა—თვისდა უნებურად აქაფებულ მდინარეში ჩართული.

ეროვნული

წყალმა არ იცის სადა აქვს მას დასაბამი, ან დასასრული; ბუნების ძალით, ის მხოლოდ მოძრაობს... აგრეთვე ჩვენც, მივექანებით ხან უფსკრულისაკენ, ხან ბედნიერებისაკენ მიმავალ კვალზე - იმ სტიქიურის ძალით, რაც მთელს ქვეყნიერებას ამოძრავებს და ატრიალებს თვისივე ნებაყოფლობით.

ყოველ კერძო ადამიანის ცხოვრება წარმოადგენს იმავე წყალს მჩქეფარეს— თვისდა უნებლიედ ზოგჯერ უფსკრულისაკენ მიმავალს.

ნაკადი ხან მშვიდია, წყნარი, - ხან კი, გიჟმაჟი... და ეს იმაზეა დამოკიდებული— რა პირობებში ვარდება, სად, რა ადგილას უხდება გზის გაკვლევა. თუ მას ტალღა მძვინვარე უხვდება, თვითაც ჩქროლვას იწყებს მასთან შეერთვით; და თუ მას წყნარი მდინარე იხვევს გულში, ორნივ ერთად შექსოვილნი მშვიდ-საამოდ დუდუნით ამკობენ არე-მარეს... და არა სცალიანთ იმათ აურ-ზაურისა და სიანჩხლისათვის...

აჰ, რა სანატრელია ასეთი მშვიდი— გულდანდობილი ცხოვრება... მაგრამ შეუძლებელია მუდამ სიმშვიდეს განიცდიდე. ისეა მოწყობილი ცხოვრება, რომ შეჯახება, ბრძოლა არც ერთ არსებას არ ასცდება და, უნდა მდინარის მსგავსად, რყევაში და მღელვარებაში ატარო ადამიანმა თავის ცხოვრება—სანამ იარსებებ!.

აი, ამას დუდუნებს თითქო მდინარე და მებუტბუტება კენჭებზე ხტუნვით მიმჩქეფარე და, უფრო და უფრო ღრმა ფიქრებში მაყურჭუმელავებს ნაპირზე თავჩაქინდვრით მყოფს—მწვანე მინდორ-მდელოთა შორის.

გულ-გატეხილი.

შინაური მიმოხილვა

ვოსტორგოვის პროგრამა

ქართველი საზოგადოება საეკლესიო—სამრევლო სკოლების დაარსებას ჩვენში თანაგრძნობით ეკიდებოდა. ეს იყო 1884—1885 წლებში. თანაგრძნობის მიზეზი ის გარემოება იყო, რომ ამ სკოლებში საგნების სწავლება მზრუნველის იანოვსკის 1881 წლის გეგმის თანახმად სწარმოებდა. სამრევლო სკოლებში ფართო ადგილი ჰქონდა დათმობილი სამშობლო ენას და საზოგადოდ ადგილობრივს ელემენტს საკმაო პატივი ეძლეოდა... ის კი, რომ სწავლების შეთოდების ტოდნის და თვით-განვითარების მხრით სამრევლო სკოლის მასწავლებლები სამინისტრო სკოლის მასწავლებლებზე დაბლა იდგნენ. სამრევლო სკოლათა სვე-ბედს საეპარქიო სასკოლო საბჭოები,—განაგებდნენ, რომელთ წევრების უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ... გურია-სამეგრელოს, სოხუმის და იმერეთის ეპისკოპოსები სკოლების პირდაპირი უფროსნი იყვნენ... ისინი საქართველოს ექსარხოსს ამ საქმეში არას ეკითხებოდნენ... სამრევლო სკოლათა რიცხვი გამრავლდა შესამჩნევად, ასე რომ, ცოტა არ იყოს, ამ გარემოებამ დრმად დაუფიქრა ოდქის მაშინდელი მზრუნველი ბ-ნი იანოვსკი!.. პირველ ხანად სამრევლო სკოლებს მეთვალყურეებად ქართველები დაუნიშნეს (ქართლ-კახეთში—ბ-ნი ტატიშვილი, იმერეთში—მღვდელი მელიტონ კე-

ლენჯერიძე და გურია-სამეგრელოში ბ-ნი თ. ყორდანია). მაზრის მეთავადეურეებიც სულ ქართველები იყვნენ. .

ერთი სიტყვით, საქმე ისე იყო მოწყობილი, რომ ქართველი ერი იმ აზრისა იყო, რომ საეკლესიო—სამრევლო სკოლებში ყოველსაევე ქართულს საპატიო ადგილი ეჭირა. თვით რუსული ენის სწავლებაც ბ. გოგებაშვილის რუსული სახელმძღვანელოებით სწარმოებდა. ასე მიმდინარეობდა საქმე 1900 წლამდის, როდესაც ექსარხოსის ფლავიანეს და სემინარიის რექტორის გერმოგენის დროს საქართველოს მოევლინა ცნობილი შავ-აბაზური გეგმით შეიარაღებული დეკანოზი ვოსტორგოვი... ჩვენ არ გვაინტერესებს მისი ბირადი ზნეობა... ჩვენი საკანია მკითხველებს ის განუმარტოთ, თუ როგორ და რა ბირობებში გაჩნდა ვოსტორგოვის ბრიგადა, რომელიც 1905 წლის არეულობამ თითქოს მოსპო, და 1913 წელში კი ხელ-ახლა გამონახულ იქმნა ბაშკევიჩ-ავერკიევის მიერ . ჩვენ სამრევლო სკოლების გასაბედნიერებლად...

ვოსტორგოვი 1900 წლის დასაწყისებით თბილისის ბირველ საქალაქო გიმნაზიის სჯულის მოძღვრად დანიშნა... მას აქვს ტკბილი ენა, რომელიც, რუსთველის თქმისა არ იყოს, „გველსა ხვრელით“ ამოიყვანს... ამას გარდა ის ნიჭიერი და განვითარებული ადამიანია... სულით და გულით ჭეშმარიტი რუსია სწორედ იმ ტანებით, რა ტანებითაც დღეს ამ ტერმინს ხმარობენ... დაუახლოვდა ქართველ-კახეთის საეპარქიო საბჭოს თავმჯდომარეს არქიმანდრიტს გერმოგენს, რომელმაც სტნა მასში დიდი ძალა ქართველთა გასარუსებლად... გერმოგენმა მოიწვია საბჭოს შტატ-გარეშე წევრად და დანიშნა თბილისის კუკიის სამისიონერო სკოლების გამგედ... აქედან იწყება მისი დაახლოვება საბჭოსა და ექსარხოსთან... საქმე ისე მოხდა, რომ 1900 წლის დეკემბერში ბ-ნი ტატიშვილი დათხოვნილ იქმნა მეთავადეურის თანამდებობიდან, და მის მაგივრად ვოსტორგოვი დანიშნა... აქედან იწყება მისი საველაგოგიო მოქმედება, რომლის საგანი იყო—1881 წლის გეგმისთვის ფრთეების შეკვეცა... მას სურდა ხელი მიეწვდინა მთელს საქართველოზე, დიხის მთა გადაეკეთხა და თავის გავლენა გურია—სამეგრელო იმერეთ-ოფხაზეთზე დაეშარებინა... არ მოსწონდა, რომ გურია-სამეგრელოს და იმერეთის მეთავადეურენი დამოუკიდებელნი იყვნენ... არ ეპიტნავებოდა, რომ საეკლესიო-სამრევლო სკოლების საქმეს გურია-სამეგრელოს და იმერეთის მდვდელ-მთავრები დამოუკიდებლად განაგებდნენ... ბევრი კიდევ სხვა რამ არ მოსწონდა... თქმა და საქმის გაკეთება ერთი იყო მისთვის. შეეცადა და გურია-სამეგრელოს, სოხუმის და იმერეთის ეპისკოპოსებს მრავალი უფლება ჩამოართვა... ექსარხოსის წარდგენის თანახმად სინოდმა 1903 წ. შეკვეცა ხსენებულ მდვდელ-მთავრების უფლებანი... მათ სასულიერო სასწავლებელთა, საეპარქიო საქალაქო სასწავლებელთა და საეპარქიო სამოსწავლო საბჭოთა ყურნალურის დადგენებათა დამტკიცების უფლება ჩამოერთვათ... ისინი დარჩნენ ეპისკოპოსებად, ხოლო უფლება შემცირებულად. მათი უფლებანი ექსარხოსზე გადავიდა...

ქუთაისში იყო სასულიერო სემინარია და სასულიერო სასწავლებელი... ადგილობრივს მდვდელ-მთავარს აშ სასწავლებელთა სვე-ბედის შესახებ არას ეკითხებოდნენ... რექტორებს, ინსპექტორებს და სხვა თანამდებობის პირთა მის დაუკითხავად ექსარხოსი ნიშნავდა... ამას გარდა—ვოსტორგოვმა შემოიღო ცენტრალური დაწესებულება მთელი საექსარხოსოს სამრევლო სკოლების საქმეთა გამგეობისათვის. ამ დაწესებულებას ეწოდება: „საექსარხოსოს საეკლესიო სამრევლო სკოლების საბჭო“, რომლის თავმჯდომარედ ექსარხოსი დაინიშნა. წევრებში მხოლოდ ერ-

თი ან ორი ქართველი ერია, რომელნიც ვერას გააწყობდნენ, რაც უნდა მოენდომებინათ... ვოსტორგოვმა დააწესებინა სოფლურ მეთვალყურის თანამდებობა, რომელიც მასვე უწყალობეს... შეეცადა და ხელთ იგდო „საქართველოს საეკლესიოს სასულიერო მოამბის რედაქტორობა... დიდათ არ მოსწონდა, რომ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას ჰყავდა საკუთარი ინსპექტორი იმ ჟამად ბ-ნი (აწ განსვენებული) ეგტიხი მამინაიშვილი, რომელიც ვოსტორგოვს არას ეკითხებოდა და მისდამი რწმუნებულს სკოლებში 1881 წლის გეგმას ახორციელებდა. შემდეგში მამინაიშვილი დათხოვნინა თანამდებობიდან, და საზოგადოების სკოლებიც მას დაუქვემდებარეს. ამ ნაირად ვოსტორგოვმა, ამ საქართველოს სამტრფოდ მოფლენიმა დემონმა, ეოფლიფვე ხელთ იგდო, რომ თვისი უწმინდური სურვილი ქართველების დასაჩაგრავად განეხორციელებინა... ამის შემდეგ თამამად გაიძახოდა: „ქართველებს გავარუსებ... სამეგრელოში ქართულს ენას მოვსპობ... ქართველ მფლველ მთავრებს რუსეთში გავაძევებ...“ მართალია 1901 წელს გააძევეს ეოფლად სამფლველო კირიონი საქართველოდან და მის მაგივრად დიმიტრი (აბაშიძე) ეპისკოპოსი დანიშნეს... „საეკლესიო მოამბე“ ვოსტორგოვს ხელთ ჰქონდა... და რაც სურდა, მასში იმას სწერდა. ქართველთა დანძღვა-გინებას არ ერიდებოდა და იმავე ორგანოს, რომელშიაც ქართველებს დანძღავდა, ქართულ ეკლესიებს ძალათი აწერინებდა (5 მან. წელიწადში)...

ჯერ კიდევ, სანამ ვოსტორგოვს დანიშნავდნენ მეთვალყურედ, ქართლ-კახეთის საეკლესიო სამრევლო სკოლათა საბჭომ, რომელსაც გამოვიდა ბრძანება ამ სკოლებში ოთხი წლის კურსის შემოღების შესახებ, შეადგინა კომისია, რომელსაც უნდა გაენაწილებინა შესასწავლი მასალა საქართველოს ერთკლასიანი სკოლებისათვის ისე, რომ ეს მასალა მოწავეებს ოთხს წელიწადს შეესწავლათ... კომისიის თავმჯდომარედ იყო ბ-ნი ნ. გ. ტატიშვილი, ხოლო წევრებად: დეკანოზი გორგოლაძე, მღვდელი კ. ცინცაძე და მასწავლებელი ილ. ფერაძე. ამ კომისიამ შეიმუშავა პროგრამა თანახმად 1881 წლის გეგმისა... სადვთო სჯულის სწავლება ამ პროგრამით მხოლოდ სამშობლო ენაზე უნდა წარმოებულიყო... საეკლესიო სლავიანური ენა, როგორც ზედ-მეტი ქართველთათვის, პროგრამაში ნახსენები არ იყო... ეს პროგრამა არ მოეწონა ვოსტორგოვს... წაიღო პეტერბურგში და თავისი მახინჯი პროგრამა დაამტკიცებინა სინოდს და ვალდებულ ყოფ მთელი საქართველოს სამრევლო სკოლები მიეღოთ ეს პროგრამა. რამდენად მახინჯია ეს პროგრამა ქართველთათვის და რამდენად დაბალ სდგას იგი 1881 წლის გეგმაზე, რომელიც უარყოფილი არაა სამოსწავლო ოდქის მიერ სამინისტრო სკოლებისთვის, ეს სჩანს შემდეგიდან. საღვთო სჯული: პირველსავე განყოფილებაში 12 დღესასწაულთა შესახებ მოკლე მოთხრობათა შესწავლა რუსულად სასურველად ცნობილია... აგრეთვე სასურველად ცნობილია მოკლე ლოცვების შესწავლა სლავიანურად... ცხადია, რომ ჩვენი მამების უმრავლესობა, რომელიც გამსჭვალულია კამილავკა, მკერდისჯვარის და დეკანოზობის მიმართ დიადი ტრფიალებით, სიტყვას „სასურველია“ ისე გაიგებს, რომ მიბრძანებენო სადვთო სჯულის რუსულად სწავლებას... ამის გამო სჯულის მოძღვრები არ მიხედვენ არც პედაგოგიურს მოთხოვნილებას, არც ერის ინტერესებს და ბავშვებს აჭიკჭიკებენ სლავიანურს ენაზე... მეორე წლიდან სადვთო სჯულში გაბატონებულია სავსებით რუსული ენა... და ასეა მეოთხე წლამდის... მეოთხე წელს კი— მთელი სადვთო სჯული სავსებით რუსულს ენაზე ისწავლება. საეკლესიო გალობა... ამას სამინისტრო სკოლებში არ ასწავლიან.

სამრევლო სკოლებში კი—საეკლესიო გალობა საკალდებულოა... სლავიანური გალობის სწავლება მეორე წლიდანვე ბატონობს ვოსტორგოვის პროგრამით... თუ რაოდენად გამსჭვალულია ვოსტორგოვი გარეგნების ჰოლიტიკით შემდეგიდან სჩანს: „სადაც არაა ადგილობრივი საეკლესიო გალობა, გალობის უველა გაკვეთილები სლავიანური გალობის შესწავლას უნდა მოხმარდეს... აკრძალულია ერთი ერის შვილებისთვის მეორე ერის გალობის სწავლება. ნება დართულია საეკლესიო გალობა მშობლიურს ენაზე და სლავიანურზე“ ამ სიტყვების ძალით, ოსებს არ შეუძლიათ ისწავლონ ქართული გალობა,—არც ქართველებს შეუძლიათ ასწავლონ გალობა ბერძნული. ამაზე შორს ვეღარსად წავა შოვინიზმობა! საეკლესიო სლავიანური ენა... ეს ენა, ვოსტორგოვის პროგრამით, საკალდებულოა ქალაქებში არსებული სკოლებისთვის და აგრეთვე იმ სკოლებისთვისაც, რომელნიც არსებობენ ისეთ ადგილებში, სადაც სწარმოებს სლავიანური დვთის მსახურება... ხოლო იმ ადგილებში, სადაც ადგილობრივ ენაზეა წირვა-ლოცვა, სლავიანურის შესწავლა საკალდებულო არაა, ის კი, რომ—სასურველია (ხაზი ჩვენია ე. ელ.), რადგან ადგილობრივი მკვიდრნი საშეღრო ბეგარის მოხდის ჯამს მსახურებენ ისეთ ადგილებში, სადაც დვთის მსახურება სლავიანურს ენაზე სწარმოებს... ადგილობრივი ენები. პირველს წელს—6 გაკვეთილი, მეორე წელს 5 გაკვეთილი,—აქედან 2—ხუცური (საეკლესიო) ენისთვის; მესამე წელს—4 გაკვეთილი, ორი აქედან საეკლესიო ენისთვის, მეოთხე წელს—3 გაკვეთილი მხოლოდ საეკლესიო ენისთვის... ცხადია, რომ სამშობლო ენას დათმობილი აქვს მცირე რიცხვი გაკვეთილებისა... რის მეოხებით მისი კარგად შესწავლა შეუძლებელია... ვოსტორგოვის განმარტებით, უმთავრესი ეურადღება უნდა მიექცეს საეკლესიო ადგილობრივი ენის შესწავლას... არა საეკლესიო ენის (საერო ენის) შესწავლის ჯამს მეტი ეურადღება უნდა მიექცეს საზეიერო-ზნეობრივ შინაარსის ნაწარმოებთ... სამშობლო ენის სწავლებას, ვოსტორგოვის განმარტებით, საგნად არ აქვს ბავშვთა განვითარება და მაათთვის ცოდნის შეძენა: ეოველივე ეს სწარმოებს რუსულს ენაზე... მას სიმდიდრით ვერ შეედრებიან ადგილობრივი ენები (მაგალითად, უდინების, აისორების, ოსების და სხვა...)... ესა თუ ის ადგილობრივი ენა ისწავლება იქ, სადაც ხალხი ნამდვილად ამ ენაზე მეტყველებს. ამის გამო აკრძალულია ერთი ერის შვილებისთვის მეორე ერის ენის სწავლება, მაგალითად, ბერძენთათვის—თათრული ენის სწავლება, ოსთათვის—სწავლება ქართული ენისა... და სხვა... უკეთუ ბერძნებმა დაჰკარგეს თავისი ენა და თათრულად მეტყველებენ, ამ შემთხვევაში ბერძნული ენის სწავლება ნება დართული არაა. აგრეთვე თუ მოხდება, რომ ქართველებმა რომელიმე ადგილს დაჰკარგეს სამშობლო ენა და ან ხმარობენ ისეთს ენას, რომელსაც თუმც საზოგადო ქართული ფესვი აქვს, მაგრამ დაშორებულია წმინდა ქართულს (სალიტერატურო) ენას იმდენად, რომ მცხოვრებლებს ეს (ქართული) ენა არ ესმით, ამ შემთხვევაშიც ქართული ენის სწავლება ნება დართული არაა... მხოლოდ დვთის მსახურების ტექსტები ისწავლება იმ ენაზე, რომელზეც დვთის მსახურება სწარმოებს ადგილში...“ ეჭვს გარეშეა, რომ ბოლო სტრიქონებში ვოსტორგოვი გულისხმობდა მეგრელებს, რომელთაც ქართული ენა მშვენივრად იცოდნენ, სანამ უცხოთა ბატონობა დამუარდებოდა...

ვოსტორგოვმა შეადგინა სამი ჯურის სკოლის პროგრამა: ა) წმინდა ქართული (არ სხვა ერისა) სკოლისა; ბ) შერეული სკოლისა (ქართველნი, რუსნი, ბერძნები) და გ) ისეთის

ეროვნული

სკოლისაა, რომელშიც სწავლობენ თვისი დვთის მსახურების ენის არ მქონე ერთა შვილები (აისორები, თათრები და სხვა)... ვინაიდგან ისეთს დრო ვცხოვრობთ, რომ არ შეიძლება სკოლაში ერთი ან ორი უცხო ტომის მოწაფე არ მოიხოვებოდეს (ზოგიერთი სკოლების გარდა) ჩვენებურს სკოლებში, ცხადია, რომ ეს სკოლები ორი უკანასკნელის ჯურის სკოლები იქნება. ასეთს სკოლებში კი სამშობლო ენა ისწავლება მცირე პროგრამით მეორე ჯურისაში, ხოლო სრულიად ისწავლება მესამე ჯურისაში. თავისთავად ცხადია, რომ ვოსტორგოვის პროგრამისთანა მრუდე მიზნიანი, ანტიპედაგოგიური და ბავშვის ტვინის ძალთა დამახინჯებელი პროგრამა ჯერ ქართველს ერს არ მოვდენია...

1902 წელს, როდესაც ეს პროგრამა დამტკიცებულ იქმნა, ქართველმა პრესამ ყურადღება მიაქცია და დაჭვმო იგი. სანამ ბ. ი. გოგებაშვილის წერილი: დეკანოზ ვოსტორგოვის პროექტი (იხ. „რჩეული ნაწერები“ გვ. 372), დაიბეჭდებოდა გრ. ყიფშიძის „ივერიაში“-ში,—ჩვენ ვუძღვენით იმავე გაზეთში მისვე პროგრამას მეთაური წერილი, რომელშიც სხვათა შორის ვამბობდით: „სამეგრელოს სკოლებში ახალი პროგრამით მოსაზობილი იქნება ქართული სალიტერატურო ენის სწავლება, იმ ენისა, რომელზედაც სრულდება აქ დვთისმსახურება, ქადაგება-მოძღვრება... სამეგრელოში განვითარებული იყო ძველად ქართული მწერლობა და ქართული საეკლესიო მოძღვრება. ვის უქადაგებდნენ წმინდა ქართული ენით უკვდავი ჯუანდიდები? ვის ესმოდა მათი ტკბილი ქართული ენა, თუ არ მეგრელებს?! (30 ივლისი 1902 წ.)

თვით ცხოვრებამ უარჰყო ვოსტორგოვის პროგრამა. იმ დროს, როდესაც გურია-სამეგრელოს ეპარქიას განაგებდა ეპისკოპოსი დიმიტრი (აბაშიძე) გ. სამეგრელოს სამდვდელოებაში მოიწვიდა აზრი ქართველის ენის დაცვის შესახებ სკოლებსა და ეკლესიებში... ეს ფრიად—სიმპატიური აზრი კიდეც განხორციელდა... 1904 წელს გაზეთს „ივერიაში“-ში (№ 256) ჩვენ მოვათავსეთ მეთაური წერილი, რომელიც შემოკლებით აქვე მოგვაქვს... „გურია-სამეგრელოს სამდვდელოების რწმენებულთა კრებამ 1904 წელში დადგინა: „მოძღვარი მოვალეა განუმარტებდეს მრევლს დვთის მსახურებათა მნიშვნელობას და აზრსა და აგრეთვე ხშირად ესაუბრებოდეს სარწმუნოებისა და ზნეობის შესახებ, მოკლე საუბრის და მოძღვრების სახით მისთვის მშობლიურს ქართულს ენაზე. იმ მდვდლებმა, რომელთაც თვითონ არ შეუძლიათ შეადგინონ მოძღვრებანი ხსენებულს ენაზე, ეოფლად სამდვდელო კაბრიელის მოძღვრებანი მაინც უნდა წარმოსთქვან ხალხის წინაშე. ამას გარდა ეოფლიგვე მოძღვარი ვალდებულია ხშირად მართავდეს ეკლესიის კარეშე საუბრებს და სახალხო კითხვებს. მოძღვარმა უნდა ასწავლოს მრევლს პირველ დაწყებითი დოცვები ქართულს ენაზე. სამდვდელოებამ საჭიროდ სცნო შემოდებული იქმნას ეოველს სამრევლო ეკლესიაში საზოგადოდ მიღებული სადა (მარტივი) ქართული საეკლესიო კალობა. ამისთვის ეველა საეკლესიო-სამრევლო სკოლაში უნდა ასწავლიდნენ ქართულს გალობას. სასურველია, რომ მედავითნეებმა ზედ-მიწევნით იცოდნენ საეკლესიო კალობა. ქართული საეკლესიო კალობა არის ხალხისთვის კალობა მშობლიური და ამიტომ აქვს მასზე დიდი გავლენა. მასწავლებლებმაც უნდა იცოდნენ საეკლესიო კალობა. ამავე კალობის შესასწავლად უნდა იმართებოდეს საზაფხულო კურსები... თვით ეოფლადსამდვდელო დიმიტრი და კრება საჭიროდ სცნობენ გურია-სამეგრელოში წირვა-ლოცვის, საეკლესიო კალობის, სახალხო საუბრის და კითხვის გაძლიერებას მეგრელთა და გურულთათვის მშობლიურს ქართულს ენაზე... (იხ.

Дух. Вѣстн. груз. экз. 1904 წლის №№ მე-18 და 21). არა თუ მარტო სამეგრელოში, არამედ საქართველოს სხვა ადგილებში (ქართლსა, კახეთსა, იმერეთს და სხვაგან) არ ასწავლიდნენ ვოსტორგოვის პროგრამით, რომელიც განუხორციელებელი რჩებოდა... რას მოასწავებს უოველივე ეს? ერის ხმას, ერის დადადასს საშშობლო ქართველების დასაცავად... მეტად საგულისხმო და აღსანიშნი გურია-სამეგრელოს საძველელოების რწმენებულთა კრების დადგენილებანი, რომელნიც დაამტკიცეს ეპისკოპოსმა დიმიტრიმ და ექსარხოსმა... ამის მეოხებით ვოსტორგოვის პროგრამა არა თუ თვით სინამდვილის მიერ, არამედ ოფიციალურადაც უარეოფილ იქმნა... და იმ ყამად, როდესაც ხალხის მოძრაობის სიო ნელ-ნელა მოჭქროდა, ვოსტორგოვის პროგრამა მოკლე დროის სიცოცხლის შემდეგ დამარხულ იქმნა...

სამრევლო სკოლებში ამის შემდეგაც მეტნაკლებობით სწავლება რიგიანის პროგრამით სწარმოებდა... აქა-იქ მაინც კიდევ მოიპოვებოდნენ თითო-ორორა სულიერი მამები, რომელნიც ხარისხის და განმასხვავებელ ნიშნების მისადებად, რუსულადაც ასწავლიდნენ სადვოო სკოლს... მაგრამ, ჭეი საკვირველებავ, დამარხული პროგრამა ამ წლის ენკენისთვეში მკვდრეთით აღადგინეს პაშკევიჩ-ავერკიელებმა და უწყალობეს საშრევლო სკოლებს, როგორც ეს ქართულმა გაზეთებმა გვაუწყეს... თამამად ვიტყვით, რომ ეს პროგრამა იმდენად დაძველებულია, იმდენად ეწინააღმდეგება ჩვენის ერის უკვე გამორკვეულს და განმტკიცებულს თვით შეგნებას და მის ნამდვილს არსებითს მოთხოვნილებას და, დასასრულად, იმდენად ანტიპედაგოგიურია, რომ ხელოვნური საშუალებით მისი სიცოცხლე შეუძლებელია... მას მოკლის მეორედ დამარხვა... წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი ერის თანაგრძნობა საშინისტრო სკოლებისკენ გადმოვა, რომლებშიც მასწავლებლებიც რიგიანად მომზადებულნი არიან, სწავლების მეთოდები უფრო სადი და გამორკვეულია და არც საშშობლო ენაა მაინც და მაინც ბატივ აურიდი... შენიშნულია, რომ ხალხიც მეტის ნდობით ეპურობა საშინისტრო სკოლას!.

—

ვოსტორგოვის პროგრამის საკითხთან დაკავშირებულია მჭიდროდ საკითხი „რუსსკოე სლოვო“-ს შესახებ... ნებისით თუ უნებლიედ ვოსტორგოვის მახინჯს პროგრამაში, რომელიც სინოდმა დაამტკიცა 1902 წელს, რუსული ენის სახელმძღვანელოდ მოხსენებული იყო ი. გოგებაშვილის. „რუსსკოე სლოვო“-ს ორივე ნაწილი. ეს გარემოება საინინულოდ დაურჩა დ. ვოსტორგოვს... შეეცადა ი. გოგებაშვილზე ემოქმედნა იმ მხრით, რომ მას თვისი წიგნიდან ქართული ტექსტი და ასოები გამოერიცხა და ბოლოში მოეთავსებინა... ამას გარდა უოველდა მასვე—რამდენიმე ასი ცალი დაებეჭდა მხოლოდ რუსულად უადგილობრივ ტექსტად... მაშინ, როგორც უოველდა ვოსტორგოვი ბ. გოგებაშვილს,—„რუსსკოე სლოვო“-ს გაეხსნებოდა გზა ამიერკავკასიის ყველა არა რუსულ სკოლებში (სომეხთა, აისორთა, ოსთა, ათეხაზთა, ქართველთა და სხვა სკოლებში)... რამდენჯერმე შეეცადა ამას ვოსტორგოვი, შეუთვალა ესეგე ზოგიერთი საეპარქიო სასკოლო საბჭოს წევრთა პირით, მაგრამ გოგებაშვილი რის გოგებაშვილი იქნებოდა, რომ თვისი რწმენა, თავისი „მრწამსი“ გრიშების გულისთვის უარ ეყო... გოგებაშვილი უოველდა ვოსტორგოვს, რომ ის შეიტანს გაუმჯობესობას თვისს რუსულს სახელმძღვანელოში, მაგრამ ისე კი, რომ ქართული ტექსტი თვის ადგილსვე დარჩება... ამის შემდეგ ვოსტორგოვი, რომელსაც ვერ მოუხდა თვისი სურვილის შესრულება, იმ აზრით გაიმსჭვალა, რომ სავსებით განედევნა გოგებაშვილის სახელმძღვანე-

ეროვნული

ლო ქართველთა სკოლებიდან... ამ მიზნით მან, ექსარხოსის ალექსის თანხმობით, საბჭოში დასვა შემდეგი საკითხი 1903—1904 წლებში: ქართული სკოლებისთვის რომელი სახელმძღვანელოა უფრო გამოსადეგი: ა) ი. გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვო"; ბ) კორხანიდის „ყივოე სლოვო" თუ გ) ლევიცკის წიგნი, დამყარებული მუნჯურ მეთოდზე... აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ვოსტორგოვის სურვილს რამდენადმე აკმაყოფილებდა კორხანიდის „ყივოე სლოვო", მაგრამ არა საკვლევით: შიგა და შიგ მის მიერ ქართველთა სკოლებისთვის დანიშნულს წიგნში მაინც შეგხვდებოდა ქართული სიტყვაც... ვოსტორგოვი ამ წიგნს მაინც თანაგრძნობით ეკიდებოდა... ზემოდ დასმულ საკითხის გამოსარკვევად საბჭომ დანიშნა კომისია, რომელსაც შეადგენდნენ: თვით ვოსტორგოვი, ი. ა. გრეკოვი და ი. ფერაძე. კომისიას სხდომა ჰქონდა ამ საკითხის გადასაწყვეტად... დაესწრო ამ კრებას თვით კორხანიდიც (აწ განსვენებული)... კრებასვე შემოხვევით დაესწრო დეკ. ტიხონ ანდრიევსკი, აკადემიელი მდვდელი მაშინ ახლად დანიშნული ყარსის საკრებულო ტაძრის წინამძღვრად და საბჭოს ყარსის განყოფილების თავმჯდომარედ. გაიმართა კამათი რუსული ენის სწავლების მეთოდის შესახებ. ვოსტორგოვი და გრეკოვი მუნჯურს მეთოდს სთვლიდნენ საუკეთესო მეთოდად, ხოლო მესამე წევრი (ფ—ძე) თვალსაჩინოთ თარგმნითს, ი. გოგებაშვილის მეთოდს სთვლიდა უფრო საუკეთესოდ... თითოეულს მოკამათეს საბუთები მოჰყავდა თვისი აზრის დასამტკიცებლად. კორხანიდს კადამწყვეტი ხმის უფლება არ ჰქონოდა, მაგრამ მაინც კაკანიერდა და გოგებაშვილის მეთოდი დასახა საუკეთესო მეთოდად და მით მიემხრო ი. ფ—ძის აზრს... იტკიცა დეკანოზმა... გაგულისდა... მიმართა დეკ. ანდრიევსკის ტაბიდად მოუბრის ენით, რომ მასაც თავის აზრი გამოეთქვა საკითხის შესახებ... მამა ტიხონ ანდრიევსკი თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფე იყო და კეთილსინდისიერ რუსად ითვლებოდა... დაკვირვებული და შეგნებული ადამიანი იყო... ვოსტორგოვს ბირს კატა ეცა, როდესაც მამა ანდრიევსკიმაც გოგებაშვილის მეთოდი საუკეთესო მეთოდათ ადიარა... ვოსტორგოვმა სხდომა დახურა... გულცივად გამოეთხოვა წევრებს... ამნაირად მთელი საკითხი საბოლოოდ დაიმარხა... გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვო"-ს კვლავ ადგილი შერჩა სამრევლო სკოლებში... ხოლო მაშა ანდრიევსკიკი მალე შეიქმნა იძულებული საქართველოს საექსარხოსოში სამსახურისთვის თავი დაენებებინა და ყაზანის ეპარქიაში გადასულიყო სამსახურში...

ი. ნ—ძირელი.

მწვავე საკითხი

ვისაც თავის ქვეყნის ავ-კარგი და მისი მომავალი ცოტათ არის მაინც აფიქრებს, მას არ შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს მოზარდი თაობის მდგომარეობასა და სწავლა-აღზრდას. რუსეთის ცხოვრების რომელი მხარეც არ უნდა აიღოთ, ყველა სრულიად დაშორებულია უბრალო, საღსა და გონიერ მოთხოვნილებათა მინიმუმსაც კი. ამას ყველაზე მეტათ განათლების საქმეში გრძნობთ. ხოლო ნაკლი იგი ათ წილ საგრძნობელი და გამანადგურებელია ჩვენთვის, არა რუსთა-

თვის. აქ სწავლა-განათლების უმთავრეს და უახლოეს მიზნათ „ინოროდცების“ გადაგვარებაა დასახული. ამ მიზნისთვის იღწვის ყველა—დიდი და პატარა მოხელე, მას სხვერპლათ ეწირება პედაგოგიკის ყოველი ჭეშმარიტი მოთხოვნილება.

ეს თითქო ყველამ ვიცით. ამას ვითომ ყველა ვგრძნობთ. ხოლო მკრთალი გრძნობა იგი არ იწვევს ჩვენში საწინააღმდეგო თვით დაცვის ძალას და უსაშინელეს განსაცდელს სასო მიხდილი გულგრილათ შევსცქერით. პირიქით თვით ჩვენ დიდ დახმარებას ვუწევთ ჩვენს „მოკეთეებს“, ჩვენივე ხელით ყელს ვიჭრით და ეროვნულ თვითმკვლელობასა ვაჩქარებთ. ამის ნათელსა და უტყუარ საბუთს, სხვა აუარებელ მაგალითს შორის, ჩვენი „ბრწყინვალე წოდების“ უკანასკნელ დროის საისტორიო დადგენილებაც იძლევა, რომლითაც თავის პაწია შვილების გადასაგვარებლათ სამხედრო სასწავლებელთათვის მოსამზადებელი სკოლები უნდა დააარსონ... ამასვე მოწმობს ქუთ. ეპარქიალური საბჭოს წევრთა „რაინდული“ მოქმედება...

განა მწარე სინამდვილე არ არის აღნიშნული მეფის მოადგილის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში, რომ ჩვენ მშობლიურ ენაზე ლაპარაკი გვერცხვინება და მას შეუბრალებლათ ვსდევნით საკუთარი ოჯახიდან, კრებებიდან და დაწესებულებებიდან?! ნუთუ ამას შემდეგ რუსულს „პროგრესიულ“ გაზეთს „რუსკოე სლოვოს“ ერთ მოწინავე წერილში გამოთქმული უსაზღვრო სიხარული და ნეტარი სიამოვნება, ჩვენში სახელმწიფო ენის ადგილობრივ ენებზე გამარჯვების გამო, უსაბუთო და უსამართლოა!?.

სანუგეშოთ ჩვენ ჯერ კიდევ ისა გვაქვს, რომ ეროვნების მთავარი ბურჯისა და დედა ძარღვის—მშრომელი ხალხის ფარული წრეების მოშხამვა ამ სენს ჯერჯერობით ვერ მოუსწრია. ხოლო უნდა გვახსოვდეს, რომ სენი იგი მოარული ხასიათისაა და, თუ დროზე მის წინააღმდეგ სიტყვების ნაცვლად საქმით მიზნის შესაფერი ზომები არ მივიღეთ, მალე მთელი ხალხის ორგანიზმს მისი ბაცილებით დაავადება და გახრწნა მოელის. ჩვენ „ჭირისუფალთა“ სანატრელ საგანსაც სწორეთ ეს შეადგენს—მისთვის დაუღალავათ შრომობენ და ყოველგვარ ხერხსა და ღონეს მიმართვენ ხოლმე. ჩვენი საზოგადოების „მაღალი წოდება“ და მისი შეძლებული ნაწილი ამ არა მკითხე „ჭირისუფლების“ ქვენა სურვილებს წინ ეგებება. მთავრობა აქ მიზანს უშრომლად აღწევს. მაგრამ დაბალი წრეები უპირველებენ საქმეს და აი სწორეთ აქ სჭირდება მას ახალ-ახალი ზომების მიღება. მშრომელი ხალხის შვილებითაა სავსე სოფლისა და ქალაქის პირველდაწყებით სკოლები.

სამოსწავლო მთავრობაც, სიმართლე უნდა ვსთქვათ, თავის „მზრუნველ“ ყურადღებას არაოდეს არ აკლებდა ამ სკოლებს და აკი კიდეც ეს ერთი ხანია ჯვაროსნული ომი გამოუცხადა ჩვენს სკოლებსა და აქ არსებულ ბედკრულსა და ყბად აღებულ 81 წლის გეგმას. ეს კუდმოკვეცილი და თავისთავად პედაგოგიკის მოთხოვნას მეტად დაშორებული სწავლების გეგმა ამ ქვეყნის ძლიერთ ერთობ გადამეტებულად მოეჩვენათ, რომელიც ვითომ სახელმწიფოს სიძლიერესა და კეთილდღეობას ძირს უთხრის და მისი გაფართოებისა და გაღრმავების ნაცვლათ გროზდოვები და ძმანი მისნი სრულ განადგურებას შეეცადენ... მათ ცდას, როგორც მოსალოდნელი იყო, ამაოდ არ ჩაუვლია. გასულ ზაფხულს, უმაღლესი

ბრძანების თანახმად, სახალხო განათლების მინისტრმა დაამტკიცა და გამოსცა „ინოროდცების“ პირველდაწყებითი სკოლებისათვის ახალი წესები, რომლის შესახებაც პერიოდული გამოცემანი მეტად დამაფიქრებელსა და უნუგეშო ცნობებს გვაწვდიან.

ინოროდცების პირველდაწყებითი სკოლების მიზანია ერთის მხრით „ხელი შეუწყო მათ ზნეობრივსა და გონებრივ განვითარებას, მეორეს მხრით—გაავრცელოს მათში რუსული ენის ცოდნა და დაუახლოვონ რუსის ხალხს საერთო სახელმწიფოს სიყვარულის ნიადაგზე“—ამბობს მინისტრის ცირკულიარი.

ბრძენ პოლიტიკოსებს ავიწყდებათ ყველასაგან აღსარებული მარტივი ჭეშმარიტება, რომ უცხო ენის შესწავლა მაშინ უფრო ნაყოფიერი და ადვილია, როდესაც ბავშვებს წერა-კითხვა უპირველესად დედა ენაზე აქვთ შესწავლილი და თავისი ენა საფუძვლიანად იციან. მშობლიური ენა არის ბავშვის სულიერი განვითარების ულრმესი წყარო და უძლიერესი წინ წამწევი მამოძრავებელი ძალა. ხალხის დაახლოებასა და სახელმწიფო ენის სიყვარულს მხოლოდ მაშინ ექნება ადგილი, როდესაც ყოველი ერის სამართლიან უფლებას პატივისცემით მოექცევიან და მის წმინდათა-წმინდას, ეროვნულ ღირსებასა და თავმოყვარეობას არ შელახვენ. ხოლო როდესაც სახელმწიფო ენა ამა თუ იმ ერის თვითარსებობას განადგურებას უქადის და მათი სახელის გაქრობას ლამობს, მაშინ ხალხის დაახლოებაზე და საერთო სახელმწიფოს სიყვარულზე ლაპარაკს არავითარი ნიადაგი არ ექნება.

სამინისტროს ახალი წესები ფრთებს ასხამს და თავისუფალ სათარეშო მოედანს უთმობს კრუპსკისა და მისი ჯურის პოლიტიკანებს თავისი, ასე ვსთქვათ, მერყეობით, გაურკვევლობითა და მტკიცეთ განსაზღვრულ დებულებათა უქონლობით. ამ წესებში ყოველ მუხლს ფართო გამოსავალი ხვრელი აქვს, რითაც შესაფერად და „ნაყოფიერადაც“ ისარგებლებენ.

საღვთო სჯულის სწავლება ამ წესებით მოწაფეთა დედაენაზე წარმოებს. მაგრამ შეიძლება იგი რუსულ ენაზედაც ისწავლებოდეს „თუ კი ბავშვებს ეს უკანასკნელი საკმაოდ შეთვისებული აქვთ და მშობლებიც ამის წინააღმდეგი არ იქნებიან“.

ამგვარი ორჭოფი აზრი ყოველ მოხელეს, ცხადია, მოქმედების სრულ თავისუფლებას ანიჭებს, რასაც, თქმა არ უნდა, ჩვენს სასარგებლოთ არ გამოიყენებენ. ნუთუ ყველა ჭკვათმყოფელი ადამიანისათვის დღესავით ნათელი არ არის ის შეხედულება, რომ საღვთო სჯულს მხოლოდ მშობლიური ენის საშვალებით შეუძლია ესა თუ ის ზნეობრივი და გონებრივი ზედგავლენა მოახდინოს პირველდაწყებითი სკოლის მოწაფეებზე და უცხო ენა თავის დღეში მის მაგიერობას ვერ გასწევს!

საგნების სწავლება ახალი წესებით ორ წელიწადს სამშობლო ენაზე იწარმოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ამ დრომდის მოსწავლეები ვერ შესძლებენ საგნების რუსულ ენაზე შეთვისებას“. მესამე წლიდან საგნების სწავლება ყოველ შემთხვევაში რუსულ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს“. 81 წლის გეგმა საგნების სწავლებას 3 წ. განმავლობაში უმთავრესად დედაენაზე მოითხოვდა და რუსული ენის, სწავლება ისიც ლექსიკური განყოფილებისა, სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან იწყებოდა. წერა-კითხვა კი — მეორე

წლიდან. ახალი წესებით რუსული ენის სწავლას უნდა შეუდგნენ, თუ უფრო ადრე არა, მესამე თვიდან მაინც. რაციონალური პედაგოგიკის თვალსაზრისით სწავლების ასეთ ნაირათ მოწყობა ყოვლად შეუსაბამო, შეუწყნარებელი და მავნებელია. ცნობილია, რომ წერა-კითხვის შესწავლა პაწია ბავშვთათვის მეტად მძიმე და მოსაბეზრებელია. აქ მასწავლებელს დიდი ფხისა და უნარის გამოჩენა მმართებს, რომ ეს მოწაფეთათვის უხალისო და მოსაწყენი საქმე მათ გაუადვილოს და შეუმსუბუქოს. ბავშვების სათუთსა და ნაზ გონებას ჯერ ეს სიძნელე ვერ დაუძლევიათ, დედაენაზე წერისა და კითხვის მექანიზმის საიდუმლოება ვერ შეუგნიათ და შეუთვისებიათ და ამავე დროს, დიდაქტიკის ელემენტარული მოთხოვნილების წინააღმდეგ, ახალს, კიდევ უფრო რთულსა და დიდ სიძნელეს, უცხო ენას,— თავს ახვევენ და მით მის გონებრივსა და ფიზიკურს განვითარებას საფრთხესა და განსაცდელს უმზადებენ.

მინისტრის ცირკულიარი სამშობლო ენაზე ორი წლის სწავლებასაც, როგორც ვსთქვით, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში აღიარებს შესაძლოთ და ინსპექტორ რევიზორების პირად შეხედულებაზე ამყარებს რუსულ ენაზე საგნების სწავლების დასახელებულ ვადაზე უფრო ადრე შემოღებას. „რუსული ენის ადრე გამეფების მიზნით ყოველივე ღონე უნდა იქნეს მიღებული, რომ სკოლებში პირველ წლიდანვე საუკეთესოდ სწარმოებდესო“, ამბობს ცირკულიარი.

ყოველი საქმე, და მით უმეტეს სწავლა აღზრდის, მოითხოვს სამოქმედოთ ცხადს, წინდაწინ გარკვეულსა და სავსებით განსაზღვრულს სახელმძღვანელო პლანს. აქ კი ყველაფერი „სათუოდ“ არის გამოცხადებული და მისი შეცვლა და განმარტება ყველას ისე შეუძლია, როგორც მოესურვება და მოეხასიათება.

აქ ყოველ მოხელეს თავისუფლად მოქმედების სრული უფლება აქვს მინიჭებული და ამ უფლებას კი, თამამად შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, ჩვენს სასარგებლოთ არ გამოიყენებენ და თვითნებობათ გადააქცევენ.

ახალი წესები საზოგადოთ დიდ არევ-დარევას გამოიწვევს და სრულ ანარქიას გაამეფებს ისედაც აწეწილ არა რუსთა სკოლებში.

ასევე ორჭოფულად არის გამოთქმული მასწავლებელთა დანიშვნის უფლებაც. ჯერ ახალი წესები საჭიროთ აღიარებს მასწავლებლათ ბავშვების ენის მცოდნე ადგილობრივ მკვიდრთა გაწესებას. შემდეგ კი მინისტრი წესების ცირკულიარულ განმარტებაში მოსახერხებლათა და შესაძლოთ სცნობს რუსი მასწავლებლის არა რუსთა სკოლებში დანიშვნას, რაც ყოვლად შეუწყნარებელია და „ნეტარ-ხსენებული სასაცილო“ მუნჯური მეთოდის მკვდრეთით აღდგენას გამოიწვევს.

მინისტრი ამ განკარგულების გამოცემას შემდეგი მოსაზრებით ამართლებს: „ექვსი წლის გამოცდილებამ, 1 ნოემბრის 1907 წლის წესების განხორციელების დროს, დაგვანახა, რომ, რადგან ის ინოროდცების ენას ფართო ადგილს უთმობდა და რუსული ენის სწავლება გვიან იწყებოდა, ბავშვები ამ სკოლებში რუსული ენის ცოდნას ვერ იძენდენო“.

პირველდაწყებითი სკოლების უმთავრეს მიზანს შეადგენს—ხალხში აღმოფხვრას ათასგვარი მავნე ცრუმორწმუნეობა და ჩაუნერგოს ქვეყანასა და გარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოებაზე საღი და სწორი შეხედულება, განავითაროს მოზარდი თაობა გონებრივათა და ზნეობრივათ, მიაჩვიოს და შეაყვაროს წიგნების კითხვა, საიდანაც თავისუფლად უნდა ამოკრიფონ სასარგებლო და გამოსადეგი ცოდნა და სხვა.

და როდესაც სკოლები პოლიტიკურ იარაღათ უნდათ გადააქცეონ და მას, თავისი პირდაპირი დანიშნულების ნაცვლად სულ სხვა, მისთვის მიუწდომელ საქმეს აკისრებენ, მაშინ აქედან სიმახინჯისა და სიდუხჭირის მეტს ნურას გამოელით.

სკოლებში დედაენის თავისუფლად ხმარების უფლება, საზოგადოთ სიტყვის თავისუფლების ერთი უმთავრესი მხარეთაგანია, რასაც ასე აფასებს და ენატრება ყველა ქვეყნის მოწინავე საზოგადოებას.

საქმის ასე მოწყობით სახელმწიფო ენა ზარალის მეტს ვერაფერს მოიგებს, რადგან იგი მოზარდი თაობის გონებრივი განვითარების შემაფერხებელ იარაღათ გადაიქცევა და ამის გამო სიყვარულისა და ნდობის მაგიერ, რომელსაც ხაზს უსვამს ახალი განკარგულება, სიძულვილს დაიმსახურებს.

ასეთს უკუღმართ მოვლენას მხოლოდ რუსეთში შეიძლება ადგილი ჰქონდეს, სადაც ხშირად წინსვლის მაგიერ უკან ვიხევთ და განვლილ დროს შევნატრით.

ჩვენში ვერც ერთი ასეთი მოვლენა შესაფერ გამოხმაურებას ვეღარ პოულობს. ჩვენს მოპოებულ უფლებათა დაცვას ვერ ვახერხეთ და დათრგუნულ უფლებათა აღდგენას სულ არ ვცდილობთ. შემთხვევას არ ვეძებთ ქვეყანას ხმამაღლა და გაბედულათ ვაუწყოთ ჩვენი მდგომარეობა და გაჭირვება, ჩვენი სურვილი, მოთხოვნილებანი და მისწრაფებანი. მდგომარე წლის 23 დეკემბერს პეტერბურგში სრულიად რუსეთის სახალხო განათლების პირველი სიეზდი გაიხსნება. ამ სიეზდზე მთელი რუსეთის მოწინავე მასწავლებელნი და ყველა ამ საქმით დაინტერესებულნი პირნი დაესწრებიან. აქ მრავალი მნიშვნელოვანი და ჩვენთვის საარსებო საკითხი აღიძრება და განიხილება. გაზეთებში უკვე არის აღნიშნული წინდაწინ შემუშავებული განსახილველი საკითხები, როგორც მაგალითად:

1. სკოლის ორგანიზაციის ზოგადი პრინციპები (რუსეთში და საზღვარგარეთ).

2. აკმაყოფილებს თუ არა მცხოვრებთა ინტერესებს საყოველთაო განათლებისთვის შემუშავებული სკოლის ტიპი; როგორი სკოლაა ყველაზე მეტათ სასურველი.

3. შესაძლებელი და მიზნისშესაფერია თუ არა მთელი იმპერიისთვის ერთგვარი სკოლის ტიპის მიღება.

5. სახალხო სკოლის დანიშნულება.

11. სასწავლო პროგრამების შეთანხმება ადგილობრივ პირობებთან.

12. სახალხო სკოლების სანიმუშო პროგრამები.

13. ყველა საფეხურების სასწავლებელთა ორგანიული დაკავშირება და მრავალი სხვა.

მეტათ სასურველია და აუცილებლათ საჭიროა ამ სიეზდს ჩვენი ერის წარმომადგენელნიც დაესწრენ, ჩვენი გაჭირვება და დალხინება ქვეყანას აუწყონ და ჩვენში სწავლა-აღზდის საქმეში გამეფებული უკუღმართობის წინააღმდეგ გაბედულათ ხმა ამოიღონ. სხვა ჩვენზე თავს არავინ შეიწუხებს და ჩვენც სახლში წუწუნი და ვაი და ვიშის ძახილი ვერას გვიშველის. („ერი“)

ფარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბები

✦ უგუნური საქციელი. ქუთაისის გუბერნიის სოფ. ბადდადის სკოლის მასწავლებლებმა უგუნური საქციელი ჩაიდინეს—განდევნეს სკოლიდან იაკობ გოგებაშვილის „Русское Слово“ და იმის ნაცვლად შემოიდეს ანტიშვედაგოგიური სახელმძღვანელო „Русская рѣчь“ ვოდუერისა. („Зак. рѣчь“).

✦ ინსპექტორის დანიშვნა. ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორად დანიშნა დ. ს. ტკაჩოვი. („ზაკ. რ.“).

✦ სახ. სკოლების მასწავლებლები. სახ. სკოლების ინსპექტორმა ტერგასპარიანცმა მიიღო მოწერილობა, რომლითაც სთხოვენ მას, რომ წარადგინოს სადაც ჯერ არს ყველა იმ მასწავლებელთა სია, რომელთაც უმსახურიათ 5—10 და 15 წ. რათა მომავალი 1914 წ. 1 იანვრიდან მოემატოთ მათ ჯამაგირები თანახმად ახალი კანონისა.

(„ბიო. გაზ.“)

✦ სკოლების ბედ-იღბალი ხევსურეთში. როგორც ვიცით, ფშავ-ხევსურეთში ქრისტიანობის ადმადგენელი საზოგადოება ოთხ ახალ სკოლის დაარსებას აპირებდა, თანახმად მოახსენებისა გორის ეპისკოპოზ ანტონისა, რომელმაც შარშან ზაფხულ შემოიარა ფშავ-ხევსურეთი. ამ ყამად საზოგადოებას დაუნიშნავს ადგილები სკოლების ასაგებად ხევსურეთში: სოფ. ბარისახოსა და ხახმატში, ხოდო ფშავში სოფ. მუქოსა და შუაფხოში. საჭირო თანხა გადაიდება დასავლეთ ევროპაში დახურულ სკოლების კრედიტისაგან. (სახ. გ.)

✦ სახალხო სასწავლებლების ინსპექტორი ბ. პაგარელოვი ატეობინებს ქიზიყის მოამრიგებელ შუამავალს ბ. ვ. დ. ნაცვლიშვილს, რომ კავკასიის საოლქო მზრუნველის ბ. რუდოლფის წინადადებით საჭიროა გაიხსნას სოფ. ვაქირში ორ კლასიანი სასწავლებელი, თუ რომ სოფელი მისცემს საჭირო სადგომ ოთახს; ამასთან ბ. რუდოლფი გამოსთქვამს სურვილს, რომ ვაქირის ძველი შენობა შეკეთებულ იქმნეს და გაიხსნას სადურგლო და იქვე მოთავსდეს ოსტატიც. თუ არა და შეიძლება გაიხსნას მეორე სასწავლებელი, თუ სოფელი მისცემს შენობას, მოსამსახურეს და გამოიღებს ხარჯს გასანათებლად და გასათბობად.

ბ. პაგარელოვივე მეორე წინადადებას იძლევა: ბოდბისხევის საზოგადოებამაც დაადგინოს განაჩენი, რომლის ძალითაც სოფელმა ააშენოს შენობა, გაიღოს ხარჯი მოსამსახურისა, განათებისა და გათბობისა და მეორე სასწავლებელს გახსნის მთავრობა და ეოველს დანარჩენ ხარჯს თუითონ იკისრებს. („კახ. ხმა“)

✦ სასწავლებლების გახსნა. კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსმა წინადადება მისცა მესამე რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორს დაუფინებლივ მიიღოს ზომები სკოლების გახსნისა ბათუმის ოლქის შემდეგს ადგილებში: გონაში, ლანგოთხევში, ბადუჯიოღში, მერიღში, გობოქვათში, სარეში, ფერიაში და სურეკანში. ამისთვის კრედიტი სექტემბრის ბირველიდან გახსნილია, საკუთარი შენობისათვის გადადებულია 24,000 მან.

(„ზაკ. რ.“)

✦ სად. მუხიანი. მდ. სპირიდონ წიქორაძეს სამკითხველოს არსებობა მოსვენებას არ აძლევს: ეოველ ნაწირვებს მის წინააღმდეგ ელაპარაკება ხალხს; საუბელუროთ მისი დამჯერე ბირები კიდევ ბლომადაა აქ.

✦ რაიონის ეველა სკოლებში სექტემბრიდან შემოიღეს რუსული ენის სახელმძღვანელოთ ი. გოგებაშვილის „რუს. სლ.“ მეორე ნაწილის მაგივრათ გრიგორიევის „რუს. ს.“-ო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦ დირექტორმ სკოლების დაურიგა ახალი ნუსხა გაკვეთილებისა; ქართული ენის გაკვეთილები ძალიერ შემოკლებულია. „მერცხალი“.

✦ **ხიდისთავი** (გურია) მიუხედავად იმისა, რომ სოფ. ხიდისთავის მახლობლად არსებობს ბასილეთის ორკლასიანი სასწავლებელი, და ამას გარდა თვითონ ხიდისთავში და იმის ახლო-მახლო სოფლებში არსებობს სამინისტრო და სამრევლო სკოლები, მაინც ბევრი ბავშვი რჩება სკოლის გარეშე. ამის გამო ადგილობრივ მკვიდრთა შუამდგომლობით ხიდისთავში გაიხსნა ერთკლასიანი სასწავლებელი ქალთა და ვაჟთათვის, რომელიც საერობო ხარჯით იარსებებს. მასწავლებლად გაამწესეს მეგრელიძე.

— ადგილობრივი განოფიდება წ.-კ. გამ. საზოგადოებისა ცდილობს შუამდგომლობა აღძრას ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნის შესახებ. („ზაკ. რ.“)

✦ მიწის მოქმედების დეპერტამენტი ქუთაისის საბალოსნო სკოლას (ფერმის) სამი ათას ხუთას მანეთს ეწეოდა წლიურად, ეს თიოქმის ერთად ერთი საბალი იყო ამ სასასარგებლო სასწავლებლის არსებობისა. და ამ მცირე თანხით ძალიან გამოდიოდა სკოლა. დღეს, როგორც გავიგეთ, ეს თანხა გაუდიდებიათ ათი ათას მანეთამდი, რაც დიდ მოწყალებად და სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს.

ამავე სასწავლებელს, როგორც გადმოგვცეს, მეორე წყალობაც მოელისო. ქუთაისის გუბერნიას დიდძალი ხარჯი აწვა დარაჯების შესახებ. ეს ფული საერობო თანხიდან იხარჯებოდა. ეს ხარჯი ხაზინამ მიიღო, როგორც ვიცით და იმ განთავისუფლებული თანხიდანაც კარგი შემწეობა გადაიდება ზემოხსენებულ სასწავლებლისათვის. („იმერ.“)

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით სოფელ ვაქირის ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა გადაკეთდა ორკლასიანად და ამ სკოლის გამგედ დაინიშნა ვაქირისავე მასწავლებელი ი. ჩიქოვანი, რომელსაც ეძნება წელიწადში 450 მ. ჯამაგირი.

ამავე სოფელში იხსნება კიდევ ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა. („ხმა კახ.“)

✦ **სოფ. ჯუგაანი.** ამ სოფელში არის ორი სკოლა: ერთი სამრევლო უწყებისა ორის მასწავლებლით და საკუთარი შენობით და მეორე—სამინისტრო—რომელიც ეს მეორე წელიწადია რაც დაარსდა და ჯერ-ჯერობით მოთავსებული არის სასოფლო სამმართველოს შენობაში, სადაც მასწავლებელს უხდება მეცადინეობა ზოგჯერ იმისთანა ადგილოში, რომ ვერ გაურჩევია, შეგირდები აძლევენ ბასუხს, თუ კანცელარიაში შეკრეფილი სოფლის ხალხი.

წელს ძალიან ბევრი იყო მოხალვნელი სასწავლებელში შესვლისა, მაგრამ, რადგან ეგეა მასწავლებელს ათავებული ჰყვანდა და არც ადგილი ჰქონდა, ამისათვის ბევრი მსურველი გარეშე დარჩა.

✦ **ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლებში.** ახალმა სახალხო სკოლების დირექტორმა ბ. ვიშნევსკიმ ამ დღეებში დაუგზავნა მისდამი რწმუნებული ერთკლასიან და ორკლასიან სკოლებში ახალი განაწილება, რომელშიც ნაჩვენებია, რომ არა რუსთა სკოლებისათვის ბირველ განყოფილებაში ბირველ წლის ბირველ ნახევარში არ არის ნაჩვენები რუსული ენის გაკვეთილები, მაშასადამე ამ ხნის განმავლობაში სწავლება უნდა სწარმოებდეს მხოლო ბავშვებისათვის გასაგებს მშობლიურს ენაზე.

✦ თბილისის გუბერნატორმა შეატყობინა თბილისის ქალაქის თავს, რომ მას გაუგია ქალაქის სკოლის მასწავლებლები, რომლებიც იღებენ თვეში 50 მან. ჯამაგირს, ვითომ ფულის მიღებისათვის ხელს ორჯელ აწერენ, მაგრამ ისე, რომ თითქოს ისინი იღებდნენ არა ხუთ თუმანს, არამედ რვას, რადგანაც მეორეჯერ ისინი აწერენ ხელს სამი თუმნის

მისადებად, ამასთან მასწავლებლებს ვითომ ოფიციალურად ეცნობათ, რომ ამ სამი თუმნის ანგარიშში შედის უკვე მიღებული ხუთი თუმნის ანგარიშშიო. თბილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის თავს მოახსენოს, თუ რამდენად მართალია ეს ამბავი, და თუ მართალია წარუდგინოს მას დაწვრილებითი მოხსენება („ზაკ. რ.“)

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** ხუთ ნოემბრიდან ვერაზე მოაწყობს სადამოს კურსებს ქართულს ენაზე. მსურველთ შეუძლიათ ჩაწერვა ყოველ დღე სადამოს 7—9 საათამდე კურსების ბინაზე: ოდლას ქუჩა, სახლი № 54.

✦ **საბალოსნო სასწავლებელში.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრებას, რომელიც 29 ოქტომბერს მოხდა, საბალოსნო სკოლის გამგემ ბ. გ. მელიამ წარუდგინა სასწავლებლის საზედამხედველო საბჭოს მიერ შედგენილი მოხსენება. მოხსენების ავტორნი საბჭოს წინადადებას აძლევენ, მოესპოთ მოწაფეებისათვის საზოგადოების ხარჯით ზემო ტანსაცმელის ყიდვა იმ 150 მანეთში, რომელსაც მოწაფენი ყოველ-წლიურად იხდიან. მოხსენება დასაბუთებული იყო სხვა და სხვა მოსაზრებით და განსაკუთრებით იმ აუტანელ ნივთიერ ხელმოკლეობით, რომელსაც სასწავლებელი განიცდის. საბჭომ წინადადება უარყო და საჭიროდ სცნო, ის თუდი, რაც ტანისამოსებზე იხარჯება, სხვა გზით იქმნეს მოპოვებული.

✦ **ქალთა უმაღლეს კურსებზე.** დღეს საკანონმდებლო საგნად არ არის მიჩნეული საქართველოს ისტორია. დექციებს უფასოდ კითხულობს ს. კაკაბაძე, რომელსაც, რასაკვირველია, არ შეუძლიან მუდამ გასწიოს ასეთი ქვეყმოქმედება. ეს გარემოება ბევრში დიდ განცვიფრებას იწვევს, რადგანაც თბილისში, როგორც საქართველოს დედა ქალაქში, საჭიროა იყოს საქართველოს ისტორია ერთს მნიშვნელოვან და პირველ-ხარისხოვან საგნად ჩაეთვალათ. აგრეთვე საჭიროა საკანონმდებლო საგნად ჩამოხური ისტორიაც გახდეს. დრო არის, კურსების საბჭოს ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს და შესაფერი შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ახლავე აღძრას.

✦ **ახალი სკოლა.** როგორც ქ. შ. წ.-კითხვის გამავრ. საზოგადოების გამგეობას თოთიდან ატყობინებენ, საზოგადოების გახეოფილებას თოთის განაბირა უბანში, ეგრედ წოდებულ „ნაბადა“-ში ერთ-კლასიანი პირველდაწყებითი სკოლა გაუხსნია. მასწავლებლად მოუწვევია თოთის საქალაქო გიმნაზიაში კურს დამთავრებული ბარბარე ესტატეს ასული კასრაძე და ჯამაგირად დაუნიშნავს 420 მან. წელიწადში.

✦ **სახალხო სკოლების მასწავლებელთა კრება.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრ. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა: მიიდოს მონაწილეობა რუსეთის სახალხო სკოლების მასწავლებელთა კრებაში, რომელიც 23 დეკემბერს პეტერბურგში დაიწყება.

✦ **ქ. შ. წ.-კ. გამავრ.** საზოგადოების შრომის (სიდნადის მაზრა) სკოლაში, სხვათა შორის, ხელსაქმესაც ასწავლიან. როგორც წ.-კითხვის საზ. გამგეობას ატყობინებენ, სკოლისთვის ექიმ ჯანდიერს 15 მან. შეუწირავს ხალიჩების საქსოვ ხელსაწყოს შესაძენად.

✦ **ბაქო.** წელს ბაქოს ქართულ სკოლაში მეოთხე განყოფილება გახსნეს და ეხლა მეოთხე მასწავლებელიც მოიწვიეს—ცნობილი მუშესიკე ნიკ. სულხანიშვილი, რომელმაც სიმღერა-კალობაც უნდა ასწავლოს ბავშვებს. სხვათა შორის სულხანიშვილს აზრად აქვს ამ ცოტა ხანში მოაწყოს ხორო და კონცერტი გამართოს. მუშაობას უკვე შეუდგა. ვისაც ხოროში ჩაწერის სურვილი აქვს, უნდა ქართულ სკოლაში სულხანიშვილს მიმართოს.

✦ **გორი.** კვირას, 3 ნოემბერს, შუადღის თორმეტ საათზე ქალაქის თავის, ინტელიგენციის და სხვ. თანადასწრებით აკურთხეს

ეროვნული

წ.-ბ. საზოგადოების სამკითხველო. კურთხეის შემდეგ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა დიდათ პატივცემულმა ნ. დობროურმა. მან მოკლედ განუმარტა დამსწრეთ მნიშვნელობა ასეთი კულტურული დაწესებულებებისა სხვაგან და მეტადრე ჩვენში, გაცნო ამ სამკითხველოს მოკლე ისტორია და დასძინა: ჯერ დარიბია ჩვენი სამკითხველო, როგორც ჭხედავთ სულ რამდენიმე ჟურნალ-გაზეთი აქვს გამოწერილი, მოუწყობელია, არც წიგნები გვაქვს, მაგრამ იმედია დაეხმარება ყველა გულ-შემატკივარი და მალე მას დაამშვენებს არა მარტო ქართველ მწერალთა ნაწერები, არამედ რუსეთის და უცხოეთის დიდებულ ადამიანთა თხზულებანი. სამკითხველო გადავწყვიტეთ გავხსნათ დიდებული ადამიანის იდეა ბაგრატიონის სახელობაზე. იმის გარდა, რომ სამკითხველო პირდაპირ თვის კეთილს მიზანს ემსახურება, ეს პატივისცემაც იქმნება დიდებული მამულიშვილის ხსოვნისაო. სამკითხველო უფასოდ. მოთავსებულია სობორის ქუჩაზე, ცერცვაძის სახლში. („სახ. გაზ.“)



რუსის საეკლესიო მთავრობის წარმომადგენლები საქართველოში

ახალი წარმომადგენელი რუსის საეკლესიო მთავრობისა ივერიის საქათალიკოზოში, საქართველოს ეექსარხოსის წოდებით, ყოვლად უსამღვდელოესი ალექსი მოლჩანოვი, ეკუთვნის ერთ უგანათლებულესთაგანს, პატიოსანს და კეთილსინდისიერ რუსის იერარხს იმ ძველი კარგი დროისას, როდესაც ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა რაიმე შუღლზე ქართველებსა და რუსებს შორის.

ყაზანში, სადაც იგი ქორეპისკოპოზად და აკადემიის რექტორად იყო, ყირიმში, პსკოვში და ტობოლსკში, ერთის სიტყვით, ყველგან, სადაც კი მწყსიდა მეუფე ალექსი, იგი სამწყსოსათვის საყვარელი იყო და საქართველოშიც, მისივე სიტყვით, მიაქვს მშვიდობიანობა.

მაგრამ მშვიდობიანობა მშვიდობიანობის მოყვარულ იერარხისაგან არ არის დამოკიდებული. საქართველოში რომ სიწყნარე და მშვიდობიანობა სუფევდეს, მაშინ რა უნდა გაეკეთებინათ იქ გაბოროტებულ ვოსტორგოვის მომხრეთ და მეგობრებს, რომელნიც ძმათა სიძულვილით იკეთებენ კარიერას და მრავლად აგროვებენ ოქროს თავის სალაროში.

არა გვგონია, რომ ისინი სათნოიანად გადაიქცნენ და მწუხარება არ მიაყენონ კეთილ მწყემსს. ქართველების მიზეზით არ წასულან საქართველოდან რუსის კეთილი მღვდელმსახურნი ფლავიანე და ნიკოლოზი, რომელთაც ქართველებში სიყვარული დაიმსახურეს.

დამნაშავე არ იქნება ყოვლად უსამღვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელოესი ალექსიც, თუ ქართველების სულიერი მოთხოვნილება სრულებით ვერ იქნება დაკმაყოფილებული: მათს დასაკმაყოფილებლად საჭიროა მათი გაცნობა; კი არ უნდა ეშინოდეთ კეთილისა და ყველასათვის მისადგომ იერარხისა, არამედ უნდა მიეგებნენ მას, წარმოსთქვან თვისი საჭიროებანი, მწუხარება, ტკივილი და სიხარული. მისთვის ქართველი—ღვიძლი ძმაა და იგი უცხო ერთან კი არ მიდის, არამედ სარწმუნოებით თავის ღვიძლს, სახელოვანს, ჯვაროსანს ერთან.

მართლმადიდებელნო ქართველნო! გაუადვილეთ შრომა სულით სპეტაკს რუსის მწყემსმთავარს, რომელიც მოდის თქვენთან თქვენი ეკლესიის ასაღორძინებლად, მისი კანონიერი უფლებების აღსადგენად, მისი ყოფილი დიდებისა და მისი განდევნილ ეპისკოპოზების დასაბრუნებლად; რომლის მიზანიცაა აღადგინოს ღვთისმსახურების დაობლებული ტახტები, დაუბრუნოს ქართველებს უფლება თვის ეკლესიებში და მონასტრებში მღვდელმსახურება იქონიონ სამშობლო ენაზე და აღამაღლოს ხალხის განათლება.

როდესაც მეუფის მიზანი განხორციელებული იქნება, მისი სახელი, როგორც საეკლესიო კანონიური გამგებლობისა და წესწყობილების აღდგენისა, ოქროს ასოებით იქნება აღბეჭდილი საქართველოსა და რუსეთის ისტორიის ეტრატებზე.

მეფის ეკატერინე მეორისა და მეფის ირაკლი მეორის შორის ხელშეკრეფილების მერვე მუხლი, რომელიც ეხება საქართველოსა და რუსეთის ეკლესიების შორის ურთიერთ დამოკიდებულებას, ბოლოს და ბოლოს გამოირკვევა. ივერიის ქათოლიკოზი, როგორც რუსეთის სინოდის წევრი, შეაკავშირებს კიდეც ორივე ავტოკეფალიურ ეკლესიას. არავითარი უთანხმოების მოხდენა არ შეიძლება ამ ორი ეკლესიის შორის, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიებისა, რომელნიც განაგებენ ერთი და იგივე კანონიური წესით. თუ კი რუსები, რომელნიც საქართველოს საქათოლიკოზოში სკხოვრობენ, როგორც ბერძნები, მოითხოვენ თვისი ეპისკოპოზის ყოლას, თუნდაც იგი საქართველოში მართებელ ექსარხოსის სახელით იყოს, მაშინ არც ივერიის ქათოლიკოსი და არც ქართულ იერარხების კრებული არ წინააღუდგება მას. ეკლესიების მშვიდობა და კეთილდღეობა ხალხისა, გაცილებით უფრო ძვირფასია ჩხუბსა, ეროვნებათა შორის შუღლსა და ძმების მიერ ერთმანეთის სიძულვილეზე.

საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს თანასწორ უფლებიანობის ძალით და არა მონურის მორჩილებით, რაც აგრე სურთ ამიერ-კავკასიის რუსის ცრუ პატრიოტებს. („ზაკ.")

ნ. დურნოვო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთი

საბავშვო წიგნების გამოფენა კიევში

(დასასრული)

ლიტერატურა უნდა შორს იდგეს წინად განზრახულ მორალის ქადაგებისაგან, ტენდენციისა და სიეადბისაგან. იგი, საზოგადო ლიტერატურის მსგავსად, უნდა იქმნას სინამდვილის მხატვრული ადმბეჭდელი.

გერმანიისა და საფრანგეთის მოელი ლიტერატურა დაწერილია ტენდენციის სტილით.

გერმანელების წიგნში ერთი ზაბლონია: ბავშვმა ჩაიდინა სისულელე? – მოაკელით შესაფერისი კერძი საჭმელისა; ბავშმა გასტეხა თეფში? იგი უეჭველად დასჯილი იქნება ისე სასტიკად, როგორც არ დასჯილა უკიდურესი ბოროტი ადამიანი, ასეთი ლიტერატურა ბავშვის სულის დაძაბუნების და მონურ სიმხდალის მეტს არას მოუტანს. სამაგიეროდ ავიღოთ ლევ. ტოლსტოის მინიატურები, რომელნიც იმავ თემაზეა დაწერილი, მათი წაკითხვა ბავშვს შიშის ნაცვლად წრფელ და უზადო დიმილსა ჭგვრის.

ერთ მოთხრობაში დაპარაკია იმ ბავშვის თაობაზე, რომელსაც უთხოვნელად თეფშიდან ქლიავი აელო. ბავშვს არა ჭსურს გამოტყდეს ასეთს ფრიად მძიმე დანაშაულში. მამა ამბობს, რომ ეს მაინცა და მაინც არაფერია, თუ რომელიმე ბავშმა აიღო იგი, მაგრამ მას ეშინიან, ვაი თუ ამდენმა უცოდინარობის გამოკურკა გადაჭყლაპა, რისგანაც შეიძლება ადამიანი მოჭკვდეს. ვანო (ქურდი) გაფიერდა და თქვა: არა, მე კურკა სარკმელიდან გადავაგდო, ეგელამ გაიცინა, ვანომ ტირილი მორთო.

ტენდენციით გაჟღენთილია თვით კეთილსინდისიერი ჟურნალი „Маякъ"-ი, მას უნდა ეოველ სტატიით, მოთხრობით, დექსით ასწავლოს ბავშვსა, თუ როგორ მოეპურას სხვის ტანჯვას, სევდას. ამისთვის რედაქცია არჩევს იმისთანა თემებს, სადაც ტანჯვის აწერა იქნება საჭირო. ესაა მიზეზი, რომ შიგ მოთავსებული მოთხრობანი მძიმენი არიან, ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებენ. რად უნდა ეცნობებდნენ ბავშვებს მხოლოდ ასეთს მძიმე ამბებს? რატომ უნდა მარად ასე იმოქმედონ მათს სუსტს ნერვებზე? ეჭვს გარეშეა ბავშვობიდანვე უნდა შეეჩვიოთ სიბრალულს, გამოვიწვიოთ მასში ტრემლები ობოდ ბავშვის ბედ-იდბალზე. რა თქმა უნდა ბავშს არ უნდა დაუმალოთ ცხოვრების სამწუხარო მხარეები, მაგრამ მეორე მხრივ არც ის შეიძლება, რომ ედაპარაკოთ მხოლოდ უბედურებასა და ტანჯვაზე. ასეთის ჩიჩინით აღზრდილ ბავშვს ხომ შეუძლიან იფიქროს, რომ ცხოვრებაში არაფერია კარგი, არაფერი მოამხიბლავი და ბრწყინვალე არა არის რა და ლოდიკურად დაებადება კითხვა: „რისთვის იცოცხლოს".

განა ნაადრევად არ გაუჩნდებათ სულის საშინელი მდიდი ეესიმიზმი?

მივაწოდოთ ბავშვებს შვედერების თხზულებანი. ევგენი შვედერი სწერს ცოცხლად, გასაგებად და ბოეტურად. მისი მოთხრობის ბავშვების სულის სიხალისე იმოქმედებს მკითხველს და მათსავით ამალხაზებს.

მოზრდილი ბავშვი თან და თან უნდა გაეცნოს დიდებისთვის დაწერილს მხატვრულ ლიტერატურას, მაგრამ ეს ვითარება ბოროტად არ უნდა გამოვიყენოთ.

ბატარა ბავშვების ლიტერატურა უნდა დავიფაროთ აუარებელ ზღაბრებისაგან, მოზრ-

დიდ ბავშვების ლიტერატურა კიდევ უფრო-სების ლიტერატურის მოჭარბებით შემოსევისაგან.

ხშირად შეამოკლებენ და გადაკეთებენ ხოლმე მხატვრულ თხზულებებს იმ მოსაზრებით, რომ მისაწვდომი გახადოს ბავშვებისთვის. ეს ეოვლად შეუწყნარებელია. გადაკეთება მთლად ამახინჯებს თხზულებას. მისი მთლიანობა ირღვევა და ჭკვრგავს ეოველგვარ მნიშვნელობას.

საბავშვოდ გადაკეთებულია დონ-კიხოტი სერვანტესისა. ეს თხზულება რთულია და ნახევარ სიმბოლიური. იგი ბავშვებისთვის მთლად გაუგებარია. გადაკეთების შემდეგ ხელში დაგვრჩა ცარიელი ფაბული, ეოველგვარ ღრმა აზრსა და მხატვრულ დირსებას მოკლებული.

ესევე ითქმის გულივერზე. მისი თხზულება საშინლად გესლი სატირაა. იგი ერთხელ ადკრძალულიც კი იყო.

გადაკეთების შემდეგ კი რასა ვხედავთ? მთელი გესლიანი ჭიუმორი გადაგდებულია და რადა დარჩა?

თხზულებათა გადაკეთება ხშირად ეპიდემიურ ხასიათს ღებულობს. ზიანი ასეთის გადაკეთებისა კიდევ ისაა, რომ ბავშვი, რაკი წაიკითხავს გადაკეთებულ თხზულებას—შემდეგ ადარ დაუბრუნდება დედანს. იტყვის: როგორ? ხელმეორედ ხომ ადარ გადავიკითხავო. ამ გვარად იგი რჩება გაუცნობელი მსოფლიო ლიტერატურის შედევრებისა.

* * *

ეველამ უწყის, რომ ბუნების მეტყველების სწავლება სკოლებსა და ოჯახებში არაა რიგიან დონეზე დაყენებული.

გიმნაზიას ისე ათავებენ ემაწვილები, რომ ელემენტარული ცოდნაც კი არ გამოაქვთ. იგინი ისე გაურბიან ბუნების-სამეტყველო საგნების სწავლებას, როგორც სემინარიელები ბერძნულ გრამატიკას.

თუ გერმანელების სკოლამ დიდი ხანიჯი წარსდგა წინ, იგი სისწორით აძლევს ცნობებს ბუნების მეტყველებიდან—რუსეთის სკოლა ბევრით წინ არ წასულა საშუალო საუკუნოების სკოლებიდან, სადაც მოწაფენი ეველა საგანს გადიოდნენ და არსებითად კი არა იცოდნენ რა.

ფილოლოგები ჭეიქრობენ, რომ ბუნების მეტყველება არის ფაქტების ადნუსხვა. ფაქტიური მასალა უსაჭიროესია, მაგრამ ამით არ გაისაზღვრება იგი. მეცნიერება ფაქტების ადწერაში. კი არა მდგომარეობს—იგი მეხსიერებას ამცირებს—არამედ ეს ფაქტები ერთურთს უნდა დაუკავშირონ. ფაქტების ნიადაგზე კითხვამ უნდა შეგვიჩვიოს დოდიკურ შემეცნებას, მეცნიერულ დამტკიცებას და შეგვთვისებინოს ბუნების ეველა მოვლენათა კანონშეწონილობა. ბუნების-მეტყველების მეთხებით უნდა შევიცნოთ კავშირი მიზეზობრივ მოვლენისა.

ეოველგვარი იდეა მიუღებელია, თუ ეწინააღმდეგება ფაქტსა. ბავშვს უნდა ესმოდეს თუ რა არის ახსნა. ბავშვს თქვენ ეტყვით—მიწა ბრუნავსო—სხვა ეგოცენტრისტულ დებულებას ეტყვის. ბავშვი დღეს თქვენ დაგიჯერებთ—ხვალ სხვას. მიეცით ბავშვს უფლება თვით გამორკვევის, მიეცით იმმუნენტი, მიეცით საშუალება გაგებისა და თვით მიხვდება რაა მიზანი ბუნების მეტყველებისა. ბავშვი თვით გაიგებს, თვით გაარჩევს ცალიერ სიტყვით მტკიცებას მეცნიერულად დასაბუთებულ მსჯელობისაგან. დამტკიცება შეიძლება მხოლოდ ფაქტებით. ცდის მეთხებით. მუდამ უნდა მივმართოთ ხოლმე მეცნიერულ ექსპერიმენტს, ბავშვს გავაგებინოთ მეცნიერული კავშირი ფაქტებ შორის და იგი მიხვდება, თუ რა არის მოვლენა. ბავშვი არ უნდა კმაყოფილდებოდეს ცარიელი ბგერით, უბრალო სიტყვებით. თუ ბავშვში გაძლიერეთ მოთხოვნილება ბუნების

გაგებისა—მაშინ თქვენ იხსენით იგი ცრუ მოწმეობისაგან.

წიგნი, რომელშიაც დაფარულია მეცნიერული სიმართლე, ეოვლად უვარგისია ბავშვებისათვის.

ფართოდ გავრცელებული მეცნიერულ-პოპულიარული საბუნების-მეტყველო წიგნები უმრავლეს შემთხვევაში არ არიან დამაკმაყოფილებელნი. იგინი კრიტიკულად უნდა იქმნენ გადათვალიერებულნი. ავტორები ხშირად ტლანქ შეცდომას სჩადიან, ხშირად გადმოსცემენ დაძველებულ ცნობებს.

აუარებელი სახელმძღვანელონი სრულიად უთავურად და უმეცრად არიან შედგენილნი. მაგ. მოვლენა პარაზიტიზმისა იმით აიხსნება, რომ რომელიმე ჭიას არ შეუძლიან საკუთარი შრომით კვება. განა ეს მეცნიერული განმარტებაა? არა საჯობდა ბავშვს სულ არა სცოდნოდა ეს ამბავი? ასეთი წიგნები ჭრეგნიან ბავშვსა.

ამის შემდეგ მათ ნუ აწვდით სერიოზ წიგნებს სწორედ ისე, როგორც ბავშვს, რომელსაც წაკითხული აქვს პინკერტონი—ტოლსტოი ადარ უნდა მიაწოდოთ.

აბანოში ფეხი რომ ობება—დიდება და ძნელი და ხდება ფეხსაცმელის ჩაცმაო. განა ეს ვულგარიზაცია არ არის მეცნიერებისა? ასეთი უაზრობის მთქმელს არ გამეცხვენ, მაგრამ აბა გაბედეთ და სთქვით ბაირონი ლერმონტოვის გავლენის ქვეშ იყო.

ჩვენში ტენდენციაა გახადონ წიგნი მდაბიურად, ადვილად მოსასმენელად და დამაინტერესებლად, მაგრამ ხშირად ამ აზრს მსხვერპლად შესწირავენ ხოლმე მეცნიერულ მხარეს, რა თქმა უნდა წიგნი უბრალოდ უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ მეცნიერული მხარე არ უნდა დაჭკარგოს.

მაგ. კერტონი სერიოზი მეცნიერია. ის ფაქტებს ადნიშნავს, მაგრამ ეს ადნიშნა მთლად ეწინააღმდეგება მეცნიერულ სიმართლეს. აი რაგორ ადაპარაკებს ფრინველებს: მამიდო—მიმართავს ფრინველი ფრინველს—მე შენ დაგიჭირე წინააღმდეგობაშიო. განა ესეთი ცნობა საჭირო ბავშვისთვის? გამოდის, რომ ფრინველები ისევე ჭკვიანები არიან, ისევე ლოდიკურად შეუძლიანთ მსჯელობა, როგორც ადამიანებს.

რაგორ და რისთვის წარმოიშვა ადამიანი დედამიწაზე, რაგორ და რადის ისწავლა ხალხმა დაპარაკი—კითხულობს ერთი საბავშო წიგნების ავტორი და ადვილადაც უპასუხებს ამ კითხვებზე, მაშინ, როდესაც იგინი დღესაც არა აქვთ ფილოლოგების გამორკვეული.

მრავალი ავტორი პოპულარულ საბუნებისმეტყველო წიგნებში ატარებს პოლიტიკურ-მორალურ და სხვა ტენდენციებს, რომელნიც სდგანან ბუნების მეტყველების გარეშე. ამ ტენდენციის გულისთვის საამართლად ასადებენ გამოგონილს. ეველა ასეთი წიგნები უცილობლად მავნედ უნდა იქმნას ცნობილნი.

აი რაგორ ასწავლიან ბავშვს ეთიკურ ცნობებს ბუნების მეტყველების მეოხებით: ბავშვს უმტკიცებენ, რომ სიყვარულით, ლვთაებრივი სიყვარულით სცხოვრობენ ჭიანჭველები; მათ გაგიყვანენ უყვართ ერთ-ურთიო.

დაე ოდესაც ადამიანი წარმოსდგა ცხოველებისაგან, მაგრამ ჩვენ მაინც გავსხვავდებით მათგან, ჩვენ მაინც გვაქვს ეთიკა, რომელსაც მოკლებულნი არიან ცხოველნი.

ბევუბნებიან გაგება, გამჭრიახობა და სხვა ცხოველებსაც აქვთო—მაგრამ კითხვა იბადება: სადაა მათი უნარი შეგუებისა, შეთვისებისა.

ბუნების მეტყველების თვალთა ხედვის ისრით ამის მტკიცება დიდი ცოდვაა. განზრახული ტყუილით შეუძლებელია რაიმე სასარგებლოს მიღება.

იტყვიან: ეთიკის გულისათვის უნდა ვიცრუოთ ბუნების მეტყველებაშიო—მაგრამ სიცრუით როდის მიღწეულა ჭეშმარიტება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოველთადმი სიბრალულის აღძვრით ბავშვში განვავითარებთ სიძულვილს ადამიანთადმი.

თუ ცხოველნი დვთაებრივი სიყვარულის მატარებელნი არიან, მაშინ ბავშვმა როგორდა უნდა შეჭხედოს ყასაბს, მოსამსახურეს, რომელიც შინაურ ცხოველებს და ფრინველებს ხოცავს; ბავშვი დარწმუნდება, რომ ადამიანი საზიზღარი ყოფილა.

ჭიანჭველებზე ქრისტიანულ სათნოების შიწერით საშინლად ვავრცელებთ სიძულვილს კაცთადმი; ვამტკიცებთ მათს უდმობელობას, მოსისხლეობას.

ავიღოთ მოთხრობა „მტაცებელნი“, რომელიც ეოლიტიკური ტენდენციითაა გაჟღენთილი. აქა ვტეობულობთ, რომ ქორი საშინელი მმუსრავია, ბოროტი, მოსისხლე. ავტორს ჭსურს ადნიშნოს კლასობრივი განსხვავება. ქორები—ბურჟუები არიან. მაგრამ განა ბუნების მეტუველებაში ეს შესაწყნარებელია?

ლომს ხომ სულ არ იფარავენ—იგია ყოველ-გვარ ძალმომრეობის წარმომადგენელი. იგია სიმბოლო ტირანიისა. ყველა ასეთი ხერხით ჭსურთ კლასობრივი ბრძოლის გამწვავება. რა თქმა უნდა თავის თავად ავტორის მიზანი სიმპატიურია, ძალიან სასურველი და სასიხარულოა კლასობრივ განსხვავების გაშუქება, მაგრამ ეს ხომ ბუნების მეტუველებას არ ეკუთვნის, მაშასადამე, არც უნდა ჩაურთოთ შიგა. ასეთი ხასიათისა თხზულებანი სემიოხ იუშკევიჩისა. იუშკევიჩი კარგი მწერალია, მაგრამ ბავშვებისთვის სრულებით არ ვარგა.

გარბუნოვ ბოსანოვის ლიტერატურაც (კრებულები ლექსებისა და მოთხრობებისა) ნამეტანი ტენდენციურია. აქ შეჭხვდებით ლევ ტოლსტოის თხზულებებს, ანდერსენის ზღაპრებს, ბლუშჩევის ლექსს, მაგრამ ყველა ესენი ერთი თემისთვის არიან არჩეულნი: ცხოველები ჭგრძნობენ, იტანჯებიან,—ხალხი კი უგრძნობელი, მკაცრია, სტანჯავს ცხოველებს. ცხოველები ტანჯულნი არიან, ხალხი—უსულო და მკაცრი.

ბუნების მეტუველებამ ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის გონებრივ განთავისუფლებას—სხვა მხრივ კი მან უნდა აიცდინოს ყოველგვარი უტილიტარული მიზანი.

მართალია ბავშვები ტენდენციურ წიგნებს ხალისით კითხულობენ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ბუნების მეტუველების წიგნი არაა წიგნი დრო გატარებისა. ბავშვი წიგნში უნდა ეძებდეს სერიოზ ბასუხს სერიოზ საკითხისას. ეთიკური ლიტერატურა ვერავითარ კრიტიკას იჭერს. არაა საჭირო ასეთი ლიტერატურა.

მრავალ მასწავლებლებისგან გვესმის: „ბავშვებს არ აინტერესებთ ბუნების მეტუველება, არა კითხულობენ წიგნებსო“. მასწავლებლებმა პირველ ყოველისა უნდა შეიგნონ, რომ ბავშვებში ბუნების მეტუველების შესწავლის ინტერესის გამოწვევა შეუძლებელია წიგნის საშუალებით. ბავშვი წაიკითხავს საბუნებისმეტუველო ზღაპარს იმისას, თუ ვარსკვლავები როგორ ლაპარაკობენ ერთიერთ შორის, მაგრამ იგი იმას არაფერს მისცემს. მშრალ წიგნის მიწვდის მაგიერ გადავშალოთ ბავშვის წინ ბუნების წიგნი—ცოცხალი წიგნი: ბუნების მოვლენანი ჩვენს მიუთითებლად მიიქცევენ ბავშვის ყურადღებას და მაშინ შეგვიძლიან აღძრულ საკითხზე განსაგები ენით მივცეთ მეცნიერული განმარტება; აუხსნათ ყოველივე პირდაპირ და გულახლით. ამნაირად გამოვიწვევთ ბავშვში ბუნების მეტუველების შესწავლის ინტერესს. ამ გზით შეგვჭქმნით ბავშვში იმპულსს მეცნიერულ პოპულარულ წიგნების კითხვისას.

იმ მცირეოდენ სკოლებში, სადაც დასახელებულ მეთოდს აღგანან, უმაწვილები მეტ ინტერესს იჩენენ ბუნების მეტუველებისადმი. მეტს წიგნებსა კითხულობენ, მასწავლებელნიც გმაუოთვილნი არიან.

* * *

დასასრულ ზემოდ ხსენებულ წიგნების გარდა დავასახელებ კამოფენაზე ნანახ ზოგიერთ წიგნებს, რომელთა გაცნობა ქართველ მოწაფეებს დიდ სარგებლობას მოუტანს, როგორც ესთეტიურს ისე გონებრივის მხრივ.

ასეთები არიან:

„გაზაფხულის ფერი“ — მოთხრობები დიმიტრიეგისა. ავტორი სწერს ბავშვებზე და არა ბავშვებისთვის და სწორედ მიტომაცაა ეს წიგნი ძვირფასი.

ჩინებულია ბოეტურად დაწერილი თხზულებანი სალავიოვისა.

მამინ სიბირიაკი დიდი ავტორია, მაგრამ ეგელა მისი ნაწერები არაა ბავშვებისთვის საასარგებლო.

ქუჩურ დიტერატურასთან შესაბრძოლებლად გამოცემულია იაფ-ფასიან წიგნების სახით მოთხრობები დიკენსის, ჩიუკოსი, ტოლსტოის, აქსაკოვის ლამაზი ბოეტური ზღაპარი და სხ.

ზოგიერთი კრებულები და წიგნები ისე ლამაზად და მხატვრულად არის გამოცემული, რომ არ გინდათ ოვალი მოაშორო. მაგალითად: „ტეის ბრინცესა“ ისე საუცხოოდ დასურათებული, რომ ადტანებში მოსდიხართ. წიგნი დიდი ფორმატისაა. ფურცლების ცალ გვერდზეა კოხტა ასოებით დაბეჭდილი შარტო ლექსი. ლექსის ოთხივე მხარეს ფართო ფონზე ფერადი ძვირფასი სურათებია — გამოცემულ-მხატვრებისაგან შესრულებული, მეორე გვერდზედაც სურათია იმავე ლექსის სიუჟეტისა.

ბავშვებისთვის ძვირფასი საჩუქარია: „Сѣренькій козликъ“. — კრებული ბავშვების საყვარელი სიმღერებისა.

თვითეულ სიმღერას დართული აქვს შესაფერისი ილუსტრაცია და მოთავსებულია ლამაზ ჩარჩოში. ეს კრებული საამაგალითო საამუსიკო ანბანია ბავშვებისთვის.

უეურებდი ასეთს ლამაზს გამოცემებს და გული სევდით მეგუმშებოდა, რომ ჩვენი საბავშო ლიტერატურის დამამშვენებელნი: ვაჟაფშაველა, ქუჩიშვილი, შ. მდივანი, ნ. ნაკაშიძე, ახოსპირელი, ვ. თამრეშვილი და სხვ. „ნაკადულში“ თუ ჭეოვებენ ადგილს თავიანთი საუცხოო ნაწერებისთვის, თორემ წიგნების გამომცემლებისაგან არაფერს ელირსებიან.

უელსის წიგნი „თამაშობა იატაკზე“ — ჩინებულია. აქ მრავალ სურათს ნახავთ, თუ როგორ უნდა გაართოო ბავშვები. წიგნი ჭეუმორითაა შეზავებული.

საისტორიო წიგნებში შესანიშნავია ნემირეოვიჩ-დანჩენკოს თხზულება — მებრძოლი გოლგოთა (Боевая Голгоѳа). ნემირეოვიჩ-დანჩენკომ აგვიწერა ომი, რომელიც სხვა ავტორებივით ვარდის ფერი ნისლათ არაა შემოსილი. ომის სრულს რეალიზმით აღწერა და იმავე დროს მხატვრულად დახატვა ომის საშინელებისა — ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. წიგნში ადგილი არა აქვს ომის შექებას. ნემირეოვიჩი არა სწერს ომს ჩვეულებრივი მახერით, რომ თურქები ათასობით იხოცებიან და ჩვენები კი მედგრად დგანანო. ავტორის აღწერაში არაფერია, რაც მოშხიბლავად ჭვდიდეს ომს, ბირ-იქით წიგნში აღწერილია მეორე მხარე ომისა მთელის თავისის საზიზღრობით. წიგნი საასარგებლოა მოზრდილთათვის და არა ბატარებისთვის, ვინაიდან მას შეუძლიან უკანასკნელნი ექსტაზამდის მიიყვანოს და ეს კი მათი სუსტი ნერვებისთვის არაა კარგი.

„ნორჩი მკითხველის“ გამოცემანი მისასალმებელია. იგინი წარმოადგენენ სად წასაკითხავ წიგნებს, საინტერესოს, მსოფლ-მხედველობის გამამთართოებელს.

ბროფესორ ნეჩაევის წიგნი: „დროა კითხვისა“ — ჩინებულია. ეს წიგნია თავისებური ანბანი. ოკი ბავშვს კი არ ასწავლის ანბანს, არამედ მისს ფსიხოლოგიას მიჭმართავს. „კით-

ხვის სწავლა ჭნიშნავს იმას, რომ ასოების დანახვით მივხვდეთ სიტყვას. ამ გამოცნობის პროცესს უნდა შეეჩვიოთ ბავშვი, თუ გსურს ასწავლოთ კითხვა“.

ამ სიტყვებით ავტორი კარგა ახასიათებს იმ კითხვას, რომელიც მან დაისახა. ბავშვს შეუძლიან ადვილად მიჭხვდეს სიტყვას ასოს მიხედვით და მით დამოუკიდებლად შეისწავლოს კითხვა. ანბანის ასე შესწავლის პროცესი შემდეგნაირად სწარმოებს: უფროსი ეუბნება ბავშვს: მე გაჩუქებ ბურთს და კიდევ ერთ სათამაშო ნივთს, გამოიცანი, რომელს გაჩუქებ?—ამ დროს უჩვენებს დიდ ასოს „О“-ს, ამ ასოს გვერდით დახატულია ბავშვი, რომელიც მიაგორებს „სადტეს“. ბავშვი ვერ მიმხვდარა—მე შენ გიკარნახებ ეუბნება. О--Обручъ—წამოიეგერა ბავშვმა და გაიცინა მრგვალი ასო „О“, რომელიც მართლა „ობრუჩსა“ ჰგავს და რომელსაც ბავშვი მიაგორებს—დრეად ჩაეჭდობა ბავშვის მეხსიერებაში. მან უკვე იცის ეს ასო.

ამის შემდეგ ავტორი შეჩერდება ასო „О“-ზე. ამბობს, რომ „О“ არ არის მხოლოდ საკუთრება Обручъ-ისა, რომ ბევრა „О“ შედის როგორც შემდგენელი ნაწილი სხვა სიტყვაშიაც.

მოვიყვან კიდევ მაგალითს: ბავშვს ეკითხებიან მე კარგად მეძინა და ვნახე რა?—თან უჩვენებს დიდ ასოს „ს“ შესაფერისი სურათით—სიზმარი—წამოიეგერების ბავშვი. მაშასადამე ასო „ს“ ბავშვს ბუნებრივად ახსოვდება. კაცსა აქვს ორი თვალი და ერთი რა?—უჩვენებს ასო „ტ“-ს და სურათს, რაზედაც ცხვირია დახატული.

— ცხვირი—ეეერიან ბავშვები.

ნეჩაევის ეს წიგნი წარმოადგენს მთლად ახალ რასმე—კითხვის სწავლებას ამ წიგნის მიხედვით ადვილიც არის და იმავე დროს—სახალისოც.

ფოლოგიურ ბელეტრისტიკაში ბირველი ადგილი უჭირავს ტომსონს. მისი მოთხრობები წარმოადგენენ ორიგინალ მოვლენას დიტერატურაში. მას ჰყავს მრავალი მიმბაძველი.

ძალიან კარგია შედგენილი ბროფესორ კულიგინის რედაქციით ფოლოგიური ქრესტომატია.

ძვირფასია ნეჩაევის „Очерки“ გეოლოგიიდან. ნეჩაევი სამართლიანად ითვლება ეველაზე, ცნობილ ბოპულიარიზატორად გეოლოგიურ საკითხებში.

ასევე ძვირფასია იმავე ნეჩაევის ბატარა თეზიკა „სასწაული უსასწაულოდ“. ეს წიგნი დაწერილია მტირე წლოვან ბავშვებისთვის. ავტორს სახელმძღვანელოდ კი არ უნდა იგი, არამედ ჭსურს მხოლოდ აღძრას ბავშვური თვით-მოქმედება, ჭსურს დაუმენოს ინტერესი ექსპერიმენტისადმი. იგი ეველა მოვლენას აძლევს მოკლე და მეცნიერულ ახსნას; იმავე დროს მოჭვავს ლეგენდები და მოთხრობები გალილეის, ტორიჩელის, პასკალის და სხვათა ბირველ ცდაზე. ეველა ამას დიდი სიცოცხლე შეაქვს საუბარში.

საბავშვო ჟურნალებში ეველაზე სერიოზად და საუკეთესოდ ითვლება: „წაარო“.

კარგ ჟურნალებად ითვლება: „ახალგაზდა რუსეთი“—მდიდარია მოთხრობებითა; „ბიდიკი“—შიგ ჩართულია გამოჩენილ მხატვართა სურათები და „Всходы“; ამ ჟურნალშია განთავსებული საბელესტრისტო, საისტორიო, საგეოგრაფიო, სამეცნიერო და სხვა.

ჟურნალი „Солнышко“ გამოცემულია დარიბი ბავშვებისთვის; იმიტომაა მისი გაბრეგნობა საადა.

დ. თუ—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწერილი ამბები

ცოტა რამ აჭარის სკოლებზე

ჭართალია, აჭარაში არსებობს რამოდენიმე სკოლა, არიან მასწავლებლებიც, მაგრამ სკოლების არსებობაში არც სამოსწავლო მთავრობაა დაინტერესებული და არც ხალხი. სკოლების სახელები ოღონდ ქაღალდზედ იყოს აღნუსხული და მისი ავკარგიანობის შესახებ თავს არავინ იტკივებს: ისწავლის ვინმე თუ არა, მისთვის სულ ერთია. ხალხმაც დიდი ხანია დაჰკარგა თვით მოქმედების უნარი. ის აზროვნებს და მოქმედებს აქაურ ფანატიკოს ხოჯებისა და ზოგიერთ ბეგების სურვილისამებრ. ხალხს დიდ ცოდვათ მიაჩნია თავისი სჯულის კაცების ბრძანების არ შესრულება. ეს გარემოება ადამიანს მოაგონებს საშუალო საუკუნეებს, როდესაც ფეოდალებისა და ხუცების ბატონობის ხანა იყო. ეს ბატონ-პატრონნი რომ თავისი ხალხის ჭირ-ვარამით იყვნენ განსჭვალულნი, რასაკვირველია, შეუძლიათ ჩვენი გზა აბნეული ხალხი ნამდვილ გზაზედ დააყენონ, სინათლისკენ მიუთითონ, რომ მან თავი თვისი იცნოს და დედა-ენა შეიყვაროს. სამწუხაროთ ზოგიერთი ჩვენი ხოჯებ-მოლები, პირიქით, რამდენადაც შეუძლიათ ყოველსავე მშობლიურს აძულებენ აქაურ ხალხს, სთესენ სიძულვილს მაჰმადიანთა და ქრისტიანეთ შორის მაგ. ერთხელ ერთი სოფლის სკოლის სჯულის მასწავლებელი ხოჯა ეუბნება შეგირდებს: „გიაურს სცემეთ, თუ გინდ მოჰკალითო, ჩვენი სჯულის კანონით იმისთვის პასუხი არ მოგეთხოვებათო". ყველანი მიხვდებიან თუ რა გავლენას იქონიებს ასეთი საუბარი მართლმორწმუნისა ჯერ კიდევ გონება გაუხსნელ შვილებზე. ისინი ბოლო დროს ან ყაჩაღებათ გავლენ, ან ისეთი ფანატიზმით გაიჟღენთებიან, როგორითაც მათი მასწავლებელი ხოჯა არის შეპყრობილი.

როდესაც ვამბობ: „ზოგიერთი ხოჯები და ბეგები გაუხდნენ მტრად ყოველსავე მშობლიურს მეთქი", მართლაც ზოგიერთი უნდა ვიგულისხმოთ და არა ყველანი. არიან ისეთი კეთილშობილნი პირნი, (თუმცა ძალიან ცოტა) რომელნიც იღვწვიან ჩვენი დატანჯულ-გავერანებული ხალხის გამოსაფხიზლებლათ. როდისმე განახლებული აჭარა არას დროს არ დაივიწყებს აბდულ ეფენდი მიქელაძეს, სოფ. ქედის მცხოვრებს, რომელიც მუდამ ებრძოდა და ებრძვის დედა ენის მტრებს. თუმცა მისმა სურვილებმა ჯერ-ჯერობით მიზანს ვერ მიაღწიეს, თუმცა ქედის სკოლაშიაც არ ასწავლიან ჯერ ქართულს, მაგრამ ეფენდი მიქელაძე მომავლის იმედს მაინც არ ჰკარგავს.

ქედის სკოლის შენობა ერთი საუკეთესო შენობათაგანია აჭარის სკოლებში. ის შესდგება ორი დიდი საკლასო დარბაზისა და რამდენიმე ოთახისაგან, რომლებიც დაყოფილია ერთი მეორისაგან ლამაზი „დერეფნებით". სკოლის შენობა ქვისაა. ამ სკოლას აქვს გარს შემორტყმული ხვრილებით სავსე მშვენიერი ბაღი, რომლის შემოსავალი წლიურათ 300 მანეთს აღემატება. ეს შემოსავალი დღეს მარტო მასწავლებლის საკუთრებას შეადგენს. 10—12 წელიწადი იქნება მას შემდეგ, რაც სოფ. ქედაში სასწავლებელი გაიხსნა, ამ ხნის განმავლობაში რაიმე სარგებლობა უნდა მოეტანა სოფლისთვის, მაგრამ

ჩვენ ვერაფერს ვხედავთ მისგან გაკეთებულს. იმ დროს, როდესაც აქ მასწავლებლობდა სინიდისიერი მუშაკი ბ. კურნალი, სწავლის საქმეც კარგათ იყო დაყენებული. სხვა არა იყოს რა მოსწავლეებს შეეძლოთ მაინც დედაენაზე ებაასნათ მასწავლებელთან და მარტო ეს კმაროდა იმისთვის, რომ პატარები ხალისით მოჰკიდებოდნენ სწავლას, ამიტომ იმ დროს მართლა ბავშვების საკმარისი რიცხვი დადიოდა სკოლაში. ამ გარემოებამ ძილი დაუფრთხო ჩვენებურ მართლ-მორწმუნე ხოჯებს: ,,ვაი, თუ ქართულის სწავლით ბალღები გაქრისტიანდნენ, მუსულმანობა დაჰკარგონო''. დაჰკრეს ბუკსა და ნაღარას, შეჰკრიბეს მათგანვე დამუნჯებული ხალხი და დაადგენინეს ოქმი, რომლითაც ამ ხალხმა უარჰყო ქართული ენა და ქართველი მასწავლებელი.

ამ დღიდან აქ მოისპო დედა ენის სწავლება; აქედანვე დაიწყო მოსწავლეთა რიცხვის შემცირება. დღეს კი ამ ორ კლასიან სასწავლებელში, სადაც სამი მასწავლებელი მაინც უნდა ასწავლიდეს, სწავლობს ათი თუ თორმეტი ბავშვი, მათ შორის ნახევარი მუსულმანია, დანარჩენი სხვა ტომისანი არიან. (ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ის რიცხვი, რომელიც გაკვეთილებს ესწრება და არა საკლასო ჟურნალის რიცხვი, სადაც გაცილებით მეტია ჩაწერილი). მასწავლებელი, რასაკვირველია ერთი არის, ბერძენი, რომელსაც ქართულის არაფერი გაეგება და იძულებულია ბავშვებს რუსულათ ან თათრულათ ,,ეჩიქორთულოს''. დარწმუნებული ვარ, ქართულის მცოდნე ენერგიული მასწავლებელი ასამდი ბავშვს მაიც შეაგროვებდა ამ მდიდარსა და ხშირად დასახლებულ სოფელში.

ახლა გადავიდეთ ზემო აჭარის ე. ი. ხულის სასოფლო სასწავლებელზე. თუმცა ქედის სკოლაზედ შედარებით, აქ მეტი მოსწავლეებია, მაგრამ სახარბიელო მდგომარეობაში არც ეს სკოლაა. აქ არსებობს ეგრედ წოდებული ,,პანსიონი'', სადაც შეგირდებს უფასოდ ღებულობენ. ეს გარემოება აბედვინებს ზოგიერთ მუსულმანს თავისი შვილი სასწავლებელში მისცეს. ეს ,,პანსიონი'' რომ არ იჭერდეს მოსწავლეებს, მაშინ ამ სკოლის ბედი ქედის სკოლის ბედზედ უარესი იქნებოდა. დედაენა, რასაკვირველია, განდევნილია აქედანაც. ,,პანსიონში'' პატარა ბავშვებს ლაპარაკიც კი აკრძალული აქვთ ქართულად. შარშან აქ მასწავლებლობდა ქართველი მამალაძე, მაგრამ მან მთელი წელიწადი ინტრიგან ბეგებთან ბრძოლას მოანდომა, სკოლისთვის სასარგებლო არაფერი გაუკეთებია და ბოლოს იძულებული გახდა სულ თავი მიენებებინა სკოლისთვის. წელს მის ადგილზე ისევ ქართველი დანიშნეს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს მაინც ეცდება უპირველესად ყოვლისა დედა-ენა შეაყვაროს ამ უმწეო ხალხს, რითაც გზას გაიკაფავს მადლიერი შთამომავლობა.

ასე და ამ რიგათ, ზემოთ დასახელებულ სკოლებს ჯერჯერობით სარგებლობის მაგიერ ვნება მოაქვთ აჭარლებისათვის, მით, რომ უკარგვენ მათ შვილებს სწავლის ხალისს. ამ სკოლებს არ შეიძლება გვერდში ამოუყენოთ მხოლოდ ხერთვისის სასწავლებელი. თუმცა ამ სკოლამაც დიდი ბრძოლა გამოიარა, ენისთვის ესეც წამებულ და დასჯილ იქნა, მაგრამ ბოლოს მაინც გამარჯვებული გამოვიდა: დედა-ენა შეინარჩუნა ისე, როგორც საქართველოს სხვა სკოლებმა. ხერთვისის სკოლა დაარსდა 1903 წ. სოფ. ხერთვისში, მაგრამ აქ მას დიდხანს არ უარსებია: აქაური ბე-

ეროვნული

გებისა და ხოჯების მეთაურობით ხალხი აჯანყდა სკოლის წინააღმდეგ და სკოლაც გაუქმებულ იქმნა. მაშინ ის გადაიტანეს სად. „აჭარის წყალზე". სკოლის იქ გადატანას ხელი შეუწყვეს თავიანთი მონდომებით სოფ. კიბის მცხოვრებლებმა კედემ აღამ და თებელ ეფენდი-ზაქარაძეებმა, რომლებიც მაჰმადიანებში შეგნებულ ქართველთა რიცხვს ეკუთვნიან. ეხლა სკოლაში 50-დე ბავშვია ორი მასწავლებლით.

ქიმილ ეფენდი.

სახალხო მასწავლებელი

† ვასილ საჩინოს ძე ბარათაშვილი

(ნეკროლოგი)

ოქტომბრის 27-ს შორაპნის მაზრის სოფ. ნიგოზეთში მშობელ მიწას მიაბარეს ამავე სოფლის, მერევის ორკლასიანი სამინისტრო სკოლის, მასწავლებელი ვასილ ბარათაშვილი, რომელიც გარდაიცვალა უეცრად 53 წლისა; განსვენებული 35 წლის განმავლობაში პატიოსნად ასრულებდა სახალხო მასწავლებლის მძიმე მოვალეობას.

ჯერ კიდევ ის მხნედ იყო და შეეძლო ემსახურა რამოდენიმე წელს; იგი წყნარი მუშაკი, ყოველთვის ერთგული და მოყვარული თავისი მოვალეობისა; დღევანდელ ჩვენ სახალხო მასწავლებელთა შორის ძვირად შეხვდებით ისეთ ბეჯითს, გამოცდილს და თავისი საქმით დაინტერესებულ მასწავლებელს, როგორიც იგი განსვენებული ვასილი; ამასთანავე, როგორც კაცი ის იყო მშვიდობიანი, უწყინარი, მხიარული, ყველასთან თვისებიანი და საყვარელი ადამიანი, რის გამო მას დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა მსახურებული თავის საზოგადოებაში და ამხანაგებში. ბევრი სარგებლობა მოუტანა მან 35 წლ. განმავლობაში თავის საყვარელ საზოგადოებას, რომელსაც არ შორდებოდა და თავიდან იქ მსახურებდა. განსვენებული იღებდა აგრეთვე მონაწილეობს თავისი საზოგადოების სხვა და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებში. აუარებელი ხალხის თანადასწრებით დაასაფლავეს იმისი ცხედარი. ვის არ მოუკვდებოდა გული, როდესაც დაინახავდა განსვენებულის დაობლებულ თვალცრემლიან მოსწავლეებს და მის მიერ აღზრდილ ყმაწვილ კაცობას, რომლებიც მისდევდნენ იმის კუბოს! დასაფლავებისას უძღვნეს სიტყვები, როგორც პატარა მოწაფეებმა, აგრეთვე გარეშე პირებმაც. კუბოს ამშვენებდა რამოდენიმე გვირგვინი. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი პატიოსანო ადამიანო, წყნარო მუშაკო, და ღირსეულო მასწავლებელო ვასილ!

ლადო ბზვანელი.

რედაქტორ-გამომცემელი

ლ. გ. ბოცვაძე.

დამატება ჟურნალ „განათლებისა“ № 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები

ქ. ო. ზერა-პითხვის გამავრცელებ. საზოგადოების მოქმედებისა.

კავკავში

გაიხსნა წ.-კ. გამ. საზოგ. განყოფილება 1909 წელს

1911 წელს. გამგეობა შესდგება შემდეგი პირებისაგან: თავმჯდომარე ი. გ. შვილევი, მდივანი მღ. გ. ნათაძე, ხაზინადარი—ზ. კიკნაძე. წევრები: თავ. ი. მ. ლორთქიფანიძე, ტ. ბ. კახიძე, მ. ა. კალანდარიშვილი, გ. მ. ბერდული, თ. პ. სარაჯიშვილი, ,. ა. გედევანიშვილი, ზ. ლ. მჭედლიშვილი, ი. ზ. ელერდაშვილი, გამგეობაში შედიან აგრეთვე. ამქართა წარმომადგენელნი: ეს. შუშიაშვილი, გ. ს. როინაშვილი, ი. ხეთაგური, ი. ს. ბარახუსტი. დ. ი. ერქომაიშვილი. ყ. ი. ელერდაშვილი, ალ. ყ. ბერბერაშვილი, ს. ნ. ქენქაძე, დ. ს. სირაძე, მ. დ. ლებანიძე, მ. ზ. გძელიძე, სპირდონ ლუდუშაური, ს. გ. ქერაშვილი, სპ. შადური, ს. ი. სუჯაშვილი.

წლის განმავლობაში გამგეობის სხდომას დაესწრენ:

				არ დაესწრო
1.	ი. გ. შვილევი—	10	ჯერ.	4.
2.	ტ. ბ. კახაძე—	6	—	4.
3.	მღ. გ. ნათაძე—	7	—	3.
4.	თ.იარ. ლორთქიფანიძე—	5	—	5.
5.	გ. ბერდული—	4	—	6.
6.	ზ. კიკნაძე—	6	—	4.
7.	გ. როინიშვილი—	3	—	7.
8.	ზ. მჭედლიშვილი—	6	—	4.
9.	დ. ერქომაიშვილი—	7	—	3.
10.	ალ. ბერბერაშვილი—	4	—	6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

					არ დაესწრო
11.	თ. ბ.	სარაჯიშვილი	—	3	7.
12.	მ. ა.	კალანდარიშვილი	—	2	8.
13.	ს.	ღუდუშაური	—	2	8.
14.	დ.	სირაძე	—	3	7.
15.	ნ.	ღამბაროვი	—	2	8.
16.	ბ.	მეფურნიშვილი	—	3	7.
17.	გ.	გძელიძე	—	3	7.
18.	ს.	სუჯაშვილი	—	3	7.
19.	ი.	ფიცხელაური	—	4	6.
20.	გ.	ელერდაშვილი	—	2	8.
21.	ი.	ბარახუსტი	—	2	8.
22.	ს.	ქერაშვილი	—	1	9.
23.	ვარ.	ბურჯანაძე	—	6	(როგორც სკ. გამგე).

საანგარიშო წელს მოხდა განყოფილების წევრთა საზოგადო კრება ენკენისთვის 25-ს. კრებამ განიხილა 1910 წლის შემოსავალ-გასავლის და 1910—1911 წლის სწავლა-აღზრდის ანგარიშები.

წლიურ კრების ოქმი.

„1911 წლის ენკენისთვის 26-ს შესდგა ქ. შ. წ.-კ. გ. ს. კავკავის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ი. გ. შვილევი, მდივანათ ვარ. ბურჯანაძე. 205 წევრთაგან კრებას დაესწრო 52 წევრი. თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას ფეხზე ადგომით პატივი ეცათ მიხეილ ყიფიანის, დ. სარაჯიშვილის და დიმიტრი მაისურაძის ხსოვნისათვის; შემდეგ კრებამ განიხილა დღიურ წეს-რიგში აღნიშნული საკითხები და დაადგინა: დამტკიცებულ იქნას 1910 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში, მიღებულ იქნას აგრეთვე 1910—1911 წლის სწავლა-აღზრდის ანგარიში. კრებამ მოისმინა ქალთა წრის წარმომადგენელის სოფიო კალანდარიშვილის ძოხსენება პროფესიონალური სკოლის მდგომარეობის შესახებ—და ამ სკოლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში დაამტკიცა შემდეგის გამნარტებით: აქ საკითხი პროფესიონალური სკოლის ნივთების შესახებ დარჩეს განსხილველად, ვიდრე თვით ქალთა წრე არ გამოარკვევს ამ საკითხს; ბ) დაუბრუნდეს ბ. ი. გ. შვილევს 400 მანეთის ვექსილი; გ) სკოლა დარჩეს გამგეობის განკარგულებაში ისე, როგორც იყო აქამდი.

კრებამ საჭიროდ დაინახა მომავალ 1912/1913 სამოსწავლო წელს გახსნას პარალელური განყოფილება 1 განყოფილებასთან! გადაიდვას ამ საქმისთვის ერთდროულად და ყოველ წლიურად 500 მანეთი, კრებამ სასურველად სცნო აგრეთვე მომავალი სამოსწავლო წელიდან მეხუთე განყოფილების გახსნაც. ვაჟებისათვის ხელსაქმის შემოღების შესახებ მიენდო პედაგოგიურ საბჭოს თავისი აზრი წარუდგინოს მომავალ საზოგადო კრებას.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოქმედების დახასიათება.

1911 წლის განმავლობაში, გამგეობას ქონდა სულ 10 სხდომა. სხდომებზე განხილულ იქნა სხვა-და-სხვა საკითხი სკოლის საქმეთა მოწესრიგების, პედაგოგიურ საბჭოსა და გამგეობის შორის დამოკიდებულებათა მოწესრიგების შესაგებ. მიღებულ იქნა და სისრულეში მოყვანილ მთავარი გამგეობის წინადადება შესახებ იმისა, რომ სკოლის გამგეთ ითვლებოდეს სკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი და არა სკოლის კორპორაციის გარეშე მდგომი პირი, როგორც ეს იყო 1910—1911 სამოსწავლო წლამდი. მიღებულ იქნა სამკითხველო განყოფილების გამგებლობაში. დადგენილ იქნა დაიკიდოს დავ. სარაჯიშვილის სურათი სკოლის დარბაზში. გამგეობის გადაწყვეტით ორჯერ გაიმართა სეირნობა და საღამო სკოლის სასარგებლოდ: ენკენისთვის 4-ს და დეკემბრის 20-ს, როგორც საღამომ ისე სეირნობამ სასურველად ჩაიარა შემოსავლის მხრით.

პედაგოგიური საბჭოს დადგენილება სკოლის ინვენტარის მართვა-გამგეობის და საქმის წარმოების შესახებ გამგეობამ სავსებით მიიღო: გააუქმა ორდერებით ფულის მიღების წესი და შემოიღო ეგრედ წოდებული „ტრებოვატელნაია ვედომოსტი", გააუქმა ძველი ინვენტარის წიგნები და დაამტკიცა ახლად შემოღებული სასწავლო და არა სასწავლო ნივთების დასაწერი ნივთები, სკოლის შემოსავალ-გასავლის წიგნი და შემოსულ-გასულ ქაღალდებისა.

მთავარი გამგეობის მოწერილობის თანახმად (ქაღალდი № 270) 1911 წ. 19 ნოემბერი) ადგილობრივი განყოფილების გამგეობამ გააგზავნა მასწავლებლები: ვ. ა. ბურჯანაძე და გ. რაზმაძე ალაგირში იქაური სკოლის მდგომარეობის გამოსარკვევად და თავიანთი მოსაზრების წარსადგენათ, თუ რამდენად შესაძლებელი და მოსახერხებელი იქნება ალაგირის სამრევლო სკოლის გადაცემა ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გამგებლობაში. ვ. ბურჯანაძის მოხსენების (ეს მოხსენება გაეგზავნა თბილისში მთავარ გამგეობას) თანახმად გამგეობამ საჭიროდ დაინახა და სასურველად სცნო დაარსდეს ალაგირში წ.-კ. გ. ს. ფილიალური განყოფილება, რომ შესაძლებელი იქნეს ქართველების მიერ სკოლისთვის აგებული შენობა გადაეცეს საკუთრებათ წ.-კ. გ. საზოგადოებას.

მთავარი გამგეობის მოწერილობა ინსტრუქციის შედგენის შესახებ სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი, ვინაიდან გამგეობის ზოგიერთ წევრებმა უარი განაცხადეს ნაკისრ მოვალეობის აღსრულებაზე.

სარაჯიშვილის სტიპენდია მისი გარდაცვალების შემდეგ მოსპობილ იქნა.

მეორე სტიპენდიით, რომელიც დააარსა ადგილობრივმა გამგეობამ, სარგებლობს დავით ღუდუშაური, ქართული სკოლის ყოფილი მოწაფე.

ღირს აღსანიშნავ მოვლენათ გამგეობის საანგარიშო წლის მოქმედების ისტორიაში უნდა ჩაითვალოს მეორე სართულის დაშენება დაბლა სართულზე, დერეფნის გაფართოება. ზედა სართულში მოთავსებულია ქართველთა საკრედიტო ამხანაგობა, რომელიც იხდის სკოლის სასარგებლოდ შენობის ქირათ 720 მანეთს წლიურად და ამით აძლიერებს სკოლის შემოსავალს. (ეს შემოსავალი ჯერ-ჯერობით დასაშენებელ ვალის დასაფარავად მიდის).

გამ. დრ. თავმჯდომარე **ტ. კახიძე.**

მდივანი **ვ. ბურჯანაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1911 წლის შემოსავალ-გასავალის ანგარიში.

შემოსავალი:	მან.	კ.
1. 1911 წლის 1 იანვარს იუო კასაში ძველი წლიდან დარჩენილი	341	8
2. წმინდა შემოსავალი სკოლის დარბაზში გამართულ სადამოებისა და წარმოდგენებისა .	2174	68
3. საწევრო გადასახადი	1123	50
4. შემოწირულება	343	95
5. სესხად აღებული ბანკიდან	393	25
6. ბადიდან	10	„
7. თეატრის ქირის	98	80
8. სუბსიდია ქალაქის თვით-მართველობიდან . .	200	„
9. წიგნების საწყობიდან	182	43
10. შემთხვევითი შემოსავალი	12	65
11. ბრილიანტი ბანკიდან	64	—
სულ შემოსულა საანგ. წლის განმავლობაში .	4944	34
საანგანარიშო წელს დახარჯული . . .	4397	56
1912 წლის 1 იანვარს განყოფილებას ჰქონია მიმდინარე ანგარიშით	546	78
შემოსულა	4944	34
გასულა ხაზინადრის ანგარიშით . . .	5097	56
გადამეტებული ხარჯი . .	153	22

გასავალი:	მან.	კ.
1. მასწავლებელთა ჯამაგირები	2391	„
2. მცველის ჯამაგირი	273	80
3. გათბობა ნახშირით და შეშით	365	65
4. ინვენტარი: დგამი და სხვა	58	70
5. ქონების დაზღვევა	61	65
6. განათება ელექტრონით	106	50
7. „ „ ნავთით	16	20
8. წყალი	27	23
9. სტიპენდია	30	„
10. ბიბლიოთეკა სამკითხველო	57	81
11. სტამბის ხარჯები	16	65
12. სახელმძღვანელო და სასწავლო ნივთების საწყობზე.	242	19

ეროვნული ბიბლიოთეკა

		მან.	კ.
13.	დაფასების ქირა	46	35
14.	$^0/_0$ $^0/_0$ (სარგებელი) ნასესხებ ფულისა . .	15	75
15.	ხელსაქმის სწ. მასალა	12	73
16.	„რემონტი“	6	86
17.	შემთხვევითი ხარჯები	155	10
18.	ვალი	372	60
19.	სათვალსაჩინო მასალა	2	92
20.	წვრილმანი ხარჯები	71	86
21.	სხვა და სხვა ხარჯები	43	50
22.	საკანტელარიო ხარჯები	12	51
	გასულა . . .	4397	56
	1911 წლის დეკემბერში ხაზინადარს შეუტანია ბანკში შესანახად	700	„
	სულ . .	5097	56

თავმჯდომარე **ტ. კახიძე.**

მდივანი **ვ. ბურჯანაძე.**

სია

ქ. შ. წ.-კ. გ. საზ. კავკავის განყოფილების 1911 და 1912 წლების წევრთა

ავსაჯანაშვილი ალექსი, ავსაჯანოვი გიორგი, აიდაროვი მიხეილ, ამირიძე გიორგი, აღნიაშვილი მღვ. გიორგი, არაბიძე ექვთიმე, არაშიძე სოლომონ, აკოფოვი დავითი, არჩვაძე პავლე, არჯინაშვილი იორდანე, ალიევი სადიკ-ბეგი, ალიევი ძმა, ახალაშვილი ისააკ, აფიციაური დიმიტრი, აღლაძე ლევან, აღუნაშვილი თომა.

ბარათოვი გიორგი, ბურდული გრიგოლ მიხეილის ძე, ბურდული გიორგი, ბურდული ლიდია, ბურდული გაბრიელ, ბურდული გრიგოლ ივანეს ძე, ბურდული გიორგი მათეს ძე, ბურდული ივანე როსტომის ძე, ბურდული ივანე, ბაშარული ნიკოლოზ, ბარათაშვილი ნიკოლოზ, ბუთხუზი იასონი, ბუთხუზი ექვთიმე, ბარახუსტი იოსებ, ბუჩუკური გრიგოლ, ბუჩუკური თევდორე, ბერბერაშვილი ალექსი, ბექაური გიორგი, ბორისოვი იაკოფი, ბერულაშვილი მიხეილ, ბეჟანაშვილი ვლადიმერ, ბედიანაშვილი ნანია, ბურდული გლახა, ბუჩუკური ალექსი, ბურდული მიხეილ, ბუჩუკური გრიგოლ, ბუჩუკური ივანე, ბედოიძე ხოსრო, ბაკურაძე ელენე, ბაკურაძე ერმინე, ბურჯანაძე ვარლამ.

გელიაძე ილია, გახოკიძე გიორგი, გიგაური მათე, გზირიშვილი დიმიტრი, -გრძელიძე გალაქტიონ, გულბათოვი ალექსანდრე, გედევანიშვილი პავლე, გიორ-

ეროვნული

გიობიანი სამონ, გიორგობიანი ერმალოზ, გამყრელიძე გიორგი, გუჯარავი-იოსებ, გულნარაული არტემ, გოსხაპეტაშვილი თევდორე, გვიანაშვილი გიორგი, გახოკიძე მათე, გელიაშვილი ისააკი, გოცირიძე სერგო, გოცირიძე პიმენ, გიორგობიანი ბიქტორ, გელაშვილი სევასტი, გიორგობიანი კუზმა.

დავითი ეპისკოპოსი პიატიგორსკისა, დუმბაძე რაჟდენ, დიდებაშვილი ალექსი, დრიაშვილი ივანე, Гаджіевъ Абасъ Алекнеровичъ, დუმბაძე დიმიტრი, დარჩიაშვილი ალექსანდრე, დათოშვილი ვასილ.

ელერდაშვილი ისიდორე, ელერდაშვილი დავით ზაქარიას ძე, ელერდაშვილი გაბრიელ, ელერდაშვილი გიორგი, ელერდაშვილი ლაზარე, ელერდაშვილი დავით იასონის ძე, ელოშვილი ივანე, ელოშვილი ალექსი, ელიაძე სტეფანე, ებრალიძე სიმონ, ერისთავი მიხეილ, ეპისკოპოსი დავითი.

ვაშალომიძე დავით, ვარდაშევი ვასილ, ვარდაშევი გრიგოლ, ვარდაშევი გლახა, ვიშკოვსკი მიხეილ.

ზირაქიშვილი ვასილი, ზაქაშვილი ნიკოლოზ, ზაქაიძე სერგო.

თამარიძე იაგორ, თაუროვი დავითი, თათარაშვილი დავით, თინიკაშვილი მახარა, თაბორიძე ნიკოლოზ, თეგეტაშვილი ნიკო, თეთრუაშვილი სიმონ, თინიკაშვილი ივანე, თოხაძე გერასიმე, თინიკაშვილი ნიკოლოზ.

ინაშვილი იობ, ინაშვილი დავით მოსეს ძ, ინაშვილი დავით მათეს ძე, ილურიძე იასე.

კვირიკაშვილი გიორგი, Каснеровичъ Валеріанъ, კახოვი პავლე, კოკაშვილი იორამ, კერესელიძე მალაქია, კაიშაური ვასილ, კაიშაური ნიკოლოზ, კაიშაური იორდანე, კურკუმელი ივანე, კასაშვილი ზაქარია, კბილცეცხლაშვილი მათე, კონჭუხიძე პეტრე, კალანდარაშვილი მოსე, კალანდარაშვილისა სოფიო, კვაჭაძე კონსტანტინე, კახიძე ტიტე, კიკნაძე ზაქარია, კურდღელაძე ივანე, კილურაძე ივანე, კევლიშვილი ალექსი.

ლებანიძე მინა, ლებანიძე გიგო, ლორთქიფანიძე თ-დი იასონ, ლაგაზოვი ზაქარია, ლებანიძეები ვასილ და თევდორე.

მურღული იაკობ, მურღული ივანე, მოლოდინაშვილი ივანე, მაისურაძე დიმიტრი, მაისურაძე ვასილ, მაისურაძე პეტრე, მოზდოკელოვი გრიგოლ, მაჩაბელოვები: ალექსანდრე, გრიგოლ და ვასილ, მესხიშვილი ზაქარია, მოზდოკელოვი ივანე, მაჩურიშვილი საბა, მდგვარელი ვარლამ, მჭედლიშვილი ზაალ, მესხი მიხეილ, მეტრეველი გიორგი, მღვდლიევი მიხეილ, მოზდოკელოვი ელისაბედ, მაჩურიშვილი გიორგი, მეტრეველი ბესარიონ, მოსაია კალისტრატე, მეტრეველი დავით, ნათაძე მღვდელი გიორგი, ნადიბაიძე ივანე, ნავროზაშვილი ალექსასდრე, ნაუმოვი ალექსანდრე, ნაუმოვისა ბარბარე, ნადიბაიძე დავით, ნამგალაური გრიგოლ, ნარიმანიძე ბესარიონ, ნადიბაიძე იაგორ.

ოდიშვილი ვალერიანე, ოქროპირიძე გიორგი, ოქროპირიძე გაბრიელ, ოთარაშვილი კოტე, ოთარაშვილი ზურაბ, ორკოდაშვილი სტეფანე, ომიაძე პართენ, ომიაძე სერგო.

პავლიაშვილი არსენ, პრონინი ალექსანდრე, პოპლონოვი მოსე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როინიშვილი ისააკ, როინიშვილი ალექსანდრე.

სარაჯიშვილი თომა, სარაჯიშვილი ლევან, სხირტლაძე ილია, სხირტლაძე სპირიდონ, სხირტლაძე დავით, სვიანელიძე ივანე, სირაძე დავით, სარაჯიშვილი დავით, სოხაძე ლევანტი, სარაჯიშვილი ეკატერინე, სისაური გრიგოლ, სისაური ნიკოლოზ, სარაჯიშვილი ლევან, საბანაძე დავით.

ტყეშელაშვილი ივანე, ტურაშვილი ზაქარია.

ფრიდონაშვილი პეტრე, ფრიდონაშვილი ივანე, ფაციაშვილი გაბრიელ, ფიცხელაური ზაქარია, ფიცხელაური ივანე, ფიცხელაური რაჟდენ, ფორაქიშვილი ადამ, ფიცხელაური დარია, ფოფხაძე არჩილ.

ქუმსიევი გიორგი, ქუმსიევი თევდორე, ქისტაური ნიკოლოზ, ქირიკაშვილი ანდრია, ქენქაძე გრიგოლ, ქერაშვილი სიმონ, ქოქაშვილი გაბრიელ, ქავთაროვი ივანე, ქენქაძე ზაქარია, ქისტაური ნიკო, ქუმსიშვილი მიხეილ.

ღამბაროვი ნესტორ ივანეს ძე, ღამბაროვი ნესტორ გრიგოლის ძე, ღოღობერიშვილი არჩილ, ღუდუშაური იაკობ, ღუდუშაური ვასილ.

შადური პავლე, შალიკაშვილი იოსებ, შარაშიძე მაქსიმე, შიხაშელი ზაქარია, შვილიევი იოსებ, შარუმაიძე იაკობ, შარმაზანოვი ეკატერინე, შადური მოსე.

ჩიჩაგუა ალექსანდრე, ჩოფიკაშვილი გიორგი, ჩითაევი ალექსანდრე, ჩითაევი ივანე, ჩითაევი გრიგოლ, ჩაველიშვილი ილარიონ, ჩხუბიანი ალექსანდრე, ჩილაძე სამსონ, ჩიღვარიძე მალხაზ, ჩქარეული გიორგი, ჩითაევი მიშა, ჩითაევი გიორგი, ჩითაევი სპირიდონ, ჩითაევი ნინა, ჩითაევი ნატალია, ჩითაევი სპირიდონ, ჩითაევი მარიამი, ჩქარეული მიხეილ, ჩალაძე ილია, ჩიღვარია მათე, ჩითაევი ნიკოლოზ.

ცისკარაული დიმიტრი, ცინცაძე თევდორე, ცერაძე მიხეილ.

წიკლაური გიორგი, წიკლაური კოტე, წიკლაური სტეფანე, წიკლაური მიხეილ, წერეთელი აბესალომ.

ხეთაგური ნიკოლოზ, ხიმშიევი ალექსი, ხოჯივანოვი სპირიდონ, ხედიშელი ნესტორ, ხუციშვილი დიმიტრი. (სულ 260).

ახალ სოფ. კრების მიერ მიღებულ წევრთა სია, 20 ოქტ. 1913 წ.

ამილახვარი დავით, ბრაჟნიკოვი ივანე, ბეჟანაშვილი იოსები, ბუჩუკური სვიმონ, გელაშვილი სევასტი, დუმბაძე ივანე, თეგეტაშვილი თომა, თიბილაშვილი თეთო, თოფაძე გიორგი, კანჩაკოვისა ნადეჟდა, კობაიძე იაკობ, კაიშაური ზაქარია, კაჭიჩური პავლე, კიკნაძე ივანე, ლოლუა ვლადიმერ, მალსაგოვი ალექსი, მალსაგოვი ნიკოლოზ, მეტრეველი ბესარიონ, მეფურნიშვილი პავლე, ნათელაშვილი იაკობი, ნუცუბიძე შალვა, სულუხია მოსე, სხირტლაძე გიორგი, ფარესიშვილი დიმიტრი, ღუდუშაური ესტატე, ღუდუშაური მიხეილ, ღუდუშაური იოსებ, ჩითაევი ნიკოლოზ, ცირიულნიკოვი ალექსი, ხელაშვილი გრიგოლ, იოსებ ვაშალომიძე, დავით ვაშალომიძე, ცქიტიშვილი კალენიკე, ფრუიძე ალექსი. (სულ 34)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადო კრების ოქმი.

1913 წელს 20 ოქტომბერს შესდგა ქ. წ.-კ. გამავ. საზოგადოების კავკავის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრენ გამგეობის დროებ. თავმჯდომარე ტ. ბ. კახიძე, გამგეობის წევრნი: მ. ა. კალანდარაშვილი, ი. გ. შვილევი, ზ. დ. მჭედლიშვილი, დ. ერქომაშვილი, გრ. მიხ. ბურდული, ი. მ. ჩითაევი და 38 წევრი. კრების გახსნამდი თავმჯდომარემ ბ. კახიძემ წინადადება მისცა კრებას ფეხზე ადგომით პატივი ეცათ კულიკოვსკაია—თურქესტანიშვილის ასულის ხსოვნისათვის, რომელიც მონაწილეობას იღებდა ჩვენი სკოლის დაარსებაში და რომელმაც უანდერძა კავ. ქართულ სკოლას 1000 მანეთი, პატივი ეცათ აგრეთვე სახელოვანი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის, პროფ. ალექ. ხახანაშვილის და ა. ჯორჯაძის ხსოვნისთვის. თავმჯდომარის წინადადება კრებამ შეასრულა და მოხსენებულ პირთა ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცა. შემდეგ თავმჯდომარემ მოსთხოვა კრებას საზოგადო კრების მდივნის არჩევა. მდივნათ არჩეულ იქმნა ვ. ა ბურჯანაძე. თავმჯდომარემ წაიკითხა ყველა კრების განსახილველად უწყებაში აღნიშნული საკითხი და შემდეგ მოიწვია კრება მოესმინა 1911 და 1912 წლების შემოსავალ-გასავლის და გამგეობის მოქმედების ანგარიში. მოხსენებული წლების ანგარიშები სარევიზიო კომისიის განმარტებით კრებამ მოისმიდა დაამტკიცა.

კრებამ მოისმინა აგრეთვე 1911—1912 და 1912—1913 სამოსწავლო წლების სწავლა-აღზრდის ანგარიშები და დაამტკიცა, ხოლო საჭიროთ აღიარა, რათა მომავალში სწავლა-აღზრდის ანგარიშებში მოყვანილ იქმნას დაწვრილებითი ცნობები პედაგ. საბჭოს სხდომების შესახებ, რომელი მასწავლებელი რამდენ კრებას დაესწრო და რამდენს არ დაესწრო. და რამდენი გაკვეთილი გამოტოვა. გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, რომ გამგეობის წევრთა რიცხვი შემცირებულ იქმნას 30-დან 11-დი, კრებამ ცოტა ხნის კამათის შემდეგ მიიღო და დაადგინა: ამქართა წარმომადგენლების გარდა გამგეობის შედგენილობა განისაზღვრებოდეს 11 წევრით.

თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ სკოლის და გამგეობის ინსტრუქციის პროექტი, სამწუხაროთ, გამგეობის სხდომაზე არ განხილულა და ამისათვის მას, თავმჯდომარეს, აღნიშნული პროექტის საზოგადო კრებაზე წაკითხვა უხერხულათ მიაჩნია. კრებამ მიიღო თავ—რის წინადადება და დაადგინა: დაევალოს გამგეობის ახალ შედგენილობას დაწვრილებით განიხილოს შედგენილი ინსტრუქციის პროექტი და მიიღოს იგი სახელმძღვანელოთ, გამოჰყოს თავის შედგენილობიდან სექციები სასკოლო, საეკლესიო, სათეატრო და სამეურნეო...

სკოლის დღევანდელი ნივთიერი მდგომარეობის შესახებ კრებამ ცოტა ხნის კამათის შემდეგ დაადგინა: თხოვოს გამგეობის ახალ შედგენილობას მიიღოს ყოველგვარი ღონისძიება სკოლის ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და შემოსავალ წყაროების გამოსაძებნათ.

თავმჯდომარემ განუმარტა კრებას, რომ ახლოვდება სკოლის არსებობის 25

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის თავი, გამგეობამ განსაკუთრებული კომისია აირჩია შეემუშავებინა ხკოლის 25 წლის არსებობის სადღესასწაულოთ გეგმა, მაგრამ კომისიას გამგეობის დავალება სისრულეში ჯერ არ მოუყვანია, რადგანაც გამგეობას ხარჯის გაწევა არ შეუძლია; საჭიროთ სცნობს თუ არა კრება იუბილეს გადახდას!.. კრებამ საჭიროთ აღიარა სკოლის 25 წლის საიუბილეო დღესასწაულის გადახდა და მიანდო გამგეობის წევრთა ახალ შედგენილობას შეიმუშაოს საიუბილეო დღესასწაულის პროექტი და თავისი შეხედულებისამებრ მოაწყოს იგი.

— თავმჯდომარე უცხადებს კრებას, რომ ყველა უწყებაში ნაჩვენები საკითხები განხილულია და ეხლა უნდა ავირჩიოთ გამგეობის თავმჯდომარე, გამგეობისა, და სვრეევიზიო კომისიის წევრები. კრების წევრთა შეკითხვაზე, შეიძლება თუ არა თავმჯდომარის უკენჭოთ (ახდილი ხმით) არჩევა, თავმჯდომარემ დიდებითად უპასუხა, რის შემდეგ კრებამ მოხსენებულ თანამდებობაზე (გამგეობის თავმჯდომარეთ) ერთხმად აირჩია **ალექსანდრე გიორგის ძე დუმბაძე** (ადგილ. რუს.-აზიის ბანკ. განყ. მმართველი).

შემდეგ კრებამ დაასახელა გამგეობის წევრთა კანდიდატები, ფარული კენჭის ყრით, ხმის უმეტესობით, გამგეობის წევრებათ არჩეულ იქმნენ:

1. ლოლუა ვლადიმერ კონსტანტ.	მიიღო	42 თ.	და 3 მ.
2. თავ. იასონ ლორთქიფანიძე.	„	40 —	2 —
3. იოსებ გრ. შვილევი	„	41 —	2 —
4. მიხეილ გრიგ ბურდული	„	40 —	3 —
5. ივანე გიორგ. დუმბაძე	„	41 —	4 —
6. ივანე ივანეს ძე ფიცხელაური	„	40 —	3 —
7. მოსე ივლიანეს ძე სულუხია	„	36 —	6 —
8. დიმიტრი ცისკარული.	„	36 —	8 —
9. დავით სვიმონ. სხირტლაძე	„	31 —	6 —
10. ვასილ კაიშაური	„	34 —	11 —
11. ალექსანდრე მიხ. ჩაითაევი	„	34 —	3 —

კანდიდატებათ:

1. დიმიტრი ფარესიშვილი	მიიღო	26 თ.	და 9 მ.
2. დიმიტრი ექრომაშვილი	„	26 —	16 —
3. გიორგი სხირტლაძე	„	24 —	12 —

გამგეობის წევრთა არჩევის შემდეგ თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას ახდილი ხმით აერჩიათ სარევიზიო კომისიის სამი წევრი. კრებამ სარევიზიო კომისიის წევრებათ აირჩია: ექიმი მოსე ანთ. კალანდარიშვილი, ალექსანდრე ნიკ. ჩხუბიანი და პავლე მეფურნოვი, ხოლო მათ კანდიდატებათ: ვასილ ნიკ. ზირაქიშვილი და დავით ვაშალომიძე. ბ-ნი შალვა ნუკუბიძის წინადადებით კრებამ მადლობა გამოუცხადა გამგეობას 3 წლის განმავლობაში საზოგადო საქმის სამსახურისათვის.

კრება გათავდა სრულ 6 საათზე. ძველი გამგეობის წევრთაგან კენჭის ყრაზე უარი განაცხადეს: ბბ.. გრ. მ. ბურდულმა, მ. კალანდარიშვილმა, ზ. კიკნაძემ და ტ. კახიძემ.

გამ. დრ. თავმჯდომარე **ტ. კახიძე.**

მდივანი **ვ. ბურჯანაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოსავალი და გასავალი 1912 წ.

შემოვიდა:	მან.	კ.
1. ბანკიდან გამოტანილი სკოლის ფული	1881	69
2. სუბსიდია ქალაქის თვითმართველობიდან	400	„
3. საწევრო გადასახადი	650	„
4. ბადიდან	10	„
5. შემოწირულებანი	3	„
6. სადამო-სეირნობიდან, თეატრის ქირა და წარმოდ	1763	55
7. წიგნების საწყობიდან	113	41
8. შემოხვეითი	12	65
9. ხელის მოწერით შეგროვილი	46	45
10. სესხად აღებული ბანკიდან	948	70
სულ შემოსული	5869	45
— გასული	5679	74
გასულ თ-ს გარდა	189	71

1913 წლის იანვრის პირველს განოფილების ფული		
იყო ბანკში შენახული	800	
ხაზინადარს ჭქონდა ხელზე	189	71
სულ	989	71

გავიდა:

1. მასწავლებელთა ჯამაგირები	2460	„
2. მცველის და მსახ. ჯამაგირი	310	8
3. გათბობა ნახშირით	457	90
4. გათბობა შეშით	90	80
5. განათება ელექტრონით	136	70
6. განათება ნავთით	25	17
7. სტიპენდია	30	„
8. გოგებაშვილის ფონდი	50	„
9. შენობის მასალის და „რემონტი“	215	83
10. წყალი	32	61
11. ინვენტარი — (ლგაში)	30	86
12. წიგნების საწყობი	158	89
13. ბადი	3	45
14. მასწავლებელთა სახელმძღ. ხელსაწყობები	20	22
15. სასტამბო ხარჯები	48	28

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. ბროტენტები საურთიერთო ნდობის საზ. გირ. ფურ.	100	15	
17. სამკითხველო და ბიბლიოთეკა	100	99	
18. შემთხვევითი ხარჯები (კოგებ., ი. ჭავჭ. დილა, წარ.)	113	13	
19. ვადი ბროფესიონ. სკოლისა	30	„	
20. ძველი წლის არგელაძის ჯამაგირი . . .	100	„	
21. ძველი წლის ვადი (შვილევის) . . .	125	92	
22. „ „ „ (კიკნაძის)	153	22	
23. სხვა და სხვა წვრილმანი ხარჯები . . .	85	56	4879 74
24. (მიმდინარე ანგარიშით ბანკში შეტანილი შესანახად)	800		
სულ . .	5679	74	

დრ. თავმჯდომარე ტ. **კახიძე**.

მდივანი ვ. **ბურჯანაძე**.

(დასასრული იქნება)

მოხსენება

ბათუმის სკოლის შესახებ

ბათუმის სკოლა დავათვალიერე მაისის ბოლო რიცხვებში. ორი დღის განმავლობაში დავესწარი თითქმის ყველა საგნის გაკვეთილებს ოთხივე განყოფილებაში; ეჭვს გარეშეა ამგვარი დათვალიერება მხოლოდ ზერელე წარმოდგენას მოგვცემს სკოლაზე, ვინაიდგან შეუძლებელია ორი დღის განმავლობაში დაწვრილებით შესწავლა სკოლაში სწავლის და განსაკუთრებით აღზრდის საქმის მდგომარეობისა; ამგვარად დათვალიერებიდან შესაძლებელია ადამიანმა მხოლოდ საერთო შთაბეჭდილება გამოიტანოს, მაგრამ ყოვლად მოუხერხებელია კათეგორიულად, გადაჭრით აზრი გამოსთქვათ თუ სწავლა-აღზრდა როგორ სწარმოებს სკოლაში. მით უფრო საძნელოა სუსტი მხარეების აღნიშვნა, და მითითება საშუალებებზე, რომლებიც საქმეს გაასწორებს, გააუმჯობესებს.

რაც უნდა კარგად იყოს სკოლა დაყენებული, არ შეიძლება ნაკლი რამე არ ჰქონდეს; საჭიროა ამ ნაკლის ინდივიდუალურად შესწავლა; ეს დაგვანახვებს, თუ რამოდენად მასწავლებელის ხელთაა ნაკლის აცილება და ნორმალურად სწავლება, და თუ ეს გარემოება გათვალისწინებული არ არის, ყოველგვარი დარიგება ამაოა, ფუჭია. აი ამისთვის საჭიროა საერთოდ წ.-კ. გამავრ. საზოგადოების სკოლების დათვალიერების საქმე უფრო წესიერად მოეწყოს, რათა საშუალება ჰქონდეს რევიზორს უფრო მეტი დრო მოანდომოს სკოლის ცხოვრების შესწავლას საბოსწავლო წლის განმავლობაში და არა შემთხვევითი ხასიათი

ჰქონდეს რევიზიას, როგორიც ეს ეხლა აქვს, როდესაც რევიზორი გადაიჭრება ტფილისიდან რომელსამე ქალაქს ან დაბას, ან სოფელს ერთი ან ორი დღით, დაესწრება ერთი საათის განმავლობაში რამოდენიმე საგნის გაკვეთილს; მართალია, ამ გვარ დათვალიერებამაც შესაძლებელია მოიტანოს ცოტა რამ სარგებლობა, მაგრამ ამ სარგებლობის მნიშვნელობა ზედმეტად განსაზღრულია და სასკოლო საქმის საზოგადო მდგომარეობას საფუძვლიანად არა სცვლის. ხშირად აღუნიშნავთ რევიზორებს ეს თუ ის ნაკლი სკოლის დათვალიერების დროს, მაგრამ, საუბედუროდ, მასწავლებელს ვერ აუცდენია ნაკლულევანება და სწავლის საქმე ტრადიციონურად სწარმოებს, ერთხელ აღნიშნულ გზით მიმდინარეობს და ის არა იმისთვის, რომ მასწავლებელის ბრალია, არამედ იმისათვის, რომ მიზეზი მასწავლებელის გარეშეა. მე არ შევუდგები მაგალითების ჩამოთვლას, ვიტყვი მხოლოდ, რომ დაჩქარებულ და აჩქარებულ რევიზიის დროს რევიზორი ვერ ახერხებს გაარჩიოს სად იწყება და სად თავდება მასწავლებელის როლი სწავლა-აღზრდის საქმეში და ხშირად ნაკლულევანებას, რომელიც საზოგადო პირობებიდან გამომდინარეობს მასწავლებელს აწერს და მით მასწავლებლის სუსტი მხარის გამოწვევას მნიშვნელობა ეკარგება.

ამ გარემოებამ იმ დასკვნამდის მიმიყვანა, რომ რევიზიის საქმე უნდა სხვანაირად შეიცვალოს; ან ადგილობრივმა განყოფილებებმა უნდა იკისრონ ეს საქმე, თუ კი შესძლებს (ვინაიდგან დღემდის ადგილობრივ განყოფილებებს, როგორც მე ვიცი, რევიზია თავიანთ სკოლებისა არ მოუხდენიათ), ან უსათუოდ ჩვენს სკოლებს, უფრო კარგი რევიზორი ინსპექტორი უნდა მოუძებნოთ. მე ამითი ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ, თუ რევიზორი გვეყოლა, ჩვენი სკოლების საქმე და მათი ბედი რიგიანად შეიცვლება და სწავლა-აღზრდის საქმე ნორმალურ დონეზე იქნება მოწყობილი. არა, რადგანაც სწავლის საქმეში თავდაპირველად მასწავლებელს აქვს მნიშვნელობა და მის ნაყოფიერ შრომას ათასგვარი პირობები აფერხებს. ამ პირობებს რევიზორი შეისწავლის მასწავლებლებთან ერთად, გაითვალისწინებს მასწავლებლებთან ერთად სკოლის ავსა და კარგს, საზოგადოების გამგეობას სკოლას და მასწავლებლებს დაუახლოებს. უნდა გულახდილად ვსთქვათ, რომ ჩვენ რამოდენიმე სკოლა გვაქვს და ამ სკოლათა მდგომარეობა არ ვიცით და მასწავლებლის სულის კვეთებაც უფრო თეორიულად გვაქვს შესწავლილი. რამდენიმე წელიწადია, ჩვენი მასწავლებლები ხმა მაღლა გვთხოვენ: შეგვკრიბეთ ყველანი ერთად, თავი მოგვიყარეთ, მოგვალაპარაკეთ, გაგვათვალისწინებიეთ ჩვენი შრომის მომავალი, ჩვენ განვითარებაზე ცოტა მაინც ზრუნვა გამოიჩინეთო. დი ბევრი სხვა, მაგრამ ეს ჩვენ ვერ მოგვიხერხებია, ვინაიდგან დატვირთული ვართ სხვა და სხვა საქმეებით... მე აქ არ ჩამოვთვლი სხვა მიზეზებსაც, უსათუოდ თხოულობენ რევიზორ-ინსპექტორის თანამდებობის დაარსებას. მხოლოდ ვიტყვი: ეს საკითხი უკვე მომწიფებულია და საჭიროა მოვსძებნოთ ჩვენი საზოგადოებისათვის გამოსადეგი კაცი. იმ შემთხვევაშიაც, თუ ინსპექტორი გვეყოლა, გამგეობა დრო გამოშვებით მოახდენს იმგვარ რევიზიებს, როგორსაც ეხლა ახდენს.

ეხლა მოგახსენებთ რამოდენიმე სიტყვას ბათუმის სკოლის მდგომარეობის შე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახებ. უნდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ ბათუმის სკოლის მასწავლებლები სოლიდარულად მუშაობენ და სწავლის საქმე საერთოდ წესიერად წარმოებს.

ამავე მოხსენებასთან ერთად წარმოუდგენ მთავარ გამგეობას ამა თუ იმ განყოფილებაში ამა თუ იმ საგნის გავლილ მასალების პროგრამებს; ამ პროგრამების გადაშინჯვა და განხილვა (პროგრამები შესაფერისი განმარტებით და გავლილ მასალის სავსებით აღნიშვნით შედგენილი არ არის; პროგრამებში არც ქართული და არც რუსული გრამატიკის შესახებ არაფერია) და სასწავლებელში სწავლის წარმოების გაცნობა ნებას მაძლევს ვსთქვა, რომ მასალა შესწავლილი თითქმის ყველა განყოფილებაში და ყველა საგანში საკმარისია; რასაკვირველია შესაძლებელია ვსთქვათ, რომ საჭიროა უფრო მეტი მასალის გავლა საღმრთო სჯულისა პირველ განყოფილებაში, ანგარიშისა მეორე განყოფილებაში, სამშობლოს აღწერისა მესამე განყოფილებაში, საქართველოს ისტორიისა მეოთხე განყოფილებაში, ქართული ენისა მესამე განყოფილებაში, სადაც მხოლოდ თორმეტი მოთხრობაა შესწავლილი ბუნების კარიდან; ქართული ენისა მეორე განყოფილებაში, სადაც შესაძლებელია რამოდენიმე მოთხრობის შესწავლა „ბუნების კარიდან", რუსული ენისა მესამე განყოფილებაში, სადაც უფრო მეტი ლექსების შესწავლაა საჭირო, (ოთხი ლექსი, რომელიც მასწავლებელს გაუვლია საკმარისი არ არის) რუსული გრამატიკისა მესამე განყოფილებაში და სხვა. აგრეთვე შესაძლებელია თვით განვლილ მასალის შესახებ, ზოგიერთ შემთხვევაში, იკითხოს ადამიანმა, თუ რამოდენად შეეფერება ესა თუ ის გავლილი მასალა ქართულ და რუსულ ენებში და ბუნების მეტყველებაში ამა თუ იმ განყოფილებას; მაგრამ ამ საკითხების შესახებ ჩემთვის მსჯელობა საძნელოა, ვინაიდგან დაწვრილებით უნდა ვიცნობდე მოსწავლეთა შედგენილობას, მათ სკოლის გარეშე ცხოვრებას, რათა სისწორით და სამართლიანად გამოვარკვიოთ ეს საგანი.

საზოგადო შეხედულება ჩემი ყველა განყოფილებებში და ყველა საგნებში გავლილ მასალების შესახებ შემდეგია: მასწავლებელთ არ დაუზოგავთ ძალი და ღონე, რათა სკოლაში სწავლის საქმე რიგიანად დაეყენებიათ; რამდენადაც მე გავითვალისწინე მდგომარეობა, იმდენად მე თამამად ვამბობ, რომ საზოგადოდ სკოლაში მასწავლებლებს რიგიანის ახსნით, განმარტებით უწარმოებიათ საქმე და გავლილი მასალა მოსწავლეთა მიერ შეგნებით არის შეთვისებული; არ დავმალავ, უფრო კარგ შთაბეჭდილებას ახდენენ მეორე და მეოთხე განყოფილებებში, შემდეგ პირველი და საზოგადოდ სუსტია მესამე განყოფილების შეგირდები; შესაძლებელია, საერთო სისუსტე მესამე განყოფილებისა შეგირდთა შემადგენლობით ან და სხვა შემთხვევითი მოვლენით აიხსნება, ვინაიდგან მასწავლებელი ქალი ამ კლასისა, რამდენადაც მე საქმეს გავეცანი, დიდის სიყვარულით და მუყაითად ეპყრობა საქმეს და საკმარისად მომზადებული მასწავლებელია; თუმცა კარგი იქნებოდა ესარგებლა მასწავლებელს ამხანაგების გამოცდილებით, ვინაიდგან ბათუმის სკოლას ჰყავს დამსახურებული და სწავლა-აღზრდის საქმის მცოდნე მასწავლებელი ი. გოგოლაშვილი და აგრეთვე კარგად მომზადებული და მცოდნე თავის საქმისა ალ. მგელაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი დიდი ნაკლულევანება პირველ და მესამე განყოფილებში: მოსწავლეთ ვერ შეუთვისებიათ საკმაოთ მექანიზმი კითხვისა (ქართულისა პირველ და მესამე განყოფილებაში და რუსულისა მესამე განყოფილებაში); რასაკვირველია, პირველ განყოფილებაში საძნელოა კითხვის მექანიზმის შესწავლა, მესამე განყოფილებაში კი ეს აუცილებელია.

საზოგადო ნაკლოვანებას ბათუმის სკოლისას შეადგენს ის გარემოება, რომ გამომეტყველებითი კითხვა ვერ არის ჯეროვანად დაყენებული, თუმცა ამ შემთხვევაშიც უფრო კარგად არის საქმე მეორე და მეოთხე განყოფილებებში, ვიდრე პირველ და მესამე განყოფილებაში.

ნაკლულევანებაა აგრეთვე ისიც, რომ ბათუმის სკოლაში ხატვას არ ასწავლიან; ეს მასწავლებელთა ბრალი არ არის; მათ არ შეუძლიანთ ამ საგნის სწავლება; საჭიროა მოწვეულ იყოს მასწავლებელი ამ საგნისათვის, რადგანაც ზედმეტად სასურველია და საჭირო ხატვის სწავლება სკოლაში.

უნდა აღვნიშნო ეხლა წერითი სავარჯიშოების მდგომარეობა ბათუმის სკოლაში.

პირველ განყოფილების შეგირდების ნაწერებში სავარჯიშოები მხოლოდ სუფთა წერისა ყოფილა; მე მგონია ამ გვარი სავარჯიშოებით დაკმაყოფილება არ კმარა; შესაძლებელია სამოსწავლო წლის მეორე ნახევარში მაინც სხვა სავარჯიშოებიც შემოიღოს მასწავლებელმა: მაგალითად, მოკლე ლექსების და მოთხრობების გადაწერა; შესაძლებელია, აგრეთვე სავარჯიშოებიც, რომელიც უვითარებს ბავშვებს თავისის აზრის წერით გადმოცემას; მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებებში წერითი სავარჯიშოები სხვა და სხვა ხასიათისა; მაგალითად, სურათის და საგნების აღწერა, წელიწადის ზოგიერთ დროთა მოკლე აწერა, მოგონება შეგირდისა, ნასწავლი მასალის მოკლე შინაარსის აღწერა, ხელად წაკითხულის გადმოცემა, მოკლედ გადმოცემა საკუთარის ცხოვრების ამბებისა და სხვ.

უნდა ვსთქვათ, რომ ამ შემთხვევაში მესამე განყოფილება ცოტაოდენ გამონაკლის შეადგენს, ვინაიდგან რუსული წერითი სავარჯიშოები ერთგვარია თითქმის მთელი წლის განმავლობაში (უფრო ხშირად კარნახი), მხოლოდ წლის ბოლოს მასწავლებელი წერითი სავარჯიშოებს ნორმალურ და სასურველ ხასიათს აძლევს.

უნდა ვსთქვათ აგრეთვე ის, რომ სასურველია წერითი სავარჯიშოები უფრო ხშირად სწარმოებდეს სკოლაში; ვამბობ სასურველია, ვინაიდგან არ შემიძლია ძოვსთხოვო მასწავლებელს იმაზე მეტი შრომა, რაც ეხლა მას აწევს; კარგად ვიცი, თუ რამდენი დრო და შრომა უნდა რვეულების სწორებას; ჩვენ მასწავლებელს კი წილად აქვს ქართული და რუსული ენების და ანგარიშის რვეულების სწორება და ეს გარემოება მიკარნახებს გავიმეორო, რომ წერითი სავარჯიშოები უფრო ხშირად სწარმოებდეს სკოლაში, ვიდრე ეხლა.

სასურველიც და სასარგებლოცაა, თუმცა ძლიერ გასაჭირია მასწავლებელთათვის; მხოლოდ ვსთხოვ მასწავლებლებს წერითი ვარჯიშობის გაძლიერებას, თუ კი შესაძლო იქნება მათთვის.

მასწავლებელის შრომა დატვირთულობით აიხსნება ის გარემოება, რომ მოწაფეთა ნაწერებში შეცდომები ხშირად გაუსწორებელი რჩება: ერთის მხრით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე—გასწორებულია შეცდომით (ეს მოვლენა შივიათად შეგვხვდება); ამასაც ვერ ვუსაყვედურებ მასწავლებელთ, თუმცა სიფრთხილე რვეულების გასწორების დროს ზედმეტად საჭიროა.

დასასრულ არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ სკოლაში სასურველი დისციპლინა არსებობს; დამოკიდებულება მასწავლებელთა **და** მოსწავლეთა შორის (რამოდენათაც მე ეს შევამჩნიე) მოგვგონებს კეთილ ოჯახურ განწყობილებას; შეცდომა შეგირდისა არ იწვევს მასწავლებლის გაცხარებას; პირიქით მის შენიშვნაში დიდი თავაზიანობა და სიყვარული სჩანს შეგირდისადმი; სანეტარო მოვლენაა ეს, თუ ამ გარემოებას ჩვეულებრივი ხასიათი აქვს სკოლის ცხოვრებაში; ეს მოვლენა დიდი სიკეთეა და ამ ნიადაგზე სკოლა გაიზრდება და აყვავდება.

თავმჯდომ. ამხ. **ალ. მდივანი.**



განცხადება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას აქვს ორი საპრემიო თანხა: უგანათლებულესი თავადის გრიგოლ დადიანისა და ნიკოლოზ ბესარიონის ძის ღოღობერიძის. თ-დ დადიანის სახელობის თანხის სარგებლიდან პრემიად მიეცემა 400 მანეთი ორ წელიწადში ერთხელ; ხოლო ნ. ბ. ღოღობერიძის სახელობის თანხის სარგებლიდან ყოველ წლობით 300 მანეთი.

1. პრემია მიეცემა იმას, ვინც დასწერს და წარმოადგენს საკონკურსო საუკეთესო თხზულებას შესახებ ქართული ენისა, ისტორიისა, გეოგრაფიისა, ეთნოგრაფიისა, ლიტერატურისა და საზოგადოდ თხზულებას საქართველოს შესახებ. თ-დ დადიანის სახელობის პრემიის მისაღებად წარმოდგენილი თხზულება უსათუოდ ქართულ ენაზე უნდა იყოს დაწერილი; ღოღობერიძის სახელობის პრემიის მისაღებად კი უპირატესობა ეძლევა ქართულ ენაზე დაწერილს თხზულებას. ხოლო საკონკურსოდ შეიძლება წარმოდგენილ იქმნას რუსულსა, არ რომელიმე ევროპიულ ენასაც.

2. თხზულებას ქართული ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ისტორიული გრამატიკა ქართული ენისა—ეთიმოლოგია ან სინტაქსი, ბ) შედარებითი გამოკვლევა ქართული ენის შტოებისა, გ) გამოკვლევა ქართულის ენის უცხო ენებთან შედარებით, დ) ქართული ენის შტოების შედარებითი ლექსიკონი, ე) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; ვ) უცხო ენებთან მონათესავე ქართული სიტყვების ლექსიკონი, ზ) უცხო ენათაგან შემოსული სიტყვების ლექსიკონი.

ეროვნული

3. თხზულებას ქართული ისტორიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელი წარსულის ცხოვრებისა ან რომლისამე მის ეპოქისა; ბ) სოციალ-ეკონომიური ისტორია, სრული ანუ რომლისამე ეპოქისა; გ) საეკლესიო და საზოგადოდ სარწმუნოების ისტორია, როგორც სრული, ისე რომლისამე ეპოქისა; დ) სამხედრო ისტორია, ე) იურისპრუდენცია, ვ) მითოლოგია.

4. თხზულებას ქართული მწერლობის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ქართული მწერლობის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, ბ) მწერლობის ერთ-ერთი დარგის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, გ) რომლისამე ერთის ან რავდენისამე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველ მხრივი შესწავლა და გამოკვლევა, დ) ქართული მწერლობის დამოკიდებულობა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე, როგორც მთლად მთელის ქართულის მწერლობისა, ისე რომლისამე კერძო ეპოქისა, ე) სახალხო სიტყვიერების გამოკვლევა.

თხზულებას ქართული ეთნოგრაფიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ეთნოგრაფიული აღწერა ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა; ბ) შეგროვება და შესწავლა ან და გამოყენება უკვე შეგროვილ მასალისა ქართული ენის სხვა და სხვა კილოკავებიდგან, ხალხურ სიტყვიერებიდგან, ცრუმორწმუნოებიდგან, ზნეჩვეულებიდგან, ფიზიკურ აგებულებიდგან და სხვა და სხვა დარგებიდგან ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა - გამოსარკვევად: 1) ან ქართველი ერის რომელიმე შტოს ნათესაობრივი დამოკიდებულობისა დანარჩენ მის ნაწილებთან, 2) ან მთელი ქართველი ერის ნათესაობრივი ჩამამავლობისა სხვა ერთა შორის.

შენიშვნა: საკმარისია, თუ მკვლევარმა დაამუშავა მასალა მარტო ერთ-ერთ ზემოხსენებულ დარგიდგან და ეს მასალა გამოიკვლია ქართველი ერის მარტო ერთი რომელიმე ნაწილის შესახებ.

6. თხზულებას ქართული მუსიკის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს ა) გამოკვლევა წარმართდროინდელი ქართული მუსიკისა; ბ) გამოკვლევა ქრისტიანობის მიღების შემდეგი ქართული მუსიკისა, გ) გამოკვლევა იმისა, თუ რა გავლენა იქონია სხვა ერთა მუსიკამ ქართულ ენაზე.

7. საკონკურსო თხზულება უნდა იქმნას წარდგენილი წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში 1-ლ იანვრამდე 1914 წლისა...

8. საკონკურსო თხზულება შეიძლება იყვეს ხელთნაწერიც და დაბეჭდილიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაბეჭდილი არ იყვეს 1910 წელზე ადრე გამოცემული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება

გამოვიდა ახალი წიგნი

წიგნი შეიცავს 320 გვერდზე მეტს და ღირს 75 კაპ. ამ კრებულში მოთავსებულია მრავალი ახალი და უკვე დაბეჭდილი მასალები, სიტყვები, დეპეშები და ოგონებანი განსვენებულის **იაკობ გოგებაშვილის** შესახებ.

ჟურნალ „განათლების“ რედაქციაში იყიდება სურათები განსვენებულის **იაკობ გოგებაშვილისა** სკოლებში დასარიგებლად—თითო ცალი **ორ შაურად**, ვინც 50-ზე მეტს დაიბარებს, იმას დაეთმობა 20%.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ უკვე დაბეჭდა განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები „დედა ენა“, „ბუნების კარი“ და „Русское Слово“-ს I და II ნაწილი 1913—14 წლისათვის. ეს სახელმძღვანელოები უკვე მზად არის. „Русское Слово“-ს მეორე ნაწილის ახალ გამოცემაში, თანახმად განსვენებულის იაკობ-ს ანდერძისა, შეტანილია ზოგიერთი შესწორებანი და 50-მდის ახალი სურათი. წიგნი დაიბეჭდა საუკეთესო ქაღალდზე და, კარგი გამოცემაც არის. ჩვენი სახალხო სკოლების მასწავლებლების ზნეობრივი მოვალეობაა ყველგან სკოლებში გაავრცელონ ეს სახელმძღვანელო და მით გაუადვილონ მოსწავლეთ რუსული ენის შეგნებით შესწავლა.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

„განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.

(წელიწადი მეშვიდე)

1914 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ეროვნულ-გვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **სამ მანეთად**, საზღვარ გარეთ 6 მან. 1914 წ. ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრად: **ილია ჭავჭავაძის, პესტალოცის, უშინსკის, რუსსოს და კომენსკის სურათებს.**

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში:** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში** ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში** ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიადში“, ამ ორ ადგილას ტ-სამტრედიაში იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კ.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. **Л. Г. Боцвадзе.**

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**